

ISSN 1987-5789

# ეკონომიკა და ბიზნესი



ECONOMICS AND BUSINESS  
ЭКОНОМИКА И БИЗНЕС

სექტემბერი-ოქტომბერი  
SEPTEMBER-OCTOBER  
СЕНТЯБРЬ-ОКТЯБРЬ  
2014

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და პიზნის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი  
და რევენგირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

International refereed and reviewed scientific and practical journal  
of the Faculty of Economics and Business,  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Международный реферируемый и рецензируемый научно-  
практический журнал факультета Экономики и Бизнеса  
Тбилисского государственного университета имени Ив.  
Джавахишвили



გამოდის 2008 წლის იანვრიდან, ორ თვეში ერთხელ  
Published since January, 2008 once in two month  
Выходит с Января 2008 года раз в два месяца

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,  
თსუ მაღლივი კორპუსი, მე-13 სართ.,  
ტელ. 230-36-68, 599-10-38-16; 599 24-77-47.  
e-mail: ebf.journal@tsu.ge

## სარედაქციო კოლეგია

**რევაზ გოგოხია** – მთავარი რედაქტორი,

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლეო ჩიკავა**.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **იური ანანიაშვილი, რამაზ აბესაძე, თემურ ბერიძე, სიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, ნუგზარ თოდუა, ირაკლი კოვზანაძე, ნათელა ლაცაბიძე, ეკა ლეკაშვილი, მანანა ლობჯანიძე, მურთაზ მაღრაძე, მაია მარგველაშვილი, ქეთევან მარშავა, ელგუჯა მექვაბიშვილი, იაკობ მესხია, დავით ნარმანია, ნუგზარ პაიჭაძე, სერგო სანაძე, ირაკლი სალარაიშვილი, დემურ სიჭინავა, მირიან ტუხაშვილი, გიორგი ლაღანიძე, ლეილა ღუღუშაური, ეთერ ხარაიშვილი, ელენე ხარაბაძე, რომან ხარბედია, ნოდარ ხადური, თემურ შენგელია, ემზარ ჯგერენაია.**

## EDITORIAL BOARD

**Revaz Gogokhia** – Editor-in-chief, Doctor of Economic sciences, professor.

Academicians of National Academy of Sciences of Georgia, Doctors Of Economics Sciences, professors: **Vladimir Papava, Avtandil Silagadze**, corresponding member of Georgian National Academy of Sciences, doctor of Economic Sciences, professor **Leo Chikava**.

Doctors of Economic Sciences, professors: **Iuri Ananiashvili, Ramaz Abesadze, Temur Beridze, Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, Leila Gudushauri, Nugzar Todua, Irakli Kovsanadze, Natela Latsabidze, Eka Lekashvili, Manana Lobjanidze, Murtaz Magradze, Maya Margvelashvili, Ketevan Marshava, Elguja Mekvabiishvili, Iakob Meskhia, David Narmania, Nugzar Paichadze, Sergio Sanadze, Irakli Sagareishvili, Demur Sichinava, Mirian Tukhashvili, Giorgi Gaganidze, Eter Kharaiishvili, Elene Kharabadze, Roman Kharbedia, Nodar Khaduri, Temur Shengelia, Emzar Jgerenaia.**

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

**Реваз Гогохия** – главный редактор, доктор экономических наук, профессор.

Академики Национальной Академии наук Грузии, доктора экономических наук, профессора: **Владимер Папавა, Автандил Силагაძე**, член-корреспондент Национальной Академии наук Грузии, доктор экономических наук, профессор **Лео Чикава**.

Доктора экономических наук, профессора: **Юрий Ананишвили, Рамаз Абесадзе, Темур Беридзе, Симон Гелашвили, Реваз Гвелესиани, Леиლა Гудушаური, Нугзар Тодуа, Ираклий Ковзанаძე, Натела Лацаბიძე, Ека Лекашвили, Манана Лобჯანიძე, Муртаз Маграძე, Майя Маргველაშვილი, Кетеван Маршава, Элгудჯა Мекვაბიშვილი, Якоб Месхия, Давид Нармания, Нугзар Паичაძე, Серго Санаძე, Иракли Сагарეიშვილი, Демур Сичинаვა, Мириан Тухашვილი, Георгий Гаганиძე, Етер Хараишვილი, Элене Харабаძე, Роман Харбедия, Нодар Хадური, Темур Шенгелиა, Эмзар Джгеренаяя.**

---

---

## სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები.

ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი, ჰარალდ კუნცი – ბრანდერბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგე, პილიპენკო ე.ვ. ემდ. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ურალის განყოფილების ეკონომიკის ინსტიტუტის კურგანის ფილიალის დირექტორი. კიმ ტაქსირი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჯოზეფ ხასიდი – პირეუსის (საბერძნეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, ტომას ჰალდმა – ტარტუს (ესტონეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

### **FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD OF ECONOMICS:**

Wolfgang Weng – Professor at Berlin University (Germany), Harald Kunz – Head of department of Economic theory at Branderburg University (Germany), Pilipenko E.V. Economical doctor in science, economic branch in Kurgan unstitute, region of Ural, Russia. Kim Taksir – Academician of Russian Academy of Sciences, Joseph Hassid - Dean of the Faculty of Economics Piraeus University (Greece), Professor, Toomas Haldma – Tartu University’s Dean Faculty of Economics and Business Administration, professor (Estonia).

### **ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:**

Волфганг Венг - Профессор Берлинского Университета (Германия), Кунц Гаралд – зав. кафедрой экономической теории Брандербургского Университета (Германия), Пилипенко Е.В. Д.Э.Н. - Директор Курганского филиала ИЭ УрО РАН, Ким Таксир – Академик Российской Академии Наук, Джозеф Хассид – декан экономического факультета Пирейского Университета (Греция), Тоомас Халдма - декан факультета экономики и администрирования бизнеса Университета Тарту (Эстония), профессор.

---

---

## სარჩევი

### ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

<b>იური ანანიაშვილი.</b> არადაკვირვებადი მაკროეკონომიკური მანქენებლების შეფასებისა და ანალიზის მოდელები ..	13
<b>მურმან ტარციძე, ეკატერინე კვიციანი.</b> სიღარიბე და ეკონომიკური განვითარების პრობლემები საქართველოში (ილია ჭავჭავაძის შეხედულებები და თანამედროვეობა) .....	55

### მიკრო-მაკროეკონომიკა

<b>მერაბ ჭიჭია.</b> ეთერზეთების წარმოების დაგეგმვისა და ორგანიზაციის სრულყოფისათვის .....	79
<b>ლელა ქაღაგიშვილი.</b> მცირე ბიზნესის განვითარების თეორიულ-გამოყენებითი საფუძვლების სრულყოფის საკითხები .....	89
<b>ღამით ჯანშირიანი.</b> კონომიკური ზრდა და მისი გავლენა საგადასახადო შემოსავლებზე საქართველოსა და სომხეთში (რუსულ ენაზე).....	107
<b>ირინე ბაქანიძე.</b> (ინგლისურ ენაზე) ხელფასი - ჰიგიენური ფაქტორი თუ მოტივატორი? .....	117

---

---

## შინაგარეო უკონომიკა

<b>ივანე შავლათაშვილი.</b> უკონომიკური ინსტანციის კრედიტორი .....	131
<b>ნიკოლოზ ქობიავა.</b> დომინანტი დაფინანსების სტრუქტურა და მისი გავლენა კაპიტალის ბაზრის რეგულაციაზე საქართველოში .....	147

## საგარეო უკონომიკური ურთიერთობები

<b>შუანგი სამაღაშვილი.</b> საქართველოს საგარეო ეკონომიკური ორიენტაციის მიმართულებები .....	167
--	-----

## მინა და სამართალი

<b>პაატა კოლუაშვილი, გაურ ჯინჯოლავა, ანა შირცხალაშვილი.</b> კონსტიტუციის სწორი გაგება სავალდებულოა, პირველ რიგში, მიწის საკითხში .....	189
--	-----

---

---

## CONTENTS

### ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

I.ANANIASHVILI. Models of Estimation and Analysis of Non-observable Macroeconomic Indicators .....	13
M. TSARTSIDZE, E. KVIRKVELIA. Poverty and economic development problems in Georgi (contemporaneity and ilia chavchavadze’s visions) .....	55

### MICRO – MACROECONOMICS

M. JIKHIA. Planning for the production of essential oils and the improvement .....	79
L. QADAGISHVILI. The Issues for Improving Theoretical-Appiied Basis of Small Business Development .....	89
D.JHANGIRYAN. Economic growth and its impact on tax revenues in Georgia and Armenia (Russian language) .....	107
I. BAKANIDZE . Salary - a Hygiene Factor or a Motivator? .....	117



## FINANCIAL ECONOMICS

V. SHAVDATUASHVILI. Lender of the Last Resort .....	131
N. KHOIAVA. The dominant structure of funding and and its impact on capital markets regulation in Georgia .....	147

## FOREIGN ECONOMIC AFFAIRS

U. SAMADASHVILI. Georgian activities of foreign economic orientation .....	167
--	-----

## LAND AND JUSTICE

P. KOGHUASHVILI, Z. JINJOLIANI, A. PIRTSKHALASHVILI. Mandatory of a proper understanding of the Constitution first of all in the land issue .....	189
---	-----



---

---

## СОДЕРЖАНИЕ

### ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

<b>ЮРИЙ АНАНИАШВИЛИ.</b> Модели анализа и оценки ненаблюдаемых макроэкономических показателей .....	13
<b>МУРМАН ЦАРЦИДЗЕ, ЭКАТЕРИНЕ КВИРКВЕЛИЯ.</b> Бедность и проблемы экономического развития Грузии (взгляды Ильи Чавчавадзе и современность) .....	55

### МИКРО-МАКРОЭКОНОМИКА

<b>МЕРАБ ДЖИКИА.</b> К совершенствованию планирования и организации эфиромасличного производства .....	79
<b>ЛЕЙЛА КАДАГИШВИЛИ.</b> Вопросы совершенствования теоретико-прикладных основ развития малого бизнеса .....	89
<b>ДАВИД ДЖАНГИРЯН.</b> Экономический рост и его влияние на налоговые доходы Грузии и Армении .....	107
<b>ПРИНА БАКАНИДЗЕ.</b> Заработная плата - гигиенический фактор или мотиватор? .....	117

---

---

## **ФИНАНСОВАЯ ЭКОНОМИКА**

<b>ИВАНЕ ШАВДАТУАШВИЛИ.</b> Кредитор последней инстанции .....	131
<b>НИКОЛОЗ КОИАВА.</b> Структура доминантного финансирования и её влияние на регуляцию рынка капитала в Грузии. ....	147

## **ВНЕШНЕЭКОНОМИЧЕСКИЕ ОТНОШЕНИЯ**

<b>УШАНГИ САМАДАШВИЛИ.</b> Направления внешне-экономической ориентации грузии .....	167
---	-----

## **ЗЕМЛЯ И ПРАВО**

<b>ПААТА КОГУАШВИЛИ, ЗАУР ДЖОЛОХАВА, АННА ПАРЦХАЛАШВИЛИ.</b> Правильное понимание конституции обязательно, прежде всего, по земельному вопросу .....	189
--	-----

## ილია მეორე: საქართველო გაბრწყინდება



ჩვენში აუცილებლად მოხდება ფერიცვლელა, მაღლი, რომელიც შეეცვლის ჩვენს ფიზიკურ და სულიერ ბუნებას.

საქართველო დაემაართა სხვა ერებსაჲ ფერიცვლელაში, – ამის შესახებ საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქმა, უნმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მუხეთაში, სამთავროს დედათა

მონასტერის ფერიცვლელის სახელობის ეკლესიაში სადღესასწაულო ნირვის შემდეგ განაუჩადა.

ქადაგებისას უნმინდესმა მრევლს ფერიცვლელის დღესასწაული მიულოოჲ და სახარების მიხედვით მის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„დღეს ჩვენ ვფიქრობთ იმის შესახებ, როდის მოხდება ფერიცვლელა საქართველოში და დანწყულია თუ არა ეს ფერიცვლელა? მრავალი განსაუდელის ნინაშე დგას კარბრიობა, კარბრიობა თანდათან კარგავს ჟემარიტ სარნმუნობას, საქართველო კი პირიქით, ძლიერდება ჟემარიტტ მართლომადიდებელ ეკლესიაში. ის

---

ნინასწარმეცყველებს, რომ საქართველო გაზრნყინდება, ეს პრორესი, ეს ფერირვალება, ეს გაზრნყინება დანყებულია. ჩვენ ვმადლორბთ ყფაღს ამ დიდი ნყალორბისათვის”, – აღნიშნა ყნმინდესმა

„ჩვენში აყურიღებღად მოხდება ფერირვალება, მადღი, რომელიყ მყრვლის ჩვენს ფიზიყურ და სყლიერ ზყუნებას. საქართველო დაეხმარება სხვა ერებსაყ ამ ფერირვალებაში, ღმერთმა დაგლოყროთ, გაგახაროთ და ღმერთმა ინებოს ნყალორბა, მშვიდობა, სიყვარული და სიხარული გაძღი-ერდეს ჩვენში”, – ზრძანა ყნმინდესმა ქადაგებისას

**არალაკვირვებადი მაკროეკონომიკური  
მაჩვენებლების შეფასებისა და ანალიზის  
ვოლუმი**

**იური ანანიავილი**

**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის პროფესორი,  
ეკონომეტრიკის კათედრის ხელმძღვანელი**

მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა, რომელსაც ეფუძნება ეკონომიკური ანალიზი და პოლიტიკის შემუშავება, დაკვირვებად და არადაკვირვებად ჯგუფებად შეიძლება დავეთ. დაკვირვებად მაჩვენებელთა სიმრავლე შედარებით ფართოა. მათი შინაარსი იმდენად კარგად არის გნსაზღვრული, რომ შემუშავებულია გაზომვის შესაბამისი მეთოდოლოგიები. ეს გარემოება მოქმედ სტატისტიკურ სისტემას საშუალებას აძლევს გაიანგარიშოს დაკვირვებადი მაჩვენებლები და ის დაინტერესებულ მომხმარებელს მიაწოდოს.

არადაკვირვებადი მაჩვენებლები, როგორცაა, მაგალითად, პოტენციური მთლიანი შიგა პროდუქტი, უმუშევრობის ბუნებრივი დონე, კაპიტალის ოპტიმალური, ანუ სასურველი მოცულობა, ოპტიმალური საშუალო საგადასახადო განაკვეთი, დაგროვების ოპტიმალური ნორმა და ა.შ. უპირატესად თეორიული ბუნების სიდიდეებია. ისინი წამყვან როლს ასრულებენ ეკონომიკური კანონზომიერებების შეცნობასა და ანალიზში. ამავე დროს, ზოგიერთი მათგანის მნიშვნელოვნება აშკარად სცდება წმინდა თეორიულ ჩარჩოებს და, გაზომვის შესაძლებლობის შემთხვე-

1 სტატია შემოკლებული ვარიანტია მოხსენების, რომელიც თსუ-ში ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ 2014 წლის სამეცნიერო ფორუმზე საუკეთესოდ იქნა მიჩნეული.

ვაში, შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ ეკონომიკის მდგომარეობის შეფასების ინდიკატორად.

სამწუხაროდ, არათუ გაზომვის შესაძლებლობა, არამედ ზოგიერთი არადაკვირვებადი მაჩვენებლის მკაცრად ჩამოყალიბებული და საყოველთად მიღებული განმარტებაც კი არ არსებობს. ამის გამო, სტატისტიკური სამსახურები ასეთი მაჩვენებლების გაანგარიშებას არ ახორციელებენ და არც იმის საშუალება არსებობს, რომ დაკვირვებადი მაჩვენებლების პირდაპირი გარდაქმნის პროცედურებით მივიღოთ ისინი. პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთ გზას გარკვეული დაშვებებზე დაფუძნებული რაოდენობრივი ანალიზის მეთოდების, განსაკუთრებით კი - ეკონომეტრიკული ანალიზის მეთოდებისა და მოდელების გამოყენება წარმოადგენს. ქვემოთ რამდენიმე ასეთ მოდელს განვიხილავთ, რომლებშიც რეალიზებულია ჩვენი შეხედულება იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება შევავასოთ ისეთი მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი მაჩვენებლები, როგორცაა უმუშევრობის ბუნებრივი დონე, პოტენციური მთლიანი შიგა პროდუქტი (შემდეგში მას შემოკლებით ვუწოდებთ პოტენციურ გამოშვებას), ოუკენის კოეფიციენტი და ოპტიმალური აგრეგირებული საგადასახდო განაკვეთი.

### **საქართველოს ეკონომიკის უმუშევრობის ბუნებრივი დონისა და პოტენციური გამოშვების შეფასების მოდელი**

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში უმუშევრობის ბუნებრივი დონის (NRU-ს) რამდენიმე განმარტებას ვხვდებით [1; 2, გვ. 491; 3, გვ. 188; 4, გვ. 543]. მათ შორის პრინციპული განსხვავება არ არსებობს და ნებისმიერი მათგანი შეიძლება დაედოს საფუძვლად მოცემული

მახასიათებლის შეფასებას. ამიტომ შემდეგში უმუშევრობის ბუნებრივ დონეში ვიგულისხმებთ შრომის ბაზრის წონასწორობის შესაბამის უმუშევრობის დონეს, რომელიც ყალიბდება იმ შემთხვევაში, როცა შრომაზე მოთხოვნა და შრომის მიწოდება ერთმანეთს ემთხვევა.

უმუშევრობის ბუნებრივი დონის მსგავსად, პოტენციური გამოშვების რამდენიმე, შეიძლება ითქვას, ერთმანეთის მეტნაკლებად ეკვივალენტურ განმარტება არსებობს [2, გვ. 68; 3. გვ. 191; 4, გვ. 25]. მათში პოტენციური გამოშვება ძირითადად წარმოების ფაქტორების სრულ გამოყენებასთან მიმართებით განიხილება. შემდეგში პოტენციური გამოშვების ცნებას ჩვენ რამდენადმე გავამარტივებთ და მასში ვიგულისხმებთ ბუნებრივი უმუშევრობის მდგომარეობის, ანუ სრული დასქმების მდგომარეობის, შესაბამის გამოშვების მოცულობას.

უმუშევრობის ბუნებრივი დონისა და პოტენციური გამოშვების შეფასების საყოველთაოდ მიღებული სტანდარტული მეთოდები და მიდგომები არ არსებობს<sup>1</sup>. მაგრამ, ასეთი მეთოდებისა და მიდგომების არსებობის შემთხვევაშიც კი, ამ მახასიათებლების მნიშვნელობის შეფასებისას ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რომელი თეორიული მოდელის – კლასიკურის თუ კეინზიანურის – პრინციპებიდან განვიხილავთ კონკრეტული ქვეყ-

---

<sup>1</sup> უმუშევრობის ბუნებრივი დონისა და პოტენციური გამოშვების შეფასების მეთოდების დეტალურ მიმოხილვას შეიძლება გავეცნოთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევროპის ცენტრალური ბანკის და ეროვნული ცენტრალური ბანკების სამუშაო დოკუმენტებში, აგრეთვე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წარმომადგენლების პუბლიკაციებში, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის კვლევის შედეგებს ასახავს და აღვიღად ხელმისაწვდომია [1; 5-10].

ნის ეკონომიკის შრომის ბაზრის ქცევის კანონზომიერებებს.

კლასიკურის თანახმად, შრომის ბაზარი კონკურენტულია, ამიტომ წონასწორობის მდგომარეობაში ყოფნა ან მისკენ სწრაფვა შრომის ბაზრისათვის ნორმალური მოვლენაა. თუ ეს ასეა, მაშინ კლასიკური თეორიის მიხედვით, ფაქტობრივი და სრული დასაქმება, ხშირ შემთხვევაში, ან ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს, ან ერთმანეთისაკენ უნდა მიისწრაფვოდეს – საშუალოდ მათ შორის განსხვავება მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს. მეორე მხრივ, დასაქმებულთა რაოდენობა პოტენციური გამოშვების მთავარი განმსაზღვრელია. ამიტომ, თუ ჩავთვლით, რომ ფაქტობრივი დასაქმება მიახლოებით ასახავს სრულ დასაქმებას, მაშინ ფაქტობრივი და პოტენციური გამოშვების მნიშვნელობებიც საშუალოდ ერთმანეთთან ახლოს მდგომ სიდიდეებად უნდა განვიხილოთ. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ *კლასიკური თეორიის მართებულობის პირობებში საშუალოდ ფაქტობრივი და სრული დასაქმების მნიშვნელობები, ასევე ფაქტობრივი და პოტენციური გამოშვების მნიშვნელობები, ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად არ უნდა განსხვავდებოდეს*. ამასთან, უმუშევრობის მაღალი ფაქტობრივი დონის მქონე ეკონომიკაში მაღალი იქნება უმუშევრობის ბუნებრივი დონე და დაბალი - ჩამორჩენა პოტენციური გამოშვების მოცულობიდან, რომელიც პოტენციური და ფაქტობრივი გამოშვებების სხვაობით იზომება. ამ დასკვნას იზიარებს, აგრეთვე, ოლივიე ბლანშარი, რომელიც მაკროეკონომიკის თავის ცნობილ სახელმძღვანელოში აღნიშნავს, რომ შედარებით მაღალი უმუშევრობის ქვეყნებში (მაგალითად, საფრანგეთსა და გერმანიაში) „მაღალი უმუშევრობის დონე ასახავს უმუშევრობის მაღალ



ბუნებრივ დონეს და არა უმუშევრობის დონის ბუნებრივი დონისაგან გადახრას“ [3, გვ. 172].

კეინზიანური მოდელის მიხედვით შრომის ბაზარზე ქრონიკულად აღგილი აქვს იძულებით უმუშევრობას (სიტუაციას, როცა შრომის მიწოდება აღემატება შრომაზე მოთხოვნას), თუმცა, შესაძლებელია *კეინზიანური წონასწორობის მიღწევა* [11, გვ. 191]. კლასიკური წონასწორობისგან განსხვავებით, კეინზიანური წინასწორობისთვის სავალდებულო არ არის შრომაზე მოთხოვნისა და შრომის მიწოდების ერთმანეთთან გატოლება და სრული დასაქმების მდგომარეობაში ყოფნა; მთავარია, არსებული ნომინალური ხელფასისა და ფასების დონის პირობებში, შრომის ბაზარმა შესძლოს ეფექტური მოთხოვნის (ანუ საქონლის ბაზრის მხრიდან არსებული მოთხოვნის) დაკმაყოფილება. თუ ჩავთვლით, რომ კეინზიანური მოდელი მართებულია, მაშინ ლოგიკურად მივდივართ დასკვნამდე, რომ ეკონომიკაში ფაქტობრივად არსებული დასაქმება საშუალოდ შესამჩნევად უნდა ჩამოუვარდებოდეს სრულ დასაქმებას (ანუ ფაქტობრივად არსებული უმუშევრობის დონე საშუალოდ შესამჩნევად უნდა აღემატებოდეს უმუშევრობის ბუნებრივ დონეს). თავის მხრივ, ეს ნიშნავს, რომ *კეინზიანური მოდელის მიხედვით, პოტენციური გამოშვების სიდიდეს საშუალოდ შესამჩნევად უნდა ჩამოუვარდებოდეს ფაქტობრივი გამოშვების სიდიდე.*

მაშასადამე, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ *ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ კლასიკური და კეინზიანური უმუშევრობის ბუნებრივი დონე და კლასიკური და კეინზიანური პოტენციური გამოშვება.* ამასთან, ზოგად შემთხვევაში, კეინზიანური უმუშევრობის ბუნებრივი დონე არ უნდა აღემატებოდეს კლასიკურ უმუშევრობის ბუნებრივ დონეს, ხოლო კეინზიანური პოტენ-

ციური გამოშვება არანაკლები უნდა იყოს კლასიკურ პოტენციურ გამოშვებაზე.

მეთოდიკური თვალსაზრისით გაცილებით რთულია კეინზიანური, ვიდრე კლასიკური უმუშევრობის ბუნებრივი დონისა და პოტენციური გამოშვების განსაზღვრა. სწორედ ამიტომ უმუშევრობის ბუნებრივი დონის შეფასების დღეს არსებული მეთოდები [1; 2; 5-10] ძირითადად უმუშევრობის კლასიკური ბუნებრივი დონის შეფასებაზეა ორიენტირებული. ამ მეთოდებს შორის ყველაზე მარტივი გრძელვადიანი პერიოდისათვის უმუშევრობის ფაქტობრივი დონეების საშუალოს გამოთვლას გულისხმობს [2, გვ. 552; 12, გვ. 200]. თუ ამ მეთოდს დავეყრდნობით და ვისარგებლებთ, მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, მივიღებთ, რომ 1998-2013 წლიანი პერიოდისთვის საქართველოში უმუშევრობის ბუნებრივი დონე დაახლოებით 13,5%-ს შეადგენდა. იმის დასადგენად, თუ რამდენად რეალურად ასახავს საშუალო მაჩვენებელი საქართველოს შრომის ბაზრის გრძელვადიანი წონასწორობის მდგომარეობას, საჭიროა ვიცოდეთ უმუშევრობის ბუნებრივი დონის სხვა, უფრო სრულყოფილი, ალტერნატიული მეთოდებით გამოთვლილი მნიშვნელობა, რომელთანაც შედარებას მოვახდენთ.

ქვემოთ ერთ-ერთ ასეთ შესაძლო მეთოდს განვიხილავთ [13]. მისი თავისებურება ისაა, რომ უმუშევრობის ბუნებრივი დონის გამოთვლის პროცესში საშუალება გვქვლივა ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ამ მახასიათებლის **მოკლევადიანი (short-run *NRU*)** და **გრძელვადიანი (long-run *NRU*)** ვარიანტები და განვსაზღვროთ ეკონომიკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი მახასიათებლის – პოტენციური გამოშვების მნიშვნელობები. მოკ-

ლევადიანს ვუწოდებთ უმუშევრობის ბუნებრივ დონეს, რომლის დროსაც მოცემული პერიოდის ფაქტობრივი გამოშვების მოცულობა ამავე პერიოდის პოტენციური გამოშვების მოცულობას ემთხვევა. ასეთ სიტუაციაში შრომის ბაზარი მოკლევადიან წონასწორობაშია. უმუშევრობის ბუნებრივი დონის გრძელვადიანი მნიშვნელობა კი შეესაბამება შრომის ბაზრის მდგრად წონასწორობას, რომლისკენაც მიისწრაფვის ეკონომიკა გრძელვადიან პერიოდში, როგორც დროებით, ასევე მუდმივ შოკებთან შეგუების შედეგად.

შემოთავაზებული მეთოდის რეალიზაცია ეფუძნება სამი ტიპის განტოლებისგან შემდგარ ეკონომეტრიკული მოდელის აგებასა და გამოყენებას:

$$\frac{Y_t^* - Y_t}{Y_t^*} = \rho(u_t - u^*) + \vartheta_t, \quad (1)$$

$$Y_t = (1 - \theta)Y_t^* + \theta Y_{t-1} + \zeta_t, \quad (2)$$

$$Y_t^* = \beta_0 + \beta_1 L_t + \beta_2 APN_t + \varepsilon_t, \quad (3)$$

სადაც  $Y_t$  არის ფაქტობრივი გამოშვების მთლიანი მოცულობა  $t$  პერიოდში;  $Y_t^*$  პოტენციური გამოშვების მოცულობა  $t$  პერიოდში;  $u_t$  უმუშევრობის ფაქტობრივი დონე  $t$  პერიოდში;  $u^*$  -უმუშევრობის ბუნებრივი დონის გრძელვადიანი მნიშვნელობა;  $\rho$  -ოუკენის პარამეტრია;  $\theta$  -არაუარყოფითი პარამეტრია ( $0 \leq \theta \leq 1$ ) და შრომის ბაზრის მოკლევადიანი წონასწორობისაკენ მოძრაობის სიჩქარეს გამოსახავს;  $L_t$  სამუშაო ძალის რაოდენობაა  $t$  პერიოდში;  $APN_t$  -  $t$  პერიოდში შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი.

ნებელია;  $\beta_0$ ,  $\beta_1$  და  $\beta_2$  რეგრესიის კოეფიციენტებია;  $\mathcal{G}_t$ ,  $\zeta_t$ ,  $\varepsilon_t$  – რეგრესიის შემთხვევითი წევრებია.

(1)-(3) სისტემის პირველი განტოლება ოუკენის ფორმულის ერთ-ერთი ვარიანტია და შესაბამისობას ამყარებს უმუშევრობის დონესა და მიუღებელ მშპ-ის სიდიდეს შორის. მეორე განტოლება ფაქტობრივ და პოტენციურ გამოშვებებს შორის დამოკიდებულებას გამოსახავს. იგი ეფუძნება კლასიკური თეორიის დაშვებას იმის შესახებ, რომ ცალკეულ პერიოდში ფაქტობრივი და პოტენციური გამოშვებების განსხვავების ძირითადი მიზეზი შრომის ბაზრის წონასწორობაში თანდათანობითი გადასვლაა. ამასთან, გადასვლის სიჩქარე დამოკიდებულია  $\theta$  პარამეტრის მნიშვნელობაზე. (1)-(3) სისტემაში  $\theta$ -სა და ჩვენთვის საინტერესო  $Y_t^*$  მახასიათებლების შეფასებაში გვეხმარება მოდელის მესამე განტოლება, რომელშიც გამოშვების პოტენციური მოცულობა  $Y_t^*$  ამხსნელ ფაქტორებზე, კერძოდ, სამუშაო ძალაზე და შრომის საშუალო მწარმოებლურობაზე დამოკიდებული ცვლადის სახით მოიცემა.

(1)-(3) მოდელის შესაფასებლად და, მაშასადამე, უმუშევრობის ბუნებრივი დონისა და პოტენციური გამოშვების არადაკვირვებადი მნიშვნელობების განსაზღვრისათვის გამოვიყენეთ საქართველოს ეკონომიკის 1997-2008 წლების კვარტალური მონაცემები. საანალიზო პერიოდად მხოლოდ 1997-2008 წლების განხილვა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2008 წლიდან მოყოლებული სამუშაო ძალის, დასაქმებულების და უმუშევრების შესახებ მონაცემებს მხოლოდ წლიური ჭრილით ამუშავებს, წლიური მონაცემების მწკრივები კი საკმარისი არ არის საიმედო შეფასე-

ბების მისაღებად. საჭირო ინფორმაცია ავიღეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ინტერნეტ საიტიდან და ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის (GEPLAC)-ის კვარტალური მიმოხილვებიდან “საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები”<sup>2</sup>. გაანგარიშებებში გამოყენებული მშპ-ის მნიშვნელობები განხილულია 2003 წლის ფასებში, მილიონ ლარებში. იმის გამო, რომ საანალიზო პერიოდისთვის მშპ-ის, სამუშაო ძალის, დასაქმებულების და უმუშევრების საწყისი კვარტალური მონაცემების დროითი მწკრივები სეზონურობის აშკარა ელემენტებს შეიცავს, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ წინასწარ, მოდელში გამოყენებამდე, მოგვეხდინა ამ მწკრივებში სეზონურობისა და ციკლურობის ელემენტის ნიველირება სტატისტიკისა და ეკონომეტრიკის პრაქტიკაში მიღებული პროცედურების საფუძველზე [იხ. მაგალითად, 14, გვ. 311-327].

შეფასების შედეგად (1)-(3) სისტემამ შემდეგი სახე მიიღო

$$\frac{Y_t^* - Y_t}{Y_t^*} = 0,4926 \times (u_t - 9,0983) + v_t, \quad (4)$$

$$Y_t = 0,69Y_t^* + 0,31Y_{t-1} + \zeta_t, \quad (5)$$

$$Y_t^* = -2874,68 + 1,5073L_t + 1642,77 APN_t + e_t, \quad (6)$$

სადაც  $u_t$ ,  $\zeta_t$  და  $e_t$  ნარჩენობითი წევრებია.


აქ მოყვანილი შედეგები რამდენიმე საინტერესო დასკვნის საშუალებას იძლევა:

<sup>2</sup><http://www.geplac.ge/geo/trends.php>

1. ვინაიდან მთლიანი გამოშვების კორექტირების პროცესის (5) განტოლებაში  $(1-\theta)$ -ს მნიშვნელობა (0,69) 0,5-სა და 1-ს შორისაა მოქცეული, შეიძლება ითქვას, რომ საანალიზო პერიოდში, საქართველოს ეკონომიკაში, კვარტალური ფაქტობრივი და პოტენციური გამოშვების დაახლოება საშუალოზე მაღალი სიჩქარით მიმდინარეობდა;

2. თუ გამოვითვლით (6) განტოლებით შეფასებულ პოტენციური გამოშვების შესაბამის უმუშევრობის დონის მნიშვნელობებს, მივიღებთ უმუშევრობის ბუნებრივი დონის მოკლევადიან მნიშვნელობებს (ნახ. 1). გაანგარიშებამ გვიჩვენა, რომ მათი საშუალო პერიოდული სიდიდე 1997-2008 წლებში დაახლოებით 11,1%-ს შეადგენდა რაც ფაქტობრივი უმუშევრობის დონის ანალოგიურ მაჩვენებელზე (13,2%-ზე) 2,1 პროცენტული პუნქტით ნაკლებია;

**ნახ.1.** ფაქტობრივი უმუშევრობის დონისა და პოტენციური გამოშვების შესაბამისი უმუშევრობის დონის დინამიკა



3. აღსანიშნავია, რომ დაახლოებით ასეთივე სიდიდით განსხვავდება უმუშევრობის ბუნებრივი დონის მოკლევადიანი მნიშვნელობების საშუალო არითმეტიკული (11,1%) უმუშევრობის ბუნებრივი დონის გრძელვადიანი მნიშვნელობის –  $u^*$  -საგან. ეს უკანასკნელი მოცემულია (4) განტოლებაში, საიდანაც გამომდინარეობს, რომ არსებული სტატისტიკური მონაცემების პირობებში საქართველოში 1997-2008 წლებში უმუშევრობის ბუნებრივი დონის გრძელვადიანი მნიშვნელობა (ანუ შრომის ბაზრის გრძელვადიანი წონასწორობის შესაბამისი უმუშევრობის დონე) –  $u^*$ , დაახლოებით 9,1%-ს შეადგენდა.

4. შეიძლება ვთქვათ, რომ 1997-2008 წლებში საქართველოს შრომის ბაზრის ფაქტობრივი მდგომარეობა მისი ბუნებრივი, ანუ გრძელვადიანი მდგომარეობიდან მნიშვნელოვნად გადახრილი იყო, რაც უარყოფითად აისახებოდა ეკონომიკურ ზრდასა და ქვეყნის კეთილდღეობაზე. (6) განტოლებაში მოცემული ოუკენის კოეფიციენტის მნიშვნელობა ( $\rho = 0,4926$ ) და განსხვავება უმუშევრობის ფაქტობრივ და ბუნებრივ დონებს შორის, რომელიც საშუალოდ 4%-ია, გვაფიქრებინებს, რომ საანალიზო პერიოდის ყოველ კვარტალში მშპ-ის დანაკარგი საშუალოდ დაახლოებით 2%-ს შეადგენდა.

### **ოუკენის განტოლებისა და კოეფიციენტის ვარიანტები**

ოუკენის კანონის ამსახველი ფორმულა ემპირიულად დადგენილ იმ დამოკიდებულებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მაკროეკონომიკური კანონზომიერებების ანალიზის პროცესში [15, გვ. 98–104]. ზემოთ მოყვანილ (1)-(3) მოდელში აღნიშ-

ნული ფორმულა ჩვენ განვიხილეთ განტოლებათა სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტის – (1)-ის, როლში. მაგრამ, ზოგჯერ ოუკენის კანონის ამსახველი ფორმულა

$$\frac{Y_t^* - Y_t}{Y_t^*} = \rho(u_t - u^*) \tag{7}$$

დამოუკიდებელი მოდელის სახით გამოიყენება იმ მიზნით, რომ შეფასდეს ოუკენის პარამეტრის,  $\rho$  -ს, მნიშვნელობა [16-19]. ეს უკანასკნელი არადაკვირვებად მაკროეკონომიკურ მახვენებელთა ჯგუფს მიეკუთვნება და, განმარტების თანახმად, აკმაყოფილებს პირობას  $\rho > 0$ . შინაარსობრივად  $\rho$  გვიჩვენებს პოტენციური გამოშვებიდან ფაქტობრივი გამოშვების ჩამორჩენის პროცენტულ ცვლილებას უმუშევრობის ფაქტობრივი დონის მისი ბუნებრივი მნიშვნელობიდან ერთი პროცენტული პუნქტით გადახრის შემთხვევაში. ადვილად შევნიშნავთ, რომ (7) გამოსახულება მოვლენას სტატიკაში აღწერს – მასში შემავალი ყველა მახვენებელი ერთი და იგივე პერიოდს მიეკუთვნება – ამიტომ (7)-ს შეიძლება ვუწოდოთ **ოუკენის სტატიკური განტოლება**, ხოლო  $\rho$ -ს **ოუკენის სტატიკური კოეფიციენტი (პარამეტრი)**.

რეალურთან მიახლოებული  $\rho$  -ს მნიშვნელობის დადგენა ეკონომეტრიკული ანალიზის ერთ-ერთი საინტერესო საკითხია. პრაქტიკაში  $\rho$  -ს მნიშვნელობის შესაფასებლად უშუალოდ (7) გამოსახულების გამოყენება სირთულეებთანაა დაკავშირებული, რადგანაც მასში შემავალი  $Y_t^*$  და  $u^*$  არადაკვირვებადი სიდიდეებია. ამ სირთულის გადალახვის რამდენიმე გზა არსებობს. ერთი მათგანი გულისხმობს მოდელთა კომპლექსის აგებას, რომელ-



შიც  $\rho$  -სა და ზოგიერთ სხვა მნიშვნელოვან მახასიათებელთან ერთად შეფასებას ექვემდებარება პოტენციური გამოშვება და უმუშევრობის ბუნებრივი დონე. ასეთი მიდგომის ერთ-ერთი მაგალითი ზემოთ უკვე განვიხილეთ და ვნახეთ, რომ 1997-2008 წლებში საქართველოს ეკონომიკისთვის  $\rho$  -ს მნიშვნელობა დაახლოებით 0,5-ს შეადგენდა. უფრო მარტივ სიტუაციაში  $Y_t^*$  -ისა და  $u^*$  -ის შესაფასებლად შეიძლება მივმართოთ რომელიმე ცნობილ ფილტრს, რომელიც დროით მწკრივში ტრენდული და ციკლური კომპონენტების გამოყოფის საშუალებას იძლევა. საქმე ისაა, რომ გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, პოტენციური გამოშვებისა და უმუშევრობის ბუნებრივი დონის მნიშვნელობებად, ხშირ შემთხვევაში, ფილტრით მიღებული ტრენდის შესაბამისი სიდიდეები განიხილება [1; 8]. ცხადია, ასეთი მიდგომის გამოყენება ეფუძნება გამარტივებულ დაშვებას იმის შესახებ, რომ გამოშვების ფაქტობრივი მნიშვნელობა ირხევა  $Y_t^*$  -ს გარშემო, უმუშევრობის ფაქტობრივი დონე კი –  $u^*$  -ს გარშემო.

კიდევ ერთი გზა გულისხმობს (7) გამოსახულების გარდაქმნას რეგრესიის განტოლებად ისე, რომ მხოლოდ დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით მივიღოთ  $\rho$  -ს შეფასება. შესაძლებელია გარდაქმნის რამდენიმე ვარიანტი და, შესაბამისად,  $\rho$  -ს მნიშვნელობის შეფასების ერთმანეთისაგან განსხვავებული რამდენიმე მოდელის აგება. განვიხილოთ ორი ასეთი მოდელი.

დასაწყისში შევჩერდეთ გარდაქმნილი მოდელის იმ ვარიანტზე, რომლის საფუძველზეც მიღებული შედეგები განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება მაკროეკონომიკის და ეკონომიკის სახელმძღვანელოებში ოუკენის პარამეტ-

რის კონკრეტული რიცხობრივი მნიშვნელობის როლში [20, გვ. 137; 2, გვ. 270; 4, გვ. 29]. ამ ვარიანტის მისაღებად (7)-ის პარალელურად განვიხილოთ განტოლება, რომელიც მართებულია  $(t-1)$  პერიოდისთვის:

$$\frac{Y_{t-1}^* - Y_{t-1}}{Y_{t-1}^*} = \rho(u_{t-1} - u^*) \quad (8)$$

გამოვაკლოთ (7)-დან (8). გარკვეული ალგებრული გარდაქმნების შედეგად შემდეგ გამოსახულებას მივიღებთ

$$g_t = g_t^* - \frac{Y_t^*}{Y_{t-1}} \rho \Delta u_t, \quad (9)$$

სადაც  $\Delta u_t$  უმუშევრობის დონის ცვლილების სიდიდეა:

$\Delta u_t = u_t - u_{t-1}$ ;  $g_t^*$  აღნიშნავს პოტენციური მშპ-ის მატეხის ტემპს,  $g_t$  კი – ფაქტობრივი მთლიანი შიგა პროდუქტის მატეხის ტემპს:

$$g_t^* = \Delta Y_t^* / Y_{t-1}^*; \quad g_t = \Delta Y_t / Y_{t-1}.$$

გავაკეთოთ ორი მნიშვნელოვანი დაშვება:

1) ჩავთვალოთ, რომ პოტენციური გამოშვების მატეხის ტემპი  $g_t^*$  დამოკიდებული არ არის  $t$ -ზე და მუდმივი სიდიდეა:  $g_t^* = g^*$ ;

2) შეფარდება  $Y_t^* / Y_{t-1}$ , რომლის მნიშვნელობა მზარდი ეკონომიკის პირობებში, როგორც წესი, ერთზე მეტი სიდიდეა, აღვნიშნოთ  $q_t$ -თი:  $q_t = Y_t^* / Y_{t-1}$ . ამასთან, გავამარტივოთ სიტუაცია და ჩავთვალოთ, რომ  $q$  დამოკიდებული არ არის  $t$ -ზე.

ყოველივე ამის სანაცვლოდ (9)-ში ჩავრთოთ ცდომილებების აღმნიშვნელი შემთხვევითი სიდიდე  $\varepsilon_t$ . მაშინ მივიღებთ შემდეგი სახის კარგად ცნობილ რეგრესიის განტოლებას, რომელსაც ოუკენის კანონის “სხვაობითი ვერსია” ეწოდება:

$$g_t = g^* - \rho_1 \Delta u_t + \varepsilon_t, \quad (10)$$

სადაც  $\rho_1 = q\rho$ . (10)-ის საფუძველზე დაკვირვებადი  $g_t$ -სა და  $\Delta u_t$ -ს მნიშვნელობებით შესაძლებელია  $g^*$ -სთან ერთად შევაფასოთ  $\rho_1$  პარამეტრის მნიშვნელობა. განმარტების თანახმად,  $q$  და  $\rho$  დადებითი სიდიდეებია, ამიტომ  $\rho_1$ -ს წინ მდგარი უარყოფითი ნიშანი გვიჩვენებს, რომ თუ რომელიმე პერიოდში უმუშევრობის დონე წინა პერიოდის დონესთან შედარებით გაიზრდება, მაშინ ეს, სხვა თანაბარ პირობებში, უარყოფითად აისახება გამოშვების მოცულობის მატების ტემპზე, რაც ბუნებრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

აშკარაა, რომ განხორციელებული გარდაქმნებისა და დაშვებების გამო (10)-ის შინაარსობრივი მხარე რამდენადმე განსხვავდება ოუკენის სტატიკურ (7) ფორმულაში ასახული პროცესის შინაარსისგან. (7)-სგან განსხვავებით (10) მოვლენას დინამიკაში აღწერს, რადგანაც მასში შემავალი როგორც მატების ტემპის,  $g_t$ -ს, ასევე უმუშევრობის დონის,  $\Delta u_t$ -ს, მახასიათებლები დროში ცვლილებას გამოხატავს. აქედან გამომდინარე,  $\rho_1$ -ს შეიძლება ვუწოდოთ **ოუკენის დინამიკური კოეფიციენტი**, ხოლო (10) განტოლებას – **ოუკენის დინამიკური განტოლება**. შინაარსობრივად,  $\rho_1$  *გამოსახავს უმუშევრობის დონე*

ნის დროში ცვლილების გავლენას ფაქტობრივი მშპ-ის მატების საშუალო ტემპზე. მაშასადამე,  $\rho_1$  არ არის ოუკენის პარამეტრი იმ კლასიკური თვალსაზრისით, როგორითაც ეს უკანასკნელი მოცემულია (7)-ში. ბუნებრივია, რომ ოუკენის სტატიკურ და დინამიკურ პარამეტრებს შორის, შინაარსობრივ განსხვავებასთან ერთად, რაოდენობრივი განსხვავებაც იარსებებს.

ამის მიუხედავად, მრავალი მკვლევარი არ ანსხვავებს სტატიკურ და დინამიკურ პარამეტრებს,  $\rho_1$  -ს ტრადიციულად აიგივებს ოუკენის პარამეტრთან და ოუკენის კანონის რაოდენობრივი გამოსახვისთვის ძირითადად მიმართავს (10) განტოლებას ან მის შებრუნებულ ვარიანტს<sup>3</sup>. ზოგჯერ ამას, ჩვენი აზრით, შედეგად მოსდევს ოუკენის კანონის არასწორი ინტერპრეტირება.

მაგალითისთვის განვიხილოთ (10) განტოლებით აშშ-ის ეკონომიკისთვის მიღებული მახასიათებლები. ითვლება, რომ აშშ-ის ეკონომიკისთვის ოუკენის პარამეტრი

---

<sup>3</sup> ჩვენს შემთხვევაში (10)-ის შებრუნებული ვარიანტი შემდეგი სახით შეიძლება ჩავწეროთ:  $\Delta u_t = \alpha_0 - \alpha_1 g_t + \xi_t$ , სადაც  $\xi_t$  რეგრესიის შემთხვევით წევრს აღნიშნავს;  $\alpha_0 = g^* / \rho_1$ ,  $\alpha_1 = 1 / \rho_1$ . როგორც წესი, ეს ორი განტოლება  $\rho_1$  -ის ერთმანეთისგან რამდენადმე განსხვავებულ მნიშვნელობას იძლევა, რადგანაც  $g_t$  -სა და  $\Delta u_t$  -ს შორის კავშირი, თუკი იგი არსებობს, სტატისტიკურია და არა ფუნციონალური. გრეინჯერის მიზეზობრიობის ტესტის მიხედვით,  $g_t$  და  $u_t$  ერთმანეთის მიზეზის როლში გვევლინება. ამის მიუხედავად, მიგვაჩნია, რომ (10)-სა და მის შებრუნებულს შორის არჩევანის გაკეთებისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს (10)-ს.

დაახლოებით 2-ის ტოლია, ხოლო  $g^*$ -ს მნიშვნელობა კი დაახლოებით 3%-ს შეადგენს [3, გვ. 272]. ეს შეფასებები მიღებულია სწორედ (10) მოდელის ან მისი შებრუნებული ვარიანტის გამოყენებით. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ ჩვენც განვიხილავთ აშშ-ის ეკონომიკის რეალური მშპ-ისა და უმუშევრობის დონის მონაცემებს 1948-2013 წლებისთვის<sup>4</sup>, მათ საფუძველზე გამოვითვლით  $g_t$ -სა და  $\Delta u_t$ -ს მნიშვნელობებს და შევაფასებთ რეგრესიის (10) განტოლებას. მივიღებთ

$$g_t = 0,0336 - 1,8552\Delta u_t, \quad R^2 = 0,72; F = 168; DW = 1,33, \quad (11)$$

(t) (21,397) (-12,946)

სადაც რეგრესიის კოეფიციენტების ქვეშ, ფრჩხილებში, მოცემულია სტიუდენტის  $t$  სტატისტიკის მნიშვნელობები, ხოლო  $e_t$  რეგრესიის ნარჩენობით წევრს აღნიშნავს.

რომ არა დარბინ-უოტსენის  $DW$  კოეფიციენტის შედარებით მცირე მნიშვნელობა (ავტოკორელაციის პრობლემა), შეიძლება ვთქვათ, რომ (11) განტოლება და მისი კოეფიციენტების შეფასებები წმინდა ფორმალური და სტატისტიკური თვალსაზრისით სრულიად მისაღებად გამოიყურება. თუმცა ავტოკორელაციის პრობლემის გადაჭრის შემდეგაც  $g^*$ -ისა და  $\rho_1$ -ის მნიშვნელობები დიდად არ შეიცვალა და შემდეგი სურათი მივიღეთ  $g^* = 0,0336$ ,  $\rho_1 = 1,8674$ . პოტენციური გამოშვების მატე-

---

<sup>4</sup>The US Unemployment Rate – 1948 to 2011;  
<http://www.miseryindex.us/urbyyear.asp> ;  
[www.bea.gov](http://www.bea.gov) – აშშ-ის ეკონომიკური ანალიზის ბიუროს ოფიციალური საიტი.

ბის ტემპის,  $g^*$  -ს, შეფასება 0,0336 (ანუ 3,36%) მცირედენ აღემატება ფაქტობრივი მატების ტემპის საშუალო პერიოდულ სიდიდეს, რომელმაც აშშ-ისთვის 1948-2013 წლებში 3,26% შეადგინა. რაც შეეხება  $\rho_1$  -ის შეფასებას, იგი 2-თან საკმარისად მიახლოებული სიდიდეა და შეადგენს 1,87%-ს. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რას უდრის მოცემულ სიტუაციაში ოუკენის სტატიკური  $\rho$  კოეფიციენტის შეფასება და რამდენად განსხვავდება იგი დინამიკური კოეფიციენტის შეფასებისაგან? თუ გაეთვალისწინებთ იმას, რომ (11)-ის სახით განსაზღვრული დინამიკური მოდელის შემთხვევაში  $\rho_1$  და  $\rho$  კოეფიციენტებს შორის განსხვავებას ასახავს  $q$  პარამეტრი, რომელიც, მისი შინაარსიდან გამომდინარე, ერთზე ოდნავ მეტი სიდიდეა, შევნიშნავთ, რომ  $\rho$  -ს შეფასება საკმარისად ახლოს უნდა იყოს  $\rho_1$  -ის შეფასებათან. მაგალითად,  $q$  პარამეტრის, ანუ  $Y_t^*/Y_{t-1}$  შეფარდების, საშუალო მნიშვნელობად თუ ავიღებთ 1,04-ს, რაც სრულიად დასაშვებია აშშ-ის ეკონომიკისათვის, მაშინ ოუკენის სტატიკური კოეფიციენტის შეფასება (11) განტოლების პირობებში ტოლი იქნება  $\rho = 1,8674/1,04 \approx 1,796$ .

არსებობს რამდენიმე მომენტი, რომელიც (10)-ის ტიპის დინამიკური მოდელის და მისგან მიღებული  $\rho_1$  და  $\rho$  შეფასებების კორექტულობის შესახებ კითხვებს ბადებს.

პირველი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც აშშ-ისთვის ოუკენის სტატიკური  $\rho$  კოეფიციენტის მნიშვნელობის არაკორექტულობაზე მიუთითებს, უმუშევრობის დონის აბსოლუტური  $u_t$  მნიშვნელობებიდან ნაზრდით (დიფე-

რენცირებულ)  $\Delta u_t$  მნიშვნელობებზე გადასვლას უკავშირდება. საქმე ისაა, რომ ასეთი ნაბიჯით უმუშევრობის ფაქტობრივი დონის ყოველწლიურ ნაზრდებს ვაიგივებთ უმუშევრობის ბუნებრივი დონიდან გადახრის სიდიდესთან, რაც არასწორია. გარდა ამისა, ამ ცვლილებით ორი ეკონომეტრიკული ხასიათის პრობლემა წარმოიქმნება. ერთი მათგანი (11) მოდელის შეფასების პროცესში გამოყენებული დროითი მწკრივების სტაციონარულობას უკავშირდება. ანალიზი გვიჩვენებს, რომ აშშ-ის მთლიანი შიგა პროდუქტის მატების წლიური ტემპის –  $g_t$ -ს, დროითი მწკრივი სტაციონარულია. დიკი-ფულერის *ADF* ტესტის 5%-იანი კრიტიკული წერტილების, ასევე ალტერნატიული *KPSS* ტესტის 1%-იანი და 5%-იანი კრიტიკული წერტილების მიხედვით სტაციონარულს მიეკუთვნება, აგრეთვე, უმუშევრობის დონის,  $u_t$ -ს, დროითი მწკრივი. ასეთ პირობებში რეგრესიის მოდელში ამხსნელ ცვლადად  $u_t$ -ს ნაცვლად მისი პირველი რიგის სხვაობის  $\Delta u_t$ -ს განხილვა, როგორც წესი, რიგ არასასურველ შედეგს იწვევს. კერძოდ, “დიფერენცირებული”  $\Delta u_t$  მწკრივი, მიუხედავად იმისა, რომ სტაციონარულობის თვისებას ინარჩუნებს, ხშირად საწყის  $u_t$  მწკრივთან შედარებით უფრო მაღალი დისპერსიით ხასიათდება [21, გვ. 381], ხელს უწყობს მწკრივის მომდევნო მნიშვნელობებს შორის ე. წ. ცრუ ავტოკორელაციის გაჩენას, მწკრივის მცურავი საშუალოს *MA* ნაწილს არაშეებრუნებადს ხდის და, საბოლოოდ, ეს გარემოებები რეგრესიის კოეფიციენტების შეფასებებზეც აისახება [22, გვ. 450].

რეგრესიის განტოლებაში სტაციონარული  $u_t$  მნიშვნელობებიდან ნაზრდითი  $\Delta u_t$  მნიშვნელობებზე გადასვლით გამოწვეული მეორე პრობლემა, ეკონომეტრიკულთან ერთად, შინაარსობრივ დატვირთვისაც ატარებს. საქმე ისაა, რომ ნაზრდით  $\Delta u_t$  სიდიდეებზე გადასვლის გამო, მოდელმა შეიძინა დინამიკური ხასიათი, მაგრამ დაიკარგა ინფორმაცია გრძელვადიანი კავშირის შესახებ [23, გვ. 449-453], რომელიც რეალურად არსებობს მშპ-ის მატების ტემპსა და უმუშევრობის დონეს შორის. ამის გამო,  $t$  წლის შესაბამისი  $g_t$ -ს ნებისმიერი ცვლილება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც  $t$  წლის, ასევე წინა წლების უმუშევრობის დონეების ცვლილებით, მთლიანად მიეწერება მხოლოდ  $t$  წლის შესაბამის  $\Delta u_t$ -ს. ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში (10) განტოლებით შეფასებული  $\Delta u_t$ -ს კოეფიციენტი  $\rho_1$  შეიძლება არაკორექტული აღმოჩნდეს.

განვიხილოთ ოუკენის კანონის ამსახველი განტოლების კიდევ ერთი ვარიანტი [24], რომელიც თავისუფალია (10) მოდელის ძირითადი ნაკლოვანებებისაგან. განტოლების ამ ვარიანტის მისაღებად დავუბრუნდეთ (7) გამოსახულებას და მის მარცხენა მხარეში შემდეგი გარდაქმნები განვახორციელოთ:

$$\begin{aligned} \frac{Y_t^* - Y_t}{Y_t^*} = \rho(u_t - u^*) &\Rightarrow 1 - \frac{Y_t}{Y_t^*} = 1 - \frac{Y_t}{Y_{t-1}} \frac{Y_{t-1}}{Y_t^*} = \\ &= 1 - (1 + g_t) \frac{Y_{t-1}}{Y_t^*} = \rho(u_t - u^*), \end{aligned}$$



სადაც  $(1 + g_t)$  მშპ-ის ზრდის ტემპს აღნიშნავს. ამ ტოლობიდან გამომდინარეობს, რომ

$$(1 + g_t) = \frac{Y_t^*}{Y_{t-1}} - \frac{Y_t^*}{Y_{t-1}} \rho(u_t - u^*). \quad (12)$$

შეფარდება  $Y_t^*/Y_{t-1}$ , რომელთანაც შეხება ხეშოთაც გეჭონდა, კვლავ  $q_t$ -თი აღვნიშნოთ. განმარტებიდან გამომდინარე,  $q_t$  უახლოვდება პოტენციური გამოშვების ზრდის ტემპს  $(1 + g_t^*)$ -ს, მაგრამ უმეტესად აღემატება მას, რადგანაც, ზოგად შემთხვევაში,  $(Y_t^*/Y_{t-1}) \leq (Y_t^*/Y_{t-1})$ . ამიტომ  $q_t$ -ს ვუწოდოთ **პოტენციური გამოშვების ზრდის კვაზიტემპი**. ამასთან, დავუშვათ, რომ  $q_t$  დამოკიდებული არ არის  $t$ -ზე და ამის სანაცვლოდ (12)-ში ჩავერთოთ ცდომილების აღმნიშვნელი შემთხვევითი სიდიდე  $\varepsilon_t$ . მაშინ პარამეტრების მიმართ არაწრფივი რეგრესიის შემდეგ განტოლებას მივიღებთ:

$$(1 + g_t) = q - q\rho(u_t - u^*) + \varepsilon_t, \quad (13)$$

რომელშიც  $(1 + g_t)$  და  $u_t$  დაკვირვებადი სიდიდეებია.

ხეშოთ განხილულ (10) მოდელისგან განსხვავებით (13)-ში მხოლოდ ერთი ცვლადია დინამიკური,  $(1 + g_t)$  – ფაქტობრივი გამოშვების ზრდის ტემპი. რაც შეეხება ამხსნელ ანუ რეგრესორულ ცვლადს,  $(u_t - u^*)$ -ს, იგი დროში ცვლილებასთან არ ასოცირდება და გამოხატავს მოცემულ პერიოდში უმუშევრობის დონის ბუნებრივი მნიშ-

ენელობიდან გადახრას. ამის გათვალისწინებით (13)-ს პირობითად შეიძლება ვუწოდოთ **კვაზიდინამიკური მოდელი**, ხოლო  $(u_t - u^*)$  -ს კოეფიციენტს,  $q\rho$  -ს, – ოუკენის **კვაზიდინამიკური კოეფიციენტი**. აღვნიშნოთ იგი  $\rho_2$ -ით,  $\rho_2 = q\rho$ . როგორც ვხედავთ, ეს უკანასკნელი განისაზღვრება ოუკენის სტატიკური კოეფიციენტისა ( $\rho$ ) და პოტენციური გამოშვების ზრდის კვაზიტემპის ( $q$ ) ნამრავლით. მართალია, ასევე განისაზღვრება (10) მოდელის ოუკენის დინამიკური კოეფიციენტიც  $\rho_1$ , მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავება ისაა, რომ კვაზიდინამიკური კოეფიციენტი  $\rho_2$  გამოშვების ზრდის ტემპის მაჩვენებელს აკავშირებს უმუშევრობის დონის ბუნებრივი მნიშვნელობიდან გადახრასთან, მაშინ როცა დინამიკური კოეფიციენტი  $\rho_1$ , გამოშვების მატების ტემპს აკავშირებს უმუშევრობის დონის დროში ცვლილებასთან. ფორმალური თვალსაზრისით ეს ნიშნავს, რომ **კვაზიდინამიკური კოეფიციენტი პირველი რიგის წარმოებულით განსაზღვრული სიდიდეა, დინამიკურ კოეფიციენტს კი მეორე რიგის წარმოებული შეესაბამება**.

მიუხედავად იმისა, რომ (13) მოდელში შემავალი  $u^*$  -ის მნიშვნელობა უცნობია, ეს სულაც არ გვიშლის ხელს, რომ მოცემული დაკვირვებადი  $(1 + g_t)$  -სა და  $u_t$  -ს მნიშვნელობებით შევაფასოთ ოუკენის კვაზიდინამიკური კოეფიციენტი  $\rho_2 = q\rho$ . შეიძლება ვაჩვენოთ, რომ (13) მოდელის პირობებში  $u^*$  -ის სხვადასხვა მნიშვნელობას  $\rho$  -სა და  $q$  -ს სხვადასხვა მნიშვნელობა შეესაბამება, მაგრამ

მათი ნამრავლი  $qp$  დამოკიდებული არ არის უმუშევრობის ბუნებრივი დონის მნიშვნელობაზე,  $u^*$ -ზე. ამის ნათელ დადასტურებას იძლევა ცხრილი 1, სადაც  $u^*$ -ის რამდენიმე შესაძლო ვარიანტისათვის მოცემულია აშშ-ის 1948-2013 წლების მონაცემების მიხედვით შეფასებული  $\rho$ -ს,  $q$ -სა და  $\rho_2$ -ის მნიშვნელობები.

**ცხრილი 1.** აშშ-ის უმუშევრობის ბუნებრივი დონის, პოტენციური გამოსვების ზრდის კვაზიტემპისა და ოუკენის კვაზიდინამიკური პარამეტრის მნიშვნელობები

	$\rho_2 = qp$	$q$	$\rho$
$u^* = 0,04$	0,5676	1,0429	0,5442
$u^* = 0,045$	0,5676	1,0401	0,5457
$u^* = 0,05$	0,5676	1,0372	0,5472
$u^* = 0,055$	0,5676	1,0344	0,5487
$u^* = 0,06$	0,5676	1,0316	0,5502
$u^* = 0,065$	0,5676	1,0287	0,5517

ცხრილის ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ:

- უმუშევრობის ბუნებრივი დონის სხვადასხვა მნიშვნელობას ოუკენის კვაზიდინამიკური კოეფიციენტის,  $\rho_2$ -ის, ერთი და იგივე სიდიდე – 0,5676 შეესაბამება;
- უმუშევრობის ბუნებრივი დონის სიდიდეზე დამოკიდებულია პოტენციური გამოსვების ზრდის კვაზიტემპი (ასევე, დიდი ალბათობით, – ნამდვილი ტემპი). რაც უფრო მაღალია უმუშევრობის ბუნებრივი დონე, მით ნაკლებია პოტენციური გამოსვების ზრდის კვაზიტემპი (ასევე, დიდი ალბათობით, – ნამდვილი ტემპი);

• უმუშევრობის ბუნებრივი დონის სიდიდეზე დამოკიდებულია ოუკენის სტატიკური კოეფიციენტის მნიშვნელობა  $\rho$  : რაც უფრო მაღალია უმუშევრობის ბუნებრივი დონე, მით მაღალია ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა. შინაარსობრივად ეს ნიშნავს, რომ უმუშევრობის ბუნებრივი დონიდან ფაქტობრივი დონის ერთი ერთეულით (პროცენტული პუნქტით) გადახრას მით მეტი გავლენის მოხდენა შეუძლია პოტენციურ და ფაქტობრივ გამოშვებებს შორის გარღვევის სიდიდეზე, რაც უფრო მაღალია უმუშევრობის ბუნებრივი დონე.

აღსანიშნავია კიდევ ერთ საინტერესო გარემოება. 1948-2013 წლებში აშშ-ის უმუშევრობის დონის საშუალო პერიოდული მნიშვნელობა 5,83%-ს შეადგენდა. ასეთ სიტუაციაში, თუ აშშ-ის უმუშევრობის ბუნებრივ დონედ პირობითად ავიღებთ ამ მაჩვენებელს და მისი გათვალისწინებით შევაფასებთ კვაზიდინამიკურ მოდელს (13)-ს, შემდეგ განტოლებას მივიღებთ

$$(1 + \hat{g}_t) = 1,0326 - 1,0326 \times 0,5497(u_t - 0,0583);$$

$$(t) \quad (376,02) \quad (-3,3644) \quad (14)$$

$$R^2 = 0,15, F = 11,3, DW = 1,73.$$

(14) სტატისტიკური კრიტერიუმების თვალსაზრისით სრულიად დამაკმაყოფილებელია. მოყვანილ განტოლებაში პოტენციური გამოშვების ზრდის კვაზიტემპის -  $q$  -ს, შეფასება შეადგენს 1,0326-ს. ეს მაჩვენებელი ზუსტად ემთხვევა 1948-2013 წლების ფაქტობრივი გამოშვების საშუალო პერიოდულ ზრდის ტემპს. მეორე მხრივ, ცხრილი 1-ის ანალიზი გვიჩვენებს, რომ  $q$  მხოლოდ იმ შემთხვევაში აღემატება 1,0326-ს, როცა  $u^*$  დებულობს

0,0583-ზე ნაკლებ მნიშვნელობას. მაშასადამე, უმუშევრობის ბუნებრივი დონის როლში საშუალო პერიოდული მნიშვნელობის განხილვა მხოლოდ მაშინაა დასაშვები, როცა ეკონომიკა სრული დასაქმების პირობებში ფუნქციონირებს და პოტენციური გამოშვება ფაქტობრივს ემთხვევა. მაგრამ, თუ მიგვაჩნია, რომ, ზოგადად, პოტენციური გამოშვება აღემატება ფაქტობრივს, რაც რეალობასთან ახლოა, მაშინ უნდა ჩავთვალოთ, ასევე, რომ უმუშევრობის ბუნებრივი დონე ფაქტობრივი დონეების საშუალო პერიოდულ მნიშვნელობაზე ნაკლები უნდა იყოს.

(14) განტოლებაში  $q$  -სთან ერთად მოყვანილია ოუკენის სტატიკური პარამეტრის,  $\rho$  -ს, შეფასება – 0,5497. ამ მნიშვნელობისაგან მცირედენ გნსხვავდება ცხრილ 1-ში მოცემული  $\rho$  -ს შეფასებები, რომლებიც გამოთვლილია სხვადასხვა  $u^*$  -სთვის: არც ერთი მათგანი არ აღემატება 0,6-ს<sup>5</sup>. მეორე მხრივ, ოუკენის სტატიკური პარამეტრისთვის სრულიად განსხვავებული შედეგი მივიღეთ დინამიკური მოდელის (11) განტოლებიდან. ამ უკანასკნელში  $\rho$  -ს შეფასებამ დაახლოებით 1,8 შეადგინა, რაც სამჯერ და უფრო მეტად აღემატება კვაზიდინამიკური მოდელიდან მიღებულ  $\rho$  -ს შეფასებებს. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: ოუკენის სტატიკური კოეფიციენტის ამ შეფასებებიდან რომელია მეტ-ნაკლები ხარისხით რეალობის შესატყვისი? თუ გაეთვალისწინებთ დინამიკური მოდელის ზემოთ აღწერილ ნაკლოვანებებს, აგრეთვე იმას,

---

<sup>5</sup> შედარებისთვის შეგახსენებთ, რომ უმუშევრობისა და პოტენციური გამოშვების კლასიკური მოდელის საფუძველზე საქართველოს ეკონომიკისთვის 1997-2008 წლების მონაცემებით შეფასებული ოუკენის სტატიკური პარამეტრის მნიშვნელობა შეადგენდა დაახლოებით 0,493-ს.

რომ (10) მოდელთან შედარებით (13) შინაარსობრივი თვალსაზრით უკეთესად გადმოსცემს ოუკენის კანონის არსს, ფორმალურ-სტატისტიკური კრიტერიუმების თვალსაზრისითაც მისი შეფასებული ვარიანტები, მათ შორის (14), სრულიად დამაკმაყოფილებელია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოუკენის სტატისტიკური პარამეტრის შესაფასებლად უნდა გამოვიყენოთ კვაზიდინამიკური და არა დინამიკური მოდელი.

**ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის, პოტენციური  
გამოშვებისა და უმუშევრობის ბუნებრივი დონის  
შეფასების მოდელი<sup>6</sup>**

ნებისმიერ ეკონომიკაში პროდუქციის გამოშვების სიდიდე დამოკიდებულია არსებული ეკონომიკური რესურსების მოცულობაზე, ხარისხსა და გამოყენების ტექნოლოგიის დონეზე. ეს ფაქტორები ეკონომიკის საწარმოო-ტექნოლოგიურ შესაძლებლობას განსაზღვრავს და მათი საუკეთესო განაწილებისა და სრული გამოყენების შემთხვევაში გამოშვების მოცულობა მაქსიმალურია, რომელსაც სხვანაირად გამოშვების პოტენციურ დონეს ვუწოდებთ. ეკონომიკაში არანაკლებ როლს ინსტიტუციური გარემო ასრულებს, რომლის შექმნაც სახელმწიფოს ფუნქციაში შედის. იმაზე დამოკიდებულებით, რამდენად სრულყოფილია ინსტიტუციური გარემო, ერთი და იგივე საწარმოო-ტექნოლოგიური შესაძლებლობების პირობებში გამოშვების მოცულობა განსხვავებული იქნება ნებისმიერი ორი ეკონომიკისათვის ან დროის ნებისმიერი ორი პერიოდისთვის. საუკეთესო, ანუ იდეალური ინსტიტუციური გარემოს შემთხვევაში ფაქტობრივი და პოტენციური

---

<sup>6</sup>სტატიის ამ ნაწილის თანაავტორია აკად. ვ. პაპავა

გამოშვებები ერთმანეთის ტოლია. მაგრამ, როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში, ფაქტობრივად არსებული ინსტიტუციური გარემო განსხვავდება მისი იდეალური ვარიანტისაგან, ამიტომ ეკონომიკის ფაქტობრივი ერთობლივი გამოშვების დონე პოტენციურს ჩამოუვარდება. უდავოა, რომ ინსტიტუციური გარემოს შექმნაში, სხვა მრავალ მომენტთან ერთად, მნიშვნელოვან როლს დაბეგვრის არსებული სისტემა და ტვირთი ასრულებს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ როგორი უნდა იყოს საგადასახადო ტვირთის სიმძიმის განმსაზღვრელი საშუალო საგადასახადო განაკვეთი, რომ ეკონომიკის მთლიანი გამოშვება პოტენციურ დონეზე იმყოფებოდეს.

ასეთი განაკვეთის განსაზღვრა (უფრო ზუსტად, შეფასება), რომელიც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია, საჭიროებს სპეციფიკური მოდელის აგებასა და გამოყენებას. მოდელის ასაგებად კი აუცილებელია გავამარტივოთ სიტუაცია და დაუშვათ, რომ სწორედ დაბეგვრის სისტემა არის ინსტიტუციური გარემოს შექმნის მთავარი ფაქტორი და ეკონომიკურ სუბიექტთა ქცევის განმსაზღვრელი. ასეთ შემთხვევაში, ერთობლივი გამოშვებისა და ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელობები აგრეგირებული საგადასახადო განაკვეთის სიდიდეზე დამოკიდებულ ფუნქციებად შეიძლება განვიხილოთ. თუ ერთობლივი გამოშვებას აღვნიშნავთ  $Y$ -ით, ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებს  $T$ -ით, მაშინ შეგვიძლია ჩავწეროთ  $Y = Y(t)$  და  $T = T(t)$ , სადაც  $t$  აგრეგირებული (საშუალო) საგადასახადო განაკვეთია, რომელიც აკმაყოფილებს პირობას  $0 \leq t \leq 1$ . ამასთან  $Y(t)$  და  $T(t)$  ფუნქციები ერთმანეთთან შემდეგ შესაბამისობაში იმყოფება:  $T(t) = tY(t)$ .

ეს დამოკიდებულება გვიჩვენებს, რომ ბიუჯეტის შემოსავლების ფუნქციის ქცევას  $Y(t)$ -ს ქცევა განსაზღვრავს. ამის გამო, შემდეგში ამ ორი ფუნქციიდან ყურადღებას უფრო მეტად მთლიანი გამოშვების  $Y(t)$  ფუნქციაზე გავეამახვილებთ.

$Y(t)$  და  $T(t)$  ფუნქციების აგებას და შეფასებას საფუძვლად შეიძლება დავედოთ მიწოდების ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი წარმომადგენლის არტურ ლაფერის კონცეფციის განზოგადებული ვარიანტი [2, გვ. 247], რომლის პოსტულატები ფორმალიზებული სახით შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაცალიბოთ:

1) აგრეგირებული (საშუალო) საგადასახადო განაკვეთის განსაზღვრის არეს კიდურა  $t=0$  და  $t=1$  წერტილებზე გამოშვების მოცულობის,  $Y(t)$ -ს, და ბიუჯეტის შემოსავლების,  $T(t)$  -ს, მნიშვნელობები ნულის ტოლია, ე.ი.

$$Y(0) = Y(1) = 0, \quad T(0) = T(1) = 0;$$

2) არსებობს საშუალო საგადასახადო განაკვეთის  $t$ -ს ისეთი მნიშვნელობები  $t^*$  და  $t^{**}$ , რომ  $Y(t)$  ზრდადია  $[0, t^*)$  შუალედში, კლებადია  $(t^*, 1]$  შუალედში, ხოლო  $T(t)$  ზრდადია  $[0, t^{**})$  შუალედში და კლებადია  $(t^{**}, 1]$  შუალედში, ამასთან,

$$\max_{0 \leq t \leq 1} Y(t) = Y(t^*), \quad \max_{0 \leq t \leq 1} T(t) = T(t^{**}).$$

საშუალო საგადასახადო განაკვეთს -  $t^*$ -ს, რომლის დროსაც გამოშვების მოცულობა მაქსიმალურია, ლაფერის პირველი გვარის ფისკალური წერტილი, მაქსი-



მალური საბიუჯეტო შემოსავლების მომტან  $t^{**}$ -ს კი ლაფერის მეორე გვარის ფისკალური წერტილი ეწოდება [25]. ცხადია, ამ ორი წერტილიდან ეკონომიკისათვის უფრო მნიშვნელოვანია პირველი გვარის წერტილი –  $t^*$ . ამიტომ  $t^*$ -ს პირობითად **ოპტიმალურ საშუალო საგადასახადო განაკვეთს** ვუწოდებთ.

ფისკალური  $t^*$  და  $t^{**}$  წერტილების განსაზღვრის მიზნით ერთობლივი გამოშვებისა და ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების  $Y(t)$  და  $T(t)$  ფუნქციები, ზოგად შემთხვევაში, შეიძლება შემდეგი სახით წარმოვადგინოთ [26]:

$$Y(t) = Y^* f(t) = Y^* (-e t^\delta \ln t^\delta), \quad (15)$$

$$T(t) = tY(t) = tY^* f(t) = Y^* (-e t^{\delta+1} \ln t^\delta), \quad (16)$$

სადაც  $Y^*$  – ეკონომიკის საწარმო-ტექნოლოგიური შესაძლებლობის გამომსახველი შედეგია;  $f(t)$  – ინსტიტუციური ასპექტის ამსახველი ფუნქცია. უფრო კონკრეტულად,  $Y^*$  გამოსახავს პოტენციური გამოშვების მოცულობას არსებული ტექნოლოგიის პირობებში ეკონომიკური რესურსების სრული გამოყენების დროს. რაც შეეხება  $f(t) = -e t^\delta \ln t^\delta$  ფუნქციას, იგი აღწერს გადასახადების ჯამური ეფექტის გავლენას გამოშვებაზე. ამ ფუნქციაში  $\delta$  სტატისტიკურად შესაფასებელი დადებითი პარამეტრია;  $e$  - ნეპერის რიცხვია (ნატურალური ლოგარითმის ფუძე).

შეიძლება ვაჩვენებთ, რომ (15)-(16) მოდელის პირობებში ლაფერის პირველი და მეორე გვარის ფისკალური წერტილების,  $t^*$ -ს და  $t^{**}$ -ს, მნიშვნელობები შემდეგნაირად განისაზღვრება:



$$t^* = \exp\left(-\frac{1}{\delta}\right) = e^{-1/\delta}, \quad t^{**} = \exp\left(-\frac{1}{\delta+1}\right) = e^{-1/(\delta+1)}. \quad (17)$$

გარდა ამისა, სამართლიანია შემდეგი პირობები:

$$\lim_{t \rightarrow 0} Y(t) = 0, \quad Y(t^*) = Y_{pot}, \quad Y(1) = 0.$$

$$\lim_{t \rightarrow 0} T(t) = 0, \quad T(t^{**}) = \frac{\delta}{1+\delta} Y_{pot}, \quad T(1) = 0.$$

როგორც ვხედავთ, (15)-(16) მოდელის პირობებში  $t^*$  და  $t^{**}$  ფისკალური მახასიათებლების მნიშვნელობები მთლიანად  $\delta$  პარამეტრზეა დამოკიდებული. ამ უკანასკნელის შეფასებისათვის და, მაშასადამე, (18)-(19) მოდელის იდენტიფიკაციისათვის, საჭიროა დაკვირვების მონაცემები  $Y(t)$ -ს,  $t$ -ს, და  $Y^*$ -ის შესახებ. ჩამოთვლილთაგან უკანასკნელი ( $Y^*$ ) არადაკვირვებადი სიდიდეა, ამიტომ მისი მნიშვნელობის შეფასება მოცემული მოდელის პირობებში გარკვეული მეთოდის შემუშავებას მოითხოვს.

(15)-(16) მოდელის ფარგლებში  $Y^*$ -თან დაკავშირებული პრობლემის გადაწყვეტისათვის უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ მთლიანი გამოშვების პოტენციური დონე  $Y^*$ , გამოშვების ფაქტობრივი დონისაგან განსხვავებით, განისაზღვრება ეკონომიკური რესურსების არა გამოყენებული, არამედ არსებული მოცულობით. თუ ყურადღებას მხოლოდ ორ აგრეგირებულ რესურსზე – შრომასა და კაპიტალზე გავამახვილებთ, მაშინ შეგვიძლია ჩავწეროთ  $Y^* = \varphi(\Phi, L)$ , სადაც  $\Phi$  – კაპიტალის არსებული მოცულობაა;  $L$  – სამუშაო ძალის არსებული რაოდენობა;  $\varphi$  – რაიმე შესაფასებელი ფუნქცია, რომელსაც შეიძლება პირობითად „პოტენციური გამოშვების

ტექნოლოგიური ფუნქცია“ ვუწოდოთ. თუ ერთობლივი გამოშვების (15) ფუნქციაში  $Y^*$ -ის მნიშვნელობას  $\varphi(\Phi, L)$  ფუნქციით ჩავანაცვლებთ და მიღებულ გამოსახულებას რეგრესიულ განტოლებად გარდავქმნით, მაშინ  $\delta$ -სთან ერთად  $\varphi(\Phi, L)$  ფუნქციის შეფასებასა შევძლებთ.

საილუსტრაციოდ კვლავ მივმართოთ აშშ-ის ეკონომიკის შესახებ არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს და საანალიზო პერიოდად განვიხილოთ 1970-2008 წლები<sup>7</sup>. (15)-ის კონკრეტული ეკონომეტრიკული სახის დასადგენად კი პოტენციური გამოშვების  $Y^* = \varphi(\Phi, L)$  ფუნქცია შემდეგი ხარისხოვანი ფუნქციის სახით წარმოვადგინოთ:

$$Y_\tau^* = A e^{\lambda\tau} L_\tau^\mu L_{\tau-1}^\eta Y_{\tau-1}^\theta, \quad (18)$$

სადაც  $\tau$  – დროის აღმნიშვნელი ინდექსია;  $Y_\tau^*$  – პოტენციური გამოშვების მოცულობა  $\tau$  პერიოდში;  $A, \lambda, \mu, \eta$  და  $\theta$  სტატისტიკურად შესაფასებელი პარამეტრები;  $L_\tau, L_{\tau-1}$  – სამუშაო ძალის რაოდენობა დროის  $\tau$  და  $\tau-1$  პერიოდებში;  $Y_{\tau-1}$  – გამოშვების ფაქტობრივი მოცულობა  $\tau-1$  პერიოდში.

პოტენციური გამოშვების ფუნქციისათვის ასეთი სტრუქტურის შერჩევა რამდენიმე გარემოებამ განაპირობა. პირველი დაკავშირებულია ავტოკორელაციის პრობლემის გადალახვასთან. ლაგური  $L_{\tau-1}$  და  $Y_{\tau-1}$  ცვლადები მოდელში ძირითადად ამ მიზნითაა ჩართული, თუმცა ამ ცვლადების გათვალისწინება ეკონომიკური ანალიზის

---

<sup>7</sup>მონაცემები აღებულია აშშ-ის ეკონომიკური ანალიზის ბიუროს ოფიციალური საიტიდან: [www.bea.gov](http://www.bea.gov).

ჩარჩოს აფართოებს, რადგანაც შესაძლებელი ხდება დინამიკური ასპექტების ასახვა; მეორე გარემოება კაპიტალის არსებული მოცულობის ასახვას უკავშირდება. როგორც ვხედავთ, მოდელში წარმოების ეს ფაქტორი, სამუშაო ძალისაგან განსხვავებით, არ ფიგურირებს. გაანგარიშებებმა გვიჩვენა, რომ კაპიტალის მოცულობის გათვალისწინების შემთხვევაში, მოდელის შეფასებელი პარამეტრების ნაწილი სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია, ამიტომ სასურველია შემოვიფარგლოთ მხოლოდ ერთი ფაქტორით – სამუშაო ძალით. უფრო მეტიც, წმინდა ეკონომეტრიკული პრობლემის არარსებობის შემთხვევაშიც კი, პოტენციური გამოშვების დონის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად მხოლოდ სამუშაო ძალის განხილვა გამართლებულია. საკმე ისაა, რომ აშშ-ის ეკონომიკისთვის (და არა მარტო) შრომა უფრო „დეფიციტური“ ფაქტორია, ვიდრე კაპიტალი. სხვადასხვა გაანგარიშებით აშშ-ისთვის ე.წ. კაპიტალის დატვირთვის ბუნებრივი დონე დაახლოებით 82%-ია [10, გვ. 8], მაშინ როცა უმუშევრობის ბუნებრივი დონე 6%-ზე ნაკლებია.

(18)-ის მნიშვნელობა გავითვალისწინოთ (15)-ში და მიღებული გამოსახულებაგალოგარითმებით შემდეგი სახის რეგრესიულ განტოლებად გარდაექმნათ:

$$\ln\left(\frac{Y_\tau(t)}{-e \ln t_\tau}\right) = \ln(A\delta) + \lambda \tau + \mu \ln L_\tau + \eta \ln L_{\tau-1} + \theta \ln Y_{\tau-1} + \delta \ln t_\tau + \ln \varepsilon_\tau, \quad (19)$$

სადაც  $\varepsilon_\tau$  – შემთხვევითი წევრია და ახასიათებს პოტენციური გამოშვებიდან ფაქტობრივი გამოშვების გადახრის იმ ნაწილს, რომელიც არასაგადასახადო გარემოებებითაა განპირობებული (იგულისხმება, რომ  $\varepsilon_\tau$ -ს გააჩნია ლოგ-

ნორმალური განაწილება). მოცემული განტოლების შეფასების შედეგები მოყვანილია ცხრილ 2-ში. აქ მოცემული  $\delta$ -ს საფუძველზე, (17) ფორმულების გამოყენებით, ადვილად დავადგენთ, რომ საანალიზო პერიოდისათვის

$$t^* = 0,3162, \quad t^{**} = 0,5856.$$

ეს შედეგი ორ საინტერესო გარემოებაზე მიგვაჩვენებს.


**ცხრილი 2.** რეგრესიის (19) განტოლების შეფასების შედეგები

საანალიზო პერიოდი: 1970 – 2008 წლები;					
ცვლადები	კოეფიციენტები	შეფასებები	სტანდარტული შეცდომები	სტიუდენტის $t$ -სტატისტიკა	ალბათობა
მუდმივი	$\ln(A\delta)$	4,1663	1,1740	3,5486	0,0012
$\tau$	$\lambda$	0,0168	0,0042	4,0091	0,0003
$\ln L_\tau$	$\mu$	2,2793	0,5945	3,8342	0,0005
$\ln L_{\tau-1}$	$\eta$	-2,1935	0,5703	-3,8465	0,0005
$\ln Y_{\tau-1}$	$\theta$	0,4334	0,1259	3,4435	0,0016
$\ln t_\tau$	$\delta$	0,8685	0,0839	10,3453	0,0000
$R^2 = 0,9985$ , კორექტირებული $R^2 = 0,9982$ , $F(4,34) = 4390$ , $p < 0,0000$ ; $DW = 1,5770$ , $h = 1,65$					

პირველი, ლაფერის პირველი გვარის ფისკალური წერტილის, ანუ ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის,  $t^*$ -ს, აქ მოცემული მნიშვნელობა რამდენადმე აღემატება განხილული პერიოდის თითოეული წლის ფაქტობრივ  $t$ -ს მნიშვნელობას. შეიძლება ითქვას, რომ განხილულ პერიოდში აშშ-ის ეკონომიკა საშუალოდ არაოპტიმალური საგადასახადო ტვირთის პირობებში ფუნქციონირებდა.

ცალკეული წლების ფაქტობრივი საგადასახადო ტვირთის ოპტიმალურიდან გადახრის თვალსაჩინო ილუსტრირებას იძლევა ნახ. 2, სადაც წარმოდგენილია მიუღებელი მშპ-ის პროცენტული მნიშვნელობების დინამიკა. ნახ. 2 გვიჩვენებს, რომ ლაფერის თეორიის მართებულობის პირობებში, აშშ-ის ეკონომიკაში საგადასახადო ტვირთის მოწესრიგების გზით გამოშვების ზრდის გარკვეული რეზერვი არსებობდა. თუ გამოვითვლით საშუალო პერიოდულ მნიშვნელობას, მივიღებთ, რომ 1970-2008 წლებში, საგადასახადო ტვირთის არაოპტიმალურობის გამო, პოტენციური გამოშვებიდან ფაქტობრივის წლიური ჩამორჩენა საშუალოდ 0,66%-ს შეადგენდა.

**ნახ. 2.** არაოპტიმალური საგადასახადო ტვირთის მიზეზით აშშ-ის პოტენციური გამოშვების დონიდან ფაქტობრივი გამოშვების დონის ჩამორჩენის დინამიკა 1970-2008 წლებში




მეორე, საყურადღებო გარემოება ისაა, რომ ლაფერის ფისკალური წერტილები,  $t^*$  და  $t^{**}$ , ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება: მიღებული შედეგების თა-

ნახმად  $t^{**}$  თითქმის ორჯერ აღემატება  $t^*$ -ს. მოდელურ დონეზე შესაძლებელია იმის დადგენა, თუ რა დაემართებოდა განხილულ პერიოდში აშშ-ის ეკონომიკას საშუალო საგადასახადო განაკვეთის 0,5856-მდე გაზრდის შემთხვევაში. მოდელის თანახმად, გადასახადებში ასეთი ცვლილება, სხვა თანაბარ პირობებში, მიუღებელი მშპ-ის მანქანების 20%-მდე გაზრდას გამოიწვევდა. ეს გარემოება, რბილად რომ ვთქვათ, ეჭვის ქვეშ აყენებს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის მიზანშეწონილობას, რომლის დროსაც მთავრობისთვის პრიორიტეტული ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მაქსიმიზაციაა.

აუცილებლად მიგვაჩნია მეტად მნიშვნელოვანი დაზუსტება: პოტენციური გამოშვებიდან ფაქტობრივის გადახრა შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც არაოპტიმალური საგადასახადო ტვირთის მოქმედებით, ასევე სხვა არასაგადასახადო გარემოებებით და ფაქტორებით. ნახ. 2-ზე გადახრის მხოლოდ ის ნაწილია ასახული, რომელიც საგადასახადო ტვირთთანაა დაკავშირებული. დანარჩენ არასაგადასახადო გარემოებებითა და ფაქტორებით განპირობებულ გადახრას ახასიათებს (19) განტოლებაში შემავალი შემთხვევითი წევრი  $\varepsilon$ . გამოშვების მოცულობაზე ამ გარემოებებისა და ფაქტორების გავლენა ზოგჯერ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საგადასახადო ტვირთის გავლენა, თანაც ისინი შეიძლება სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებდნენ. ამის ადასტურებს ნახ. 3, სადაც წარმოდგენილია (19) მოდელით შეფასებული პოტენციური გამოშვების დონიდან ფაქტობრივი გამოშვების დონის მთლიანი გადახრის პროცენტული მნიშვნელობების დინამიკა. როგორც ნახატიდან ჩანს, ცალკეულ წლებში პოტენციურიდან გადახრის მნიშვნელობამ სამი და უფრო მეტი პროცენტული პუნქტი შეად-

გინა, მაშინ როცა არაოპტიმალური საგადასახადო ტვირთის მიზეზით გადახრის მაქსიმალური მნიშვნელობა დაახლოებით 1,2%-ს შეადგენდა. უფრო მეტიც, ცალკეულ წლებში არასაგადასახადო გარემოებების ზემოქმედება იმდენად ძლიერი იყო, რომ მან გადაფარა საგადასახადო ტვირთის არაოპტიმალურობით გამოწვეული უარყოფითი სტიმულები და ფაქტობრივმა გამოშვებამ, ჩამორჩენის ნაცვლად, პოტენციურ გამოშვებას გადააჭარბა. ასეთ შემთხვევებს ნახ. 3-ზე გადახრის უარყოფითი მნიშვნელობები შეესაბამება.

**ნახ. 3.** პოტენციური გამოშვების დონიდან ფაქტობრივი გამოშვების გადახრისა და უმუშევრობის დონის დინამიკა 1970-2008 წლებში აშშ-ში



ნახ. 3-ზე, პოტენციურიდან ფაქტობრივი გამოშვების გადახრების დინამიკის მრუდთან ერთად, მოცემულია უმუშევრობის ფაქტობრივი დონის დინამიკის ამსახველი მრუდი. როგორც ვხედავთ, ამ ორი მრუდის მოძრაობა ერთმანეთს ძალიან წააგავს, რაც იმას მოწმობს, რომ მაღალი უმუშევრობის დონის პირობებში ჩამორჩენა



პოტენციური გამოშვებიდან შესაბამისად მაღალი იყო, ხოლო განსაკუთრებით დაბალი (6%-ზე ნაკლები) უმუშევრობის დონის შემთხვევაში კი ფაქტობრივმა გამოშვებამ პოტენციურს გადააჭარბა. ეს შედეგი განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რადგანაც შემოთავაზებულ მოდელში არც უმუშევრობის დონე და არც გამოყენებული შრომის რაოდენობა ეგზოგენურ ცვლადებად დაფიქსირებული არ არის. უფრო მეტიც, (15)-(16) მოდელი უმუშევრობის ბუნებრივი დონის მნიშვნელობის ენდოგენური შეფასების საშუალებას იძლევა. ამის საჩვენებლად კვლავ მივმართოთ ოუკენის ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ (7) ფორმულას.

ვინაიდან აქ განხილული მოდელის პირობებში პოტენციური გამოშვების მნიშვნელობების შეფასება სორციელდება (18) ფუნქციის საფუძველზე, (7) ტოლობაში  $Y_{\tau}^*$ , ისევე როგორც  $Y_{\tau}$  და  $u_{\tau}$ , მოცემულს წარმოადგენს. ეს საშუალებას გვაძლევს (7) შემდეგი სახის რეგრესიის განტოლებად გარდავქმნათ

$$\frac{Y_{\tau}^* - Y_{\tau}}{Y_{\tau}^*} = \rho_0 + \rho u_{\tau} + v_{\tau}, \quad (20)$$

სადაც დამოკიდებული ცვლადი  $z_{\tau} = (Y_{\tau}^* - Y_{\tau})/Y_{\tau}^*$  აღნიშნავს  $\tau$  პერიოდის (წლის) პოტენციურ გამოშვებაში მიუღებელი გამოშვების წილს;  $v_{\tau}$  - შემთხვევითი წევრია;  $\rho$  ოუკენის სტატიკური კოეფიციენტია;  $\rho_0$  რეგრესიის თავისუფალი წევრია და შემდეგი სახით განისაზღვრება:  $\rho_0 = -\rho u^*$ .

(20)-ის შეფასებულ ვარიანტს შემდეგი სახე აქვს:



$$z = -2,4375 + 0,5049 u + v, \quad (21)$$

(t)      (2,5661) (3,3305)

$$R^2 = 0,23; F(1;37) = 11; DW = 1,66,$$

სადაც კოეფიციენტების ქვეშ ფრჩხილებში მითითებულია სტიუდენტის  $t$  სტატისტიკები. დეტერმინაციის კოეფიციენტის შედარებით მცირე მნიშვნელობის მიუხედავად შეფასებული განტოლება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, ამიტომ, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ 1970-2008 წლების მონაცემების თანახმად, აშშ-ისათვის ოუკენის სტატიკური კოეფიციენტის შეფასება  $\rho = 0,5049$ . რაც შეეხება უმუშევრობის ბუნებრივი დონის მნიშვნელობას,  $u^*$ -ს, იგი შეადგენს 4,827%-ს და მიიღება გამოსახულებიდან  $\rho_0 = -\rho u^*$ , რომელშიც  $\rho = 0,5049$ , ხოლო  $\rho_0 = -2,4375$ . უმუშევრობის ბუნებრივი დონის ეს მაჩვენებელი სრულ შესაბამისობაშია [3, გვ. 259]-ში მოყვანილ მნიშვნელობასთან, სადაც აღნიშნულია, რომ განხილულ პერიოდში აშშ-ში უმუშევრობის ბუნებრივი დონე, სავარაუდოდ, 5%-ზე ნაკლები იყო. ოუკენის კოეფიციენტის მნიშვნელობა კი, როგორც მოსალოდნელი იყო, რამდენჯერმე ნაკლებია დინამიკური მოდელის ანალოგიურ მაჩვენებელზე, მაგრამ ძალიან ახლოს არის კვაზიდინამიკური მოდელით მიღებულ მნიშვნელობასთან. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ეკონომიკისთვის  $\rho$ -ს ჩვენს მიერ შეფასებული მნიშვნელობა  $-0,4926$ , რომელიც მოყვანილი იყო ზემოთ, თითქმის ემთხვევა (21)-ში მოცემულ ანალოგიურ მნიშვნელობას და ეს იმ პირობებში, როცა აშშ-ის უმუშევრობის ბუნებრივი დონე საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელზე 2-ჯერ ნაკლებია.

**Models of Estimation and Analysis of Non-observable  
Macroeconomic Indicators**

**I. Ananiashvili**

The article propounds the hypothesis that two versions of potential output and natural rate of unemployment-classical and Keynesian ones should be differentiated from each other. As a rule, the natural rate of classical unemployment exceeds Keynesian one and classical potential output is less than Keynesian one.

There is presented the model of classical potential output and natural rate of unemployment; the noted characteristics of Georgian economy were estimated by applying this model for the period of 1997-2008 years.

The article addresses the three versions of Okun's parameter: static, dynamic and quasi-dynamic versions. By applying practical example there is shown that these characteristics differ from each other essentially as well as quantitatively. But, unfortunately, such differentiation doesn't happen in existing studies that leads us to wrong interpretation of Okun's law.

There is suggested and realized the model that enables to estimate the Laffer fiscal points, the volume of potential output, the natural rate of unemployment and the Okun's static coefficient with each other.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. **Ахундова О. В., Коровкин А. Г.** Опыт оценки естественного уровня безработицы в экономике россии. <http://www.ecofof.ru/pdf.php?id=books/kor 04/25>.
2. **Сакс Дж. Д., Ларрен Ф. Б.** Макроэкономика. Глобальный подход. Москва, Дело, 1996;
3. **ბლანშარი თ.** მაკროეკონომიკა. თარგმანი ინგლისურიდან. თსუ-ის გამომცემლობა, 2010;
4. **Дорнбуш Р., Фишер С.** Макроэкономика. Москва, МГУ, 1997;
5. **Брагин В. А., Осаковский В. В.** Оценка естественного уровня безработицы в россии в 1994-2003 гг.: эмпирический анализ. // *Вопросы экономики*. 2004, №3;
6. **Carra V., Saxena S. Sh.** Alternative Methods of Estimating Potetial Output and the Output Gap: An applieation to Sweden. IMF Working Paper. European Department, March, 2000. <http://www.imf.org/external/pubs/ft/wp/2000/wp0059.pdf> .
7. **Cotis J.Ph., Elmeskov J., Mourougane A.** Estimates of Potential Output: Benefist and pitfalls from a Policy perspective. OECD Economics Department. <http://www.oecd.org/dataoecd/60/12/23527966.pdf>
8. **Mishkin Frederic S.** Estimating Potential Output // Remarks at the Conference on Price Measurement for Monetary Policy, Federal Reserve Bank of Dallas. Dallas, Texas, May 24, 2007. <http://www.federalreserve.gov/newsevents/speech/mishkin20070524a.htm>.

9. Российская Федерация. Отдельные вопросы; Доклад Международного Валютного Фонда по Российской Федерации № 05/379. Октябрь 2005 года. <http://www.imf.org/external/pubs/ft/scr/2005/rus/cr05379r.pdf>

10. **Melihovs A., Zasova A.** The Assessment of Natural Rate of Unemployment and Capacity Utilisation in Latvia. Working Paper 22. 2009. [http://www.bank.lv/images/img\\_lb/izdevumi/english/citas/wp\\_2009-2\\_melihovs-zasova.pdf](http://www.bank.lv/images/img_lb/izdevumi/english/citas/wp_2009-2_melihovs-zasova.pdf).

11. **Тарасевич Л. С., Гальперин В. М., Гребенников П. И., Леуский А. И.** Макроэкономика. С.-Петербург, СПбГУЭФ. 1999;

12. **Мэнкью Н. Г.** Макроэкономика. Москва, МГУ, 1994;

13. **ანანიასვილი ი.** საქართველოს ეკონომიკის პოტენციური მშპ-ის და უმუშევრობის ბუნებრივი დონის ეკონომეტრიკული შეფასება. // *ეკონომიკა და ბიზნესი*, №5, 2010;

14. *Эконометрика*. Под ред-ей И. И. Елисейевой. Москва, Финансы и статистика. 2005;

15. **Arthur M. Okun.** “Potential GNP: Its Measurement and Significance,” American Statistical Association, // *Proceedings of the Business and Economics Statistics Section*, 1962;

16. **Edward S. Knotek, II.** How Useful is Okun’s Law? Federal Reserve Bank of Kansas City. Economic Review. Fourth Quarter, 2007. [www.kc.frb.org/publicat/econrev/pdf/4q07knotek.pdf](http://www.kc.frb.org/publicat/econrev/pdf/4q07knotek.pdf).

17. **B. Moazzami, B. Dadgostar.** Okun’s Law Revisited: Evidence From OECD Countries. // *International Business & Economics Research Journal* – August 2009. Volume 8, Number 8.

18. **Mary C. Daly, John G. Fernald, Oscar Jorda and Fernanda Nachio.** Okun's Macroscopic: Changes in the Cyclical Behavior of Productivity and the Comovement between Output and Unemployment. 2013. [https://editorialexpress.com/cgi-bin/conference/download.cgi?db\\_name=SED2013&paper\\_id=1155](https://editorialexpress.com/cgi-bin/conference/download.cgi?db_name=SED2013&paper_id=1155)

19. **Jim Lee.** The Robustness of Okun's Law: Evidence from OECD Countries. // *Journal of Macroeconomics*. Spring, 200, Vol. 22, no.2. [http://www.facuty.tamucc.edu/jlee/research/JMACRO\\_2000pdf](http://www.facuty.tamucc.edu/jlee/research/JMACRO_2000pdf).

20. **Абель Э., Бернанке Б.** Макроэкономика. 5-е изд. - СПб.: Питер, 2010;

21. **Канторович Г. Г.** Анализ временных рядов. // *Экономический журнал ВШЭ*, №3, 2002;

22. **Наско В. П.** Эконометрика. Кн. 1, Ч. 1, 2. Москва, Издательский дом «ДЕЛЮ» РАНХиГС, 2011;

23. **Вербик М.** Путеводитель по современной эконометрике. Москва, Научная книга, 2008;

24. **ანანიშვილი ი.** ოუკენის პარამეტრის შეფასების ეკონომეტრიკული პრობლემები. *პროფესორ ვ.წერეთლის დაბადების მე-60 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული*. // *ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია*. ტომი I, თბილისი, 2012;

25. **Балацкий Е. В.** Оценка влияния фискальных инструментов на экономический рост // *Проблемы прогнозирования*. 2004, № 4;

26. **Ananiashvili I., Papava V.** Taxes, Production Technology, and Economic Growth. // *Problems of Economic Transition*, vol. 54, no.

12, April 2012.



**მურმან სარსიძე**

**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის  
ასოცირებული პროფესორი,  
ეკატერინე კვიციანიძე  
ქართულ-ამერიკული უმაღლესი  
სკოლის პედაგოგი**

სიღარიბე როგორც სოციალური მოვლენა, თანამედროვე მსოფლიოს გლობალური პრობლემაა. მისი დონე და მასშტაბები პირდაპირ ზემოქმედებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე, სოციალური სამართლიანობის პრინციპის დაცვის ხარისხზე და წარმოადგენს მნიშვნელოვან ორიენტირს სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ფორმირებისას. მისი შეფასება ხდება აბსოლუტური და ფარდობითი სიღარიბის დონის ამსახველი მაჩვენებლებით, ასევე ცალკეული ინდივიდის სუბიექტური მიდგომით, თუ როგორ აღიქმება მათი კეთილდღეობის დონე და ცხოვრების ხარისხი. თანამედროვე გაგებით, ზოგადად სიღარიბე – ინდივიდის ან სოციალური ჯგუფის ეკონომიკური მიდგომარეობის მახასიათებელია, რომლის დროსაც მათ არ შეუძლიათ დაიკმაყოფილონ იმ მინიმალური მოთხოვნილებების განსაზღვრული დონე, რომელიც აუცილებელია

შრომისუნარიანობის შენარჩუნებისა და შთამომავლობის გაგრძელებისათვის. საზოგადოებაში სიღარიბისა და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ მეცნიერული კვლევა აქტუალური გახდა XVIII საუკუნის დასაწყისიდან. საერთაშორისო მასშტაბით ამ მხრივ ძალზე მნიშვნელოვანია ა. სმიტის, დ. რიკარდოს, თ. მალთუსის, გ. სპენსერის, ჟ. პრუდონის, ე. რეკლიუს, კ. მარქსის, ჩ. ბუტის და სხვათა შრომები. აღნიშნული პრობლემების კვლევაში დიდი ღვაწლი მიუძღვის უდიდეს ქართველ მოაზროვნესა და საზოგადო მოღვაწეს ილია ჭავჭავაძეს. მისი ფენომენი ცნობილია ქართველი საზოგადოებისათვის. როგორც ტიცთან ტაბიძე აღნიშნავდა “ილია ყველგან ცდიდა თავის თავს: ის იყო პოეტი, ბელეტრისტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მეცნიერი, რეჟისორი, ფინანსისტი, ორატორი, ისტორიკოსი და კიდევ რამდენი სხვა, და ამიტომ არის, რომ ჩვენ დღესაც არ ვიცით, რომელ ამ დარგში ვეძიოთ მისი ნამდვილი სახე” [9, გვ.7]. განსაკუთრებით ფასდაუდებელია ილიას ღვაწლი საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემების, გზებისა და მიმართულებების სიღრმისეულ კვლევაში. მისი ეკონომიკური შეხედულებები, ნააზრევი და ამ საკითხთან დაკავშირებული დასკვნები აქტუალური იყო არამარტო იმდროინდელი პერიოდისათვის, არამედ იგი უდავოდ მნიშვნელოვანია თანამედროვე ინტეგრაციის, საგარეო-ეკონომიკური კავშირუროთიერთობების განვითარებისა და გლობალიზაციის ეპოქაში, როცა მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პრობლემა მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებისთვისაც კი უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს. “დიდი გადაჭარბება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ დღეს, როცა საქართველოს კულტურა და მეცნიერება, ოფიციალურად დაუბრუნდა თავის ოდინდელ გზას



ევროპისაკენ, ილია ჭავჭავაძე უფრო მისაღები და გასაგებია ჩვენთვის, ვიდრე ილიას თანამედროვეებისათვის და მისი უშუალო მომდევნო XXს. პირველი ნახევრისათვის. ილიას ამგვარი ახალი გაგების საფუძველი იყო და არის XXს. II ნახევრიდან დაწყებული „ახალი აზროვნება“, რომელიც, როგორც ახალი, საერთო-საკაცობრიო მსოფლმხედველობის საფუძველი თანდათან ეუფლება საკაცობრიო კულტურას” [8, გვ.3]. აღნიშნულის დასტურია ის, რომ გლობალიზაციის ეპოქაში კაცობრიობის სოციალურ-ეკონომიკური პოლარიზაცია კიდევ უფრო ძლიერდება. XXI საუკუნის დასაწყისში შედარებით განვითარებული ქვეყნების წილად მოდის მსოფლიო მოსახლეობის 12%-ზე ნაკლები და მშპ-ის დაახლოებით 60%. შედარებით ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის წილი დედამიწის მოსახლეობის 12%-ა, ხოლო მსოფლიო მშპ-ის მოცულობაში მათი წილი მხოლოდ 1%-ს შეადგენს [13-გვ.70,71]. სიღარიბის დონესა და მასშტაბებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არა მარტო ეკონომიკური ზრდის ტემპები, არამედ მოსახლეობის მდიდარ და ღარიბ ფენებს შორის შემოსავლების უთანაბრო განაწილების კიდევ უფრო გაღრმავება. იგი უფრო მაღალია განვითარებულ ქვეყნებში განვითარებულთან შედარებით. თუ ევროკავშირის ქვეყნებში ჯინის კოეფიციენტი საშუალოდ 0.34-ია, ჩინეთში იგი 0.41-ს აღწევს, ხოლო ანგოლაში 0.59-ს, ლათინურ ამერიკაში 0.54-ს [15, გვ.195-198]. შემოსავლების უთანაბრო განაწილების შესებ გლობალური მასშტაბით სრულ წარმოდგენას გვაძლევს მსოფლიო ბანკის მონაცემები (**იხ. ცხრილი 1**).

**შემოსავლების განაწილება მსოფლიოში (%%)<sup>1</sup>**  
**[15, გვ.57; 16, გვ.5]**

**ცხრილი 1**

მოსახლეობის ჯგუფები	1993		2000		2030 პროგნოზი
	წილი მოსახლეობაში	წილი შემოსავლებში	წილი მოსახლეობაში	წილი შემოსავლებში	წილი მოსახლეობაში
ღარიბი	76	29	82	29	63
საშუალო ფენა	8	13	8	14	16
მდიდარი	16	58	10	57	21

1993წლიდან 2000 წლამდე პერიოდში ღარიბი და მდიდარი მოსახლეობის შემოსავლების წილი არ შეცვლილა, თუმცა მსოფლიო მოსახლეობაში ღარიბების წილი 76%-დან 82%-მდე, ანუ 6%-ით გაიზარდა, ხოლო მდიდრების წილი 16%-დან 10%-მდე შემცირდა. მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 2000 წელს მდიდარის შემოსავალი 16.3-ჯერ აღემატებოდა ღარიბის შემოსავალს. აღნიშნული ტენდენციის გაგრძელება გამოიწვევს შემოსავლების შემდგომ პოლარიზაციას, საშუალო ფენის შემცირებასა და ღარიბი მოსახლეობის წილის ზრდას. ეს უკანასკნელი კი ამუხრუჭებს ადამიანური კაპიტალის განვითარებას, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ეკონომიკური ზრდისა და განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს XXI საუკუნეში. მსოფლიო ბანკის ოპტიმისტური

<sup>1</sup>აღნიშნულ პერიოდში ღარიბებს მიაკუთვნებენ მოსახლეობის იმ ფენებს, რომელთა საშუალოწლიური შემოსავალი 3.9 ათას დოლარზე ნაკლებია წელიწადში, საშუალოს, რომელთა შემოსავალი 3.9 ათასი დოლარიდან 16.7 ათას დოლარამდე მერყეობს, ხოლო მდიდრების შემოსავალი 16.7 ათას დოლარს აღემატება წელიწადში.

შეფასების, პროგნოზის მიხედვით 2030 წლისათვის სიღარიბე მსოფლიოში შემცირდება. კერძოდ, ღარიბი მოსახლეობის წილი 82%-დან (2000 წელი) 63%-მდე შემცირდება, “მსოფლიო საშუალო ფენების” წილი 8%-დან 16%-მდე, ხოლო მდიდრების წილი 21%-მდე ანუ ორჯერ გაიზრდება [16, გვ.5]. როგორც ვხედავთ, სიღარიბე წარმოადგენს კომპლექსურ პრობლემას ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, პოლიტიკური თვალსაზრისით, რომელსაც გლობალური მასშტაბებით დესტაბილიზაციის საკმაოდ მაღალი პოტენციალი გააჩნია. იგი კიდევ უფრო ღრმავდება დემოგრაფიული პროცესების განვითარებასთან ერთად. მიუხედავად იმისა რომ 2030 წლამდე ზოგიერთ ქვეყანაში მოსახლეობის ზრდის ტემპები შენელებულია სიღარიბის დონისა და მასშტაბების შემცირება მოსალოდნელი არ არის. ილია ჭავჭავაძემ აღნიშნულ პრობლემის საფუძვლიანი კვლევა და ანალიზი ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს დაიწყო. იგი ყურადღებას ამახვილებს არა მარტო საქართველოში არსებულ სიტუაციაზე, არამედ ზოგადად მიმოიხილავს სიღარიბეს როგორც გლობალურ პრობლემას, მდიდარსა და ღარიბს შორის განსხვავებას, სოციალური უთანასწორობის, შემოსავლების დიფერენციაციისა და სხვა სოციალურ პრობლემას. 1899 წელს დაწერილ წერილში “მეცხრამეტე საუკუნე” ილია აღნიშნავდა: “დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალ საუკუნეს” [5, გვ.9]. სამწუხაროა, რომ ეს “ტკივილი” ვერც მომავალმა (XX საუკუნე) და ვერც მიმდინარე XXI საუკუნემ ბოლომდე ვერ მთავრებინა და საკვირველი არ არის, რომ სწორედ ამიტომ დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს სიღარიბის როგორც

სოციალურ-ეკონომიკურ ფენომენთან დაკავშირებული პრობლემების კვლევა. უნდა გავითვითცნობიეროთ, რომ სიღარიბე ფარდობითი მცნებაა და დამოკიდებულია მოცემულ საზოგადოებაში ცხოვრების დონის საერთო სტანდარტზე. სიღარიბე როგორც სოციალური ფენომენი პირდაპირ ზემოქმედებს ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე, სოციალურ-შრომით ურთიერთობებზე, საზოგადოებრივ კულტურაზე, უშუალო გავლენას ახდენს ნებისმიერი ადამიანის ცხოვრების დონის ამსახველ ისეთ საბაზო მახასიათებლებზე როგორცაა ჯანმრთელობისა და განათლების დონე.

ილია დიდ ყურადღებას უთმობდა სხვა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური სისტემის ანალიზს, იქ მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებს, ეძიებს საკუთარი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების გზებს და მის ძირითად მიზნად სწორედ ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას მიიხნევდა: “ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, მისი გაუმჯობესება-ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილი”. 1887 წლიდან ილიამ მრავალ მეცნიერულ-პუბლიცისტურ ნაშრომთან ერთად ისტორიის, კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის, პედაგოგიკისა და სახალხო განათლების დარგში მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური ნარკვევები გამოაქვეყნა და შექმნა მთელი წყება წერილებისა და ნარკვევებისა საქართველოს ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა საკითხებზე. თუნდაც გავისვენოთ ორი მნიშვნელოვანი ზოგადი ხასიათის წერილი: “ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების საზრუნავი” (1893 წელი) და “ძველი და ახალი ჩვენს ეკონომიკურ ცხოვრებაში” (1897 წელი). თავისი ცხოვრების უკანასკნელი ოცი წელი მან ქვეყნის განვითარებისათვის ბრძოლასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას შესწირა, ამ პერიოდში მან გვერდზე გადადო

მხატვრული შემოქმედება. მისი ეკონომიკური შეხედულებანი მხოლოდ საქართველოს ჩარჩოებით არ შემოიფარგლება. “ილია ა. წერეთელთან, გ. წერეთელთან, დ. ყიფიანთან, გ. ქიქოძესთან, ნ. ნიკოლაძესთან, ვ. ჩერქეზიშვილთან და სხვ. ერთად ცდილობდა საკაცობრიო განვითარების კონტექსტში, განესაზღვრა საქართველოს მომავალი განვითარების გზა, როგორც მეცნიერებაზე და ტექნიკაზე დამყარებული ეკონომიკის საფუძველზე, ერის ტრადიციული კულტურული მიზნების მისაღწევად, შესაფერისი და შესაძლებელი” [8, გვ.3]. იგი სისტემატურად იკვლევდა და ეძებდა იმ გზებსა და საშუალებებს, რომელიც საქართველოს განვითარებას სტიმულს მისცემდა. “დღეს თვითუფლები ჩვენგანი გრძნობს, რომ აქამომდე მივიწყებულს ეკონომიკურ მხარეს ჩვენის ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის, რომ ეკონომიკური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძებოთ დონე ჩვენი გაძლიერებისა, ტანში გამართვისა და აქ უნდა გავისარჯნეთ და ვიამაგოთ” [4, გვ.10]. როგორც უდიდესი მეცნიერი და ქართული კულტურის დეველმოსილი მკვლევარი პავლე ინგოროყვა აღნიშნავდა “არ არის არცერთი დარგი, საქართველოს სახალხო მეურნეობისა, რომელსაც არ შეხებოდეს ილია” [10, გვ.216]. ჯერ კიდევ 1886 წელს ილია სინანულით აღნიშნავს თუ რატომ არ ხდება საქართველოს ეკონომიკური წინსვლა, რადიკალური გარდაქმნები ქვეყნის განვითარებისათვის. “შეხედეთ სხვა ქვეყნებს...ერთობ ყოველ დაწინაურებულ, განვითარებულ ქვეყანაში თითქმის ყოველ 10 წელიწადში ცხოვრება ფერს იცვლის.... ყოველ ამგვარ მოძრაობას ახალი მოთხოვნილება მოსდევს და საქვეყნო სარბიელზე ახალის დასის ხალხი გამოდის. საცა მოძრაობაა იქ სიცოცხლეც არის.” [3, გვ.172,173]. ილიას ეს სიტყვები და განსაკუთრებით კი მოძრაობის თეორია აშკარად მიუ-

თითებს ეკონომიკური რეფორმების პერიოდულად განხორციელების საჭიროებაზე, ისეთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოდელის შექმნის აუცილებლობაზე სადაც შრომა და განათლება (რაც თანამედროვე გაგებით ადამიანურ კაპიტალადაა ცნობილი) წარმოებისა და ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდება. “ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვი, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფროთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს. დღეს მძლეობა-მძლეობა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულით და ხორციითა, ცოდნითა და მარჯვენითა..... ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა-კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ....ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა-პატიოსანია, ნამუსიანია და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავ-გამოსახენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო” [6, გვ.43,44]. დღეს გლობალიზაციის ეპოქაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ილიას ეს შესანიშნავი ნააზრევი. ამის დასტურია 2004 წლიდან საქართველოში დაწყებული განათლების სისტემის რეფორმა, რომელიც მთავარ პრიორიტეტად მართლაც არ ყოფილა შემთხვევითი. უმაღლესი და ზოგადი განათლების შესახებ ახალი ქართული კანონები, რომლებიც მიღებულ იქნა ბოლო ათწლეულში მიზნად ისახავდა სისტემის გათავისუფლებას კორუფციისაგან, მისი ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაზრდას და დაახლოებას ევროსტანდარტებთან. თუმცა, შედეგები არცთუ სახარბიელოა. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრობლემებთან დაკავშირებით სხვადასხვა სამეცნიერო კვლევებსა თუ ნაშრომებში არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ დღეს ქვეყნის უმთავრესი პრობლემა უმუშევრობაა, რომელიც სიღარიბის მთავარი მიზეზია. უმუშევრობა მიუღეს მსოფ-

ლიოში განიხილება როგორც უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა და ფენომენი, რომელიც ნათლად ასახავს ამა თუ იმ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს, მაგრამ კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ საქართველოში სწორედ განათლების ხარისხი და კვალიფიციური კადრების დეფიციტია ინვესტიციების ზრდისა და მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორი. უფრო მეტიც, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბებულია შრომის ბაზრის კონიუნქტურის შერეული ტიპი, რაც იმაზე მიანიშნებს რომ ქრონიკული, მასობრივი უმუშევრობის პირობებში ადგილი აქვს ცალკეული პროფესიულ-კვალიფიციური სამუშაო ძალის მნიშვნელოვან დეფიციტს და შესაბამისად მაღალია შრომის ბაზრის დაძაბულობის კოეფიციენტიც. ეს უკანასკნელი კი იმაზე მიუთითებს, რომ თანამედროვე განათლების სისტემა სრულად ვერ არის შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული და განსაკუთრებით დაბალია ხარისხი პროფესიული მომზადების სისტემაში. ამას ადასტურებს ბოლო პერიოდშიც საქართველოს დაბალი რეიტინგი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით უმაღლესი განათლებისა და გადამზადების ნაწილში (93-ე ადგილი), რომელიც ზომავს განათლების ხარისხს რაც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის დაბალ დონეზე მიუთითებს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჯანსაღი სამეწარმეო და ბიზნესგარემოს ჩამოყალიბებაზე. თავის დროზე უსვამდა რა ხაზს დიდი ილია ცოდნისა და განათლების მნიშვნელობას იგი დამწუხრებული აღნიშნავდა, რომ “ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუძელოთ, გადავრჩიოთ, ქვეყანა და სახელი შევიინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქოლავი არავის აე-

აგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა - შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეულნი-კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაე-პატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინ-ღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ” [6, გვ.43,44]. აშკარაა, რომ ილიას კარგად ესმოდა ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა და განვითარება შეუძლებელი იქნებოდა განათლების სისტემის მოწესრიგების გარეშე. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, კონკრეტულად ამ საკითხთან დაკავშირებით დაწერილი ნაშრომები, ნარკვევები, წერილები. „ცოდნა, სწავლა-განათლება დღევანდელ კაცისათვის არსებითი პურია. უამათოდ ადამიანი დღეს ყველაფერს მოკლებულია: ადამიანობასაც, სარჩო-საბადებელსაც, ღონესაც და შეძლებასაც.....ჩვენ გვავიწყდება, რომ ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი წყაროა, როგორც კაცად მყოფობისათვის, ისეც თავის სარჩენად, ქონებისა და სარჩოს მოსაპოვებლად [7, გვ.144,145]. უფრო მეტიც, ქვეყნის ჩამორჩენილობის, სიღარიბისა და განუვითარებლობის მთავარ მიზეზად იგი სწორედ ცოდნის უქონლობასა და დეფიციტს მიიჩნევს. „ტყუილი ჩივილია, ტყუილი ტირილია უფულობისა, უქონლობისა. უნდა ვტიროდეთ და ვჩიოდეთ უცოდინარობას, უვიცობას, იმიტომ რომ სათავე და მიზეზთა-მიზეზი ყოველ უბედურობისა ეგ უვიცობა, ეგ ცოდნის უქონლობაა” [7, გვ.148]. ამ მხრივ საყურადრებოა ის ფაქტიც, რომ ილია არ შემოიფარგლება მარტო საქართველოში არსებული პრობლემების ანალიზით, იგი თვალყურს ადევნებს უცხოური კაპიტალის შემოდინებასა და საერთოდ უცხოელების მოქმედებას საქართველოში, იმას, თუ როგორ ვითარდება ვაჭრობა, სამ-



რეწველო კაპიტალი, სოფლის მეურნეობა და ძალიან განიცდის რომ მისი ქვეყანა დროულად ვერ ებმება განვითარების ამ საერთო პროცესში, ფეხს ვერ უწყოფს მას, რისი მიზეზიც სწორედ სათანადო სწავლა-განათლებისა და ცოდნის არქონაა. „ჩვენი უცოდინარობა, უსწავლელობა ისე გვაბრკოლებს და გვაბორკილებს, რომ ცილობაც ვეღარ გაგვიწევია ახალმოსულთა უცხოელთათვის. ყველგან იგინი გვეჯობიან, ყველგან იგინი წინ გვასწრობენ, გამოსარჩენს საქმეს ხელიდამ გვაცლიან. რას იზამთ? იმათკენ ცოდნაა, განათლებაა, მიხვედრილობა და გაგებულობაა, ჩვენკენ-კი უვიცობა, სიბნელე, მიუხვედრებლობა, გაუგებლობა. ამ სამწუხარო მდგომარეობაში მყოფნი რით უნდა გავუმკლავდეთ სწავლით გაძლიერებულს, განათლებულს და გათამამებულს? რასაკვირველია, იმავე იარაღით, რითაც ისინი იმარჯვებენ ჩვენზედ, ესე იგი, ცოდნითა და სწავლულობითა. სხვა ვერაფერი გაუსწორებს ომს ცოდნასა, თუ არ ისევ ცოდნა, სხვა ვერაფერი გვიხსნის სიღარიბისაგან, თუ არ ის ხერხი, ის უნარი, ის ძალ-ღონე, რომელსაც მარტო ცოდნა და სწავლა-განათლება იძლევა“ [7, გვ.147,148]. ამ ფრაზით ილიამ საბოლოოდ დაასკვნა, რომ სათანადო ცოდნისა და განათლების გარეშე შეუძლებელია ქვეყანაში უმუშევრობისა და სიღარიბის პრობლემის დამარცხება. საინტერესოა ამ მხრივ რა მდგომარეობაა დღევანდელ საქართველოში. სამწუხაროდ, თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში საქართველოში **სიღარიბის გამომწვევი უმთავრესი მიზეზი კვლავ უმუშევრობა და მოსახლეობის შემოსავლების დაბალი დონე რჩება**. საექსპერტო შეფასებით, უმუშევრობის დონე ქვეყანაში დაახლოებით 32.0-36.0%-ია, ხოლო საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2000-2013 წლებში უმუშევრობის დონე ქვეყანაში 10.3%-დან (2000 წელი) 14.6%-მდე მერყეობდა (2013 წელი), ხოლო მაქსიმალურ დონეს-16.9%-ს მან 2009 წელს მიაღწია (იხ. ცხრილი-2).

15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობების მიხედვით საქართველოში 2000-2013 წლებში [19].

ცხრილი 2

მაჩვენებლები	2000	2005	2008	2009	2010	2011	2012	2013
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	2049,2	2023,9	1917,8	1991,8	1944,9	1959,3	2029,1	2003,9
დასაქმებული	1837,2	1744,6	1601,9	1656,1	1628,1	1664,2	1724,0	1712,1
დაქირავებული	683,9	600,5	572,4	596,0	618,6	632,0	662,6	658,2
თვითდასაქმებული	1041,2	1143,3	1028,5	1059,0	1007,1	1025,4	1054,0	1043,8
ბაჟი, კვლევა	112,1	0,8	1,1	1,2	2,4	6,8	7,4	10,0
უმუშევარი	212,0	279,3	315,8	335,6	316,9	295,1	305,1	291,8
მოსახლეობა სამუშაო ძალის არეო	1092,3	1136,1	1145,2	1139,3	1083,3	1045,9	1005,2	1022,3
უმუშევრობის დონე (%)	10,3	13,8	16,5	16,9	16,3	15,1	15,0	14,6
აქტიურობის დონე (%)	65,2	64,0	62,6	63,6	64,2	65,2	66,9	66,2
დასაქმების დონე (%)	58,5	55,2	52,3	52,9	53,8	55,4	56,8	56,6

## **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, 2013 წელს წინა წელთან უმუშევრობის დონე 0.4%-ით, დასაქმების დონე 0.7%-ით, ხოლო ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის დონე 0.2%-ით შემცირდა. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ სავარაუდოდ უმუშევრობის დონის შემცირება ქვეყნის მოსახლეობის დასაქმების ზრდის ხარჯზე კი არ განხორციელდა, არამედ მათი სტატუსის ცვლილების შედეგად და უმუშევართა უმრავლესობამ ეკონომიკურად არააქტიურთა კატეგორიაში გადაინაცვლა. ამ დასკვნის საფუძველს იძლევა ისიც, რომ სამუშაო ძალის გარეთ მყოფი მოსახლეობის (ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა) რიცხოვნობა 17 100 კაცით ანუ 1.7%-ით გაიზარდა, მაშინ როცა უმუშევართა რაოდენობა სულ 13300 კაცით შემცირდა. რაც შეეხება სიღარიბეს, 1999-2005 წლებში, აღნიშნული მაჩვენებელი მედიანური მოხმარების 60%-ის მიმართ, საშუალოდ 22,4%-ს შეადგენდა, ხოლო 2006-2013 წლებში-22,1%-ს. 2005 წელს ქვეყნის მოსახლეობის 54.9% სიღარიბის ოფიციალურად დადგენილ ზღვარზე [19] დაბლა ცხოვრობდა **(იხ. ცხრილი 3)**.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებით სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის (437 238 კაცი) წილი (რეგისტრირებული სიღარიბე) მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხოვნობასთან (4 490 500 კაცი) მიმართებით 2013 წელს 9.74%-ს, ხოლო ზრდასრულ მოსახლეობასთან (15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა) მიმართებით 14.45%-ს შეადგენდა. სიღარიბის ასეთი დონითა და მასშტაბებით არსებობა საქართველოში ქრონიკულ უმუშევრობასთან ერთად განპირობებულია რიგი სხვა მიზეზით, რომელთაგან უნდა გამოვყოთ: არაეფექტიანი დასაქმება; შრომის ანაზღაურების დაბალი დონე და

სიღარბის დონე 1999-2013 წლებში საქართველოში (%%) [19].

ცხრილი 3

მაჩვენებლები	სიღარბის ზღვარზე დაბლა მყოფი მოსახლეობის წილი										
	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005				
საშუალოდ ქვეყანაში	51.8	51.8	51.1	52.5	54.5	52.0	54.9				
საარსებო მინიმუმის მიმართ	23.6	23.0	21.6	21.8	20.9	22.0	24.1				
მედიაწერი მოხმარების 60 %-ის მიმართ	<b>სიღარბის დონე</b>										
მაჩვენებლები	2006	2008	2009	2010	2011	2012	2013				
მედიაწერი მოხმარების 60 %-ის მიმართ	23.3	22.1	21.0	22.7	23.0	22.4	21.4				
მედიაწერი მოხმარების 40 %-ის მიმართ	9.4	9.5	8.8	10.0	10.4	9.3	8.4				
სიღარბის ზღვარს ქვეით მყოფი მოსახლეობის წილი %-ში (საარსებო უკმარისების მიმართ)	436309		430603		411091		437238				
მოსახლეობა	9.9		9.7		9.2		9.7		9.74		

## **აკონომიკური თეორია და აკონომიკური პოლიტიკა**

ხელფასის ძირითადი ფუნქციების შესუსტება; ქვეყანაში სოციალური დაცვისა და უზრუნველყოფის სისტემის განუვითარებლობა; დასაქმებისა და სოციალურ შრომითი ურთიერთობების რეგულირების მეცნიერულად დასაბუთებული მართვის პრაქტიკისა და საკანონმდებლო ბაზის არარსებობა; შრომის ბაზრის ერთიანი ინფრასტრუქტურისა და საინფორმაციო სისტემის განუვითარებლობა; ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დასაქმება არასრული სამუშაო დროით; მომუშავეთა პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურის გაუარესება; მუშათა კადრებისა და სპეციალისტების მომზადება-გადამზადების ორგანიზაციის დაბალი დონე, რაც შესაბამისად აისახა შრომის ბაზრის კონიუნქტურაზე და სხვა. აღნიშნული დასკვნებიდან გამომდინარე მდგრადი ეკონომიკური ზრდის, განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის მნიშვნელოვან ფაქტორად ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარება უნდა მივიჩნიოთ. დღეს ძალზე დაბალია ამ სფეროში დასაქმებული მოსახლეობის შრომის მწარმოებლურობა და ეფექტიანობა, რაც ერთი მხრივ, განპირობებულია თვითდასაქმებულთა მაღალი ხვედრითი წონის არსებობით. 2000-2013 წლებში ქალაქის დასაქმებულ მოსახლეობაში თვითდასაქმებულთა ხვედრითი წონა საშუალოდ 31.1%-ია, მაშინ როცა, აღნიშნული მაჩვენებელი სოფლის მეურნეობაში საშუალოდ 82.6%-ს შეადგენს [19]. რასაკვირველია, დასაქმებულებს შორის თვითდასაქმებულთა მაღალი ხვედრითი წონა ზოგადად არ შეიძლება უარყოფითად შეფასდეს, ვინაიდან თვითდასაქმებული მესაკუთრეა და მისი საქმიანობის მიზანი მოგების ან ოჯახური შემოსავლის მიღებაა. უფრო მეტიც, თვითდასაქმების ზრდა მესაკუთრეთა ხვედრითი წონის გაზრდით, დასაქმების პრობლემის

გადაწყვეტის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად უნდა იქნეს მიხნეული. მაგრამ, თუ გავანალიზებთ თვითდასაქმებულთა შემადგენლობას და სტრუქტურას, შესამჩნევია რომ მათი 41.6% ოჯახურ საწარმოში/მამულში უსასყიდლოდ მომუშავე პირები, ხოლო 0.2%-ახლობლისათვის უსასყიდლოდ დამხმარე პირებია [12, გვ.47]. აშკარაა, რომ მოსახლეობის ეს ნაწილი რეალურად არაა დასაქმებული და მათთვის დასაქმებულის სტატუსის მინიჭება ხელოვნურად ამცირებს უმუშევრობის დონის მაჩვენებელს.

თავის დროზე ილია ჭავჭავაძე დიდ ყურადღებას აქცევდა სოფლის მეურნეობას, სწორედ მას განიხილავდა მატერიალური წარმოების ძირითად დარგად ხოლო საქართველოს, მისი ბუნებრივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნების გამო, აგრარულ ქვეყნად მიიხნევდა: „ჩვენი ეკონომიკური ძალღონე ჯერ კიდევ სოფელია და სოფლური მეურნეობა, ამიტომაც ჩვენი სრული ყურადღება სოფელს უნდა თავს დასტრიალებდეს, მარტო სოფელს უნდა ეკუთვნოდეს, თუ სამუდამოდ არა, ჯერ ხანად მაინცა“, - აშკარაა, რომ ეს მოსაზრება დღესაც ძალაშია, ამიტომ ძნელია არ დაეთანხმო ილიას ამ ნააზრევთან დაკავშირებით პროფესორ პ. კოლუაშვილის შესანიშნავ მოწოდებას: “ბატონებო! გონს მოვეგოთ, დიდი მოაზროვნის ნადვანააზრევი არა მარტო წარსულს ემყარება, არამედ აწმყოსაც ასახავს და ემსახურება, იგი მომავალსაც წინასწარმეტყველებს” [11, გვ.3]. ილია კარგად იცნობდა ქართველი გლეხის ფსიქოლოგიას, მის ზნეობრივ მხარეს, ამასთან ანალიზებდა მიწათმოქმედების გაძლოლის ეროვნულ ტრადიციებს, მის თავისებურებებს პრობლემებს და აქედან გამომდინარე, იგი აკეთებს არა მარტო უბრალო დასკვნებს, არამედ, ფაქტობრივად, აყალიბებს ქვეყნის სოფ-

## **===== ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

ლის მეურნეობის აღორძინების, განვითარების ეროვნულ კონცეფციას და პროგრამას, უფრო მეტიც, მას საქართველოს ეკონომიკური განვითარების უმთავრეს ფაქტორად მიიჩნევს.

დღეს საქართველოს მოსახლეობის და კერძოდ, სოფლის მოსახლეობის არაეფექტიანი დასაქმება საგრძნობლად აფერხებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებას და ბუნებრივია, ცივილიზებული შრომის ბაზრის ფორმირებას. სოფლის მოსახლეობის სეზონური დასაქმება, მცირე და არასტაბილური შემოსავლები, უმართავი შრომითი მიგრაცია და სხვა უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა ამცირებს შრომითი პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობას. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს არა მხოლოდ უმუშევრობის დონის შემცირებას, არამედ სამუშაო ძალის ნორმალური კვლავწარმოების უზრუნველყოფას, ადამიანის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების უწყვეტ აღდგენასა და შენარჩუნებას, მისი პროფესიულ-კვალიფიციური და საგანმანათლებლო დონის მუდმივ განახლებას.

სწორედ ამიტომ, შრომის ბაზრის რეგულირებისა და მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბება უნდა დაეფუძნოს შრომის ბაზრის ფორმირების თავისებურებების, მისი ინფრასტრუქტურისა და კონიუნქტურის თანამედროვე მდგომარეობის კომპლექსურ შესწავლას და ამის საფუძველზე ჩამოყალიბებულ დასკვნებს. სოფლის მოსახლეობის დასაქმების პრობლემა უკვე არა მარტო სპეციალისტების, არამედ საზოგადოების, მთავრობის და ეკლესიის მსჯელობის საგანი გახდა. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II არაერთხელ გაამახვილა ყურადღება სოფლად

მიწების ათვისების, მცირე საწარმოების მშენებლობისა და მოსახლეობის დასაქმების აუცილებლობაზე. მაგალითად, 2011 წლის 11 დეკემბრის საკვირაო ქადაგებისას უწმინდესი სოფლებში მცირე საწარმოების შექმნისა და სოფლის მოსახლეობის დასაქმების ინიციატივით გამოვიდა. მისი თქმით, “სოფელი თანდათან იცლება, რადგან იქ მიწისა და საქონლის გარდა არაფერია, სოფლის მოსახლეობის ნახევარზე მეტი უცხოეთშია წასული. სახელმწიფომ უნდა იფიქროს სოფელზე, რადგან ახალგაზრდობა მიდის სოფლიდან და სოფელი რჩება უკაცრიელი. სახელმწიფომ ან რომელიმე ჯგუფმა უნდა გამოიყოს კრედიტი და სოფლებში აშენდეს მცირე საწარმოები, სადაც დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა”. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ სოფლად მოსახლეობის არაეფექტიანი დასაქმება, მათი შემოსავლებისა და შესაბამისად ცხოვრების დაბალი დონე დაუკავშირა მასობრივი ემიგრაციის პრობლემას. კერძოდ, იგი ხაზს უსვამს ამ სოციალურ-ეკონომიკური მოვლენის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეს და აღნიშნავს, რომ: “უცხოეთი კარგია, როცა ადამიანი იქ სწავლობს, ცოდნას იძენს, მაგრამ უცხოეთში საცხოვრებლად წასვლა მცირერიცხოვანი ერის გადაგვარებაა! ამიტომ მასობრივი ემიგრაცია ძალიან საშიში მოვლენაა ქართველებისათვის!” [1, გვ.3]. უფრო მეტიც, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 2014 წლის 2 ივლისის საჯარო განცხადებაში ხაზს უსვამს ქვეყანაში არსებულ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას, განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სიდარბისა და დაბალი ცხოვრების დონეს, ყურადღებას ამახვილებს უცხოელ მოქალაქეებზე მიწის გასხვისების პრობლემებზე და მოუწოდებს ხელისუფლებას



## **===== ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

მიუხედავად ბოლო წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით გადადგმული სერიოზული ნაბიჯებისა, სასწრაფოდ შეიმუშაოს სათანადო რეგულაციები და ღონისძიებები აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების ნეიტრალიზაციისათვის. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებად შეღავათიანი და გრძელვადიანი სესხის გაცემას მიიჩნევენ. ამ მიზნით იგი ასევე მიმართავს ბანკებსა და მიკროსაფინანსო დაწესებულებებს, ბიზნესმენებს, მიწათმოქმედთ. პატრიარქი გვახსენებს რომ ჩვენი ქვეყანა ზუსტად ანალოგიური პრობლემის წინაშე XIX საუკუნის დასარულსაც იდგა, რის გამოც წმ. ილია მართალმა საადგილმამულო ბანკი დააარსა და სავსებით სამართლიანად მოგვიწოდებს “დღეს დიდი ილიას ჭაპანი თითოეულმა ჩვენგანმა ძალისამებრ ჩვენისა უნდა გავწიოთ” [2, გვ.3]. ამასთან, პატრიარქი სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებად ასევე მიიჩნევენ ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, ინვესტიციების დაბანდებას გადაამუშავებელ მრეწველობაში, რაც ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად სუფთა კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას საზღვარგარეთ მათი ექსპორტის გაზრდის მიზნით. საჭიროა მიწათმოქმედმა მეტი სიყვარული გამოიჩინონ შრომისადმი და გაუფრთხილდნ სოფლის საკუთრებას. ამ მიზნით ძალზე მნიშვნელოვანია მისი ლოცვა-კურთხევა: “სოფლად მოღვაწე სასულიერო პირებს ეძლევათ ლოცვა-კურთხევა უფასოდ, ყოველწლიურად უკურთხონ ხალხს ნაკვეთები, თესლი და მოსავალი, ასევე სახლ-კარი, საქონელი და პირუტყვი, რომ ხალხის შრომამ ნაყოფი გამოიღოს და დაცული იყოს სხვადასვა საშიშროებისაგან. ეს უძველესი ტრადიცია უნდა აღდგეს და მოსახლეობამ გაითავისოს” [2, გვ.4]. ქვეყნის

## **მურმან სარსიძე, ეკატერინე კვიციანი**

ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან რესურსად იგი ინტელექტუალურ პოტენციალს მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ “ქვეყანამ არ უნდა დაკარგოს ის სამეცნიერო მონაპოვარი, რაც მას გააჩნია” [2, გვ.4].

სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოწესრიგების ქმედითი მცდელობაა საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სოფლის მხარდაჭერის პროგრამა [17], რომლის განსახორციელებლად 2014 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 50 მლნ ლარი. ყურადღებაამისაქცევია ბიუჯეტით გამოყოფილი თანხის მიზნობრიობა, რომელიც განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმებით: პროგრამით განსაზღვრული თანხა უნდა მოხმარდეს ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობის მშენებლობა-რეაბილიტაციას, საერთო სარგებლობის შენობების აღჭურვას, და/ან გრძელვადიანი სარგებლობის ტექნიკის შესყიდვა-აღჭურვას, განსახორციელებელი პროგრამის დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი უნდა აისახებოდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობაზე, პროგრამის ფარგლებში შესყიდული სამუშაო, საქონელი ან მომსახურება მიმართული უნდა იყოს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობის მატერიალური, ყოფითი, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, სამუშაოთა შესასრულებლად მაქსიმალურად უნდა დასაქმდეს შესაბამისი სოფლის მოსახლეობა. შემთხვევითი არ იყო, რომ საქართველოს სტრატეგიული განვითარების გეგმა [18] სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიზნად ისახავს წარმატებული, მდიდარი და ერთიანი საქართველოსათვის წინაპირობების შექმნას, სადაც ყველა მოქალაქე უზრუნვე-

## **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

ლყოფილი იქნება ღირსეული საცხოვრებელი გარემოთი და ექნება საშუალება, გახდეს მსოფლიო საზოგადოებრიობის წარმატებული და მდიდარი წევრი. ამ მიზნის მიღწევაში მაკროეკონომიკურ განვითარებასთან, ერთად უმთავრეს ამოცანებად აღიარებულია უმუშევრობის შემცირება, ჯანდაცვისა და განათლების სისტემისა და სოფლის მეურნეობის განვითარება.

სიღარიბის გამომწვევი მიზეზებისა და მის დაძლევასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევა ყოველთვის იყო მეცნიერ-მკვლევართა ყურადღების ცენტრში. ამ მხრივ მრავალი მიდგომა, მიმართულებაა შემუშავებული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ცვალებადია მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ფონზე და დღეს კიდევ უფრო სპეციფიკური გახდა. მიუხედავად ამისა, ზოგადად არსებობს სიღარიბის დაძლევის საერთო სტანდარტული რეცეპტი, რომელიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების მიზნებიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაწყვეტას გულისხმობს: მდგრადი ეკონომიკური ზრდის, განვითარების უზრუნველყოფა; უმუშევრობის დაძლევა და ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფის აქტიური პოლიტიკის გატარება შრომის ბაზარზე; ინვესტიციების გაფართოება ადამიანური კაპიტალის განვითარების მიზნით განათლებასა და სხვა სფეროებში; ფასებისა და ეროვნული ვალუტის სტაბილურობის უზრუნველყოფა; საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების განვითარება.

***POVERTY AND ECONOMIC DEVELOPMENT PROBLEMS IN GEORGIA (CONTEMPORANEITY AND ILIA CHAVCHAVADZE'S VISIONS)***

*M. Tsartsidze*

*E. Kvirkvelia*

Poverty as a social phenomenon is a global problem of the contemporary world. Its level and extents have direct impact on the country's social and economic development, on the degree of the protection of social justice principles and it represents an important reference point for the formation of state social policy. The study of the problems related to poverty became intensive throughout the world from the beginning of the XVIII century. In this turn, along with famous foreign researchers, the great Georgian thinker and public figure's Ilia Chavchavadze and contemporary Georgian specialists' visions are very important. And particularly, Ilia Chavchavadze's merit is invaluable in the constant search of the problems not only in our country's social and economic but also in political development. His in-depth, well-thought-out and thorough analysis and formulated economic visions, conclusions are very topical not only for that period, but they are very important in the epoch of contemporary integration and globalization when the problem of sustainable economic development and poverty reduction represents the main objective even for the world's developed countries.

Proceeding from the above-noted in the scientific article there is given the study of poverty as a socio-economic phenomenon. Coming out from its contemporary situation, in the work there is given the analysis of the factors and causes having impact on it; the emphasis is placed on the main problems determining economic development and living standards, on the formation of concrete directions for reduction of unemployment and poverty.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ილია II, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, ჟურნალი “საპატრიარქოს უწყებანი” №11, 711, 20-26 მარტი 2014 წელი;

2. ილია II, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, ჟურნალი “საპატრიარქოს უწყებანი” №27, 727, 10-17 ივლისი 2014 წელი;

3. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი. სრული კრებული. ტ. 2. თბილისი 1955წ;

4. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 4. თბილისი 1955წ;

5. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული. ტ. 5. თბილისი 1955წ;

6. ილია ჭავჭავაძე, “რა გითხრათ? რით გაგახაროთ?” პუბლიცისტური წერილები, ტომი 4, თბილისი 2012წ;

7. ილია ჭავჭავაძე, “ისევ განათლების საკითხებზე”, პუბლიცისტური წერილები, ტომი 4, თბილისი 2012წ;

8. გურამ თევზაძე, ილია ჭავჭავაძე და ახალი აზროვნება, [burusi.wordpress.com/2010/10/27](http://burusi.wordpress.com/2010/10/27)

9. გურამ ყორანაშვილი. ილიას ფენომენი. გამომცემლობა “უნივერსალი”, თბილისი 2007;

10. პავლე ინგოროყვა, ილია ჭავჭავაძე, “საბჭოთა მწერალი”, თბილისი 1962 წელი;

11. პაატა კოლუაშვილი “ორი ილია საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ”. [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)

12. შრომის ბაზარი საქართველოში 2009წ. საქართვე-

ლოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პუბლიკაცია.  
თბ., 2009წ;

**13. World Economic Forum. The Global Competitiveness Report 2005-2006. Basingstoke, 2005;**

**14. Global Economic Prospects 2007;**

**15. Доклад о развитии человеческого потенциала 2009. М., 2009;**

**16. Всемирный банк. Доклад о мировом развитии 2009. Новый взгляд на экономическую географию. Обзор. Вашингтон, 2008;**

17. საქართველოს მთავრობის დადგენილება №183, 20 თებერვალი 2014 წელი – “სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ”;

18. საქართველოს სტრატეგიული განვითარების „ათპუნქტიანი გეგმა“-მოდერნიზაციისა და დასაქმებისათვის (2011-2015 წლები);

19. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.  
**www.geostat.ge.**

**20. <http://iresearch.worldbank.org>**

**21. OECD. Stat. Extracts ([www.oecd.org](http://www.oecd.org))**

**22. <http://www.europeansocialsurvey.org>.**

**23. <http://www.census.gov/hhes/www/poverty/poverty.html>.**

**ეთერზეთების წარმოების  
ლაგეჰებისა და ორგანიზაციის  
სრულყოფისათვის**

**მერაბ ჯიქია**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი,  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი**

მოსმარების საგნებზე საზოგადოების წევრთა დაკმაყოფილებაში გარკვეულ როლს ასრულებს ეთერზეთების პროდუქციის წარმოება, თუმცა, მისი თანამედროვე დონე მინიმალურადაც ვერ უზრუნველყოფს რეალურად არსებულ მოთხოვნებს. ამის გამო, ეთერზეთოვანი კულტურების დაახლოებით 30 დასახელების პროდუქცია საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოგვაქვს, მაშინ, როდესაც ბუნებრივი პირობების მიხედვით, ბევრი მათგანის მოყვანა შეიძლება საქართველოში.

ეთერზეთების საკუთარი ნედლეულიდან წარმოება საქართველოში ძირითადად XX საუკუნის 60-იანი წლებიდან განვითარდა. საქართველოში არსებობდა აგროსამრეწველო გაერთიანება „საქეთერზეთმრეწვი“, რომელიც 1989 წელს აერთიანებდა 23 საწარმოს დამოუკიდებელი ბალანსით, მათ შორის - 9 ეთერზეთების მეურნეობა-ქარხანას (თელავის, ყვარელის, ლაგოდეხის, აბაშის, ბაბუშერის, კინდლის, გალის, კოლხიდის, ხორშის) და 4 სპეციალიზებულ ეთერზეთების მეურნეობას. აღნიშნულ პერიოდში არსებული საწარმოო სიმძლავრეებით საქართველოს ეთერზეთების მეურნეობა-ქარხნებს სეზონში შეეძლოთ გადაემუშავებინათ - 752 ტონა

ვარდის ყვავილი, 35000 ტონა გერანის ნედლეული, 34700 ტონა რეჰანის ნედლეული და 34800 ტონა სხვა სახეობის ეთერზეთოვანი ნედლეული.

საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ ათწლეულში ეთერზეთების მეურნეობა-ქარხნების უმრავლესობამ ფუნქციონირება შეწყვიტა. ზოგიერთი მათგანი რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა, ზოგიერთი ქარხნის ძირითადი საშუალებები უცხოელებმა იყიდეს ჩალის ფასად, ან ჩვენმა ფირმებმა მიჰყიდეს უცხოელებს ჯართის სახით. ასე, რომ საქართველოს დამოუკიდებლობიდან 2010 წლამდე ეთერზეთების წარმოება და რეალიზაცია საქართველოში გარკვეულ სტაგნაციას განიცდიდა.

2011 წელს საქართველოში შეიქმნა კომპანია - „საქართველოს ეთერზეთები“, რომელიც დღეისათვის დაკავებულია სხვადასხვა ჯიშის ეთერზეთოვანი მცენარის გამოყვანით, აქვს წარმოება და რეალიზაცია. „საქართველოს ეთერზეთების“ ცნობილი ბალები განთავსებულია ზუგდიდში, ბორჯომისა და ხაშურის რაიონებში, ასევე ჩაქვში. მათი საერთო ფართობია 150 ჰა. კომპანიაში დასაქმებულია 70-ზე მეტი თანამშრომელი.

კომპანია „საქართველოს ეთერზეთები“ მიმდინარე წელს პირველ პროდუქციას გამოუშვებს. მათ შორის რეჰანის, ეკალიპტის, დაფნის, კამის ზეთს დაამზადებს, რომელიც ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში იქნება ექსპორტირებული. ამასთან, უკვე დაწყებულია სპეციალური ზეთსახდელი საწარმოს მშენებლობა, რომლის ტექნოლოგიური ხაზი გერმანიიდანაა ჩამოტანილი.

საქართველოს ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, გააჩნია ეთერზეთოვანი კულტურების მნიშვნელოვანი სანედლეულო ბაზა და ეთერზეთების წარმოების კულტურა, რაც საშუალებას იძლევა მივიღოთ



სხვადასხვა დანიშნულების ეთერზეთები ფარმინდუსტრიის, კვების მრეწველობისა და ტექნიკური მიზნებისათვის.

ეთერზეთები ძვირფასი პროდუქტია მსოფლიო ბაზარზე მაღალი ფასების გამო. საქართველოს ბუნებრივ სანედლეულო ბაზაზე დაყრდნობით პერსპექტიულია ეთერზეთების შემდეგი კულტურების მოყვანა: დაფნა, ევკალიპტი, გერანი, რეპანი, პიტნა, ლიმონი, გრეიფუტი, ფორთოხალი, მანდარინი, ვარდი და ქოლგისებრთა ოჯახის წარმომადგენლები (მაგალითად, კამა).

მნიშვნელოვანია, რომ გარდა ფარმინდუსტრიისა, ეთერზეთები გამოიყენება კვების მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში არომატიზებასა და კონსერვაციაში - ბუნებრივ არომატიზატორებად და ბუნებრივ კონსერვანტებად, რაც პროდუქციის ეკოლოგიურ სისუფთავეს განაპირობებს. გარდა აღნიშნულისა, შესაძლებელია, ეთერზეთოვანი კულტურებიდან მიღებული ბუნებრივი არომატიზატორები და ბუნებრივი კონსერვანტები დამოუკიდებელ პროდუქტებადაც გავიტანოთ მსოფლიო ბაზარზე.

ეთერზეთოვანი კულტურების მოყვანისა და ეთერზეთების პროდუქციის წარმოების, როგორც რაოდენობრივი ზრდის, ასევე თვისებრივი გაუმჯობესების აუცილებლობაზე მსჯელობისას, წინა პლანზე უნდა წამოვიწიოთ ეთერზეთების წარმოების ორგანიზაციული და ტექნოლოგიური სტრუქტურის, კერძოდ, ეთერზეთოვანი კულტურების მწარმოებელ სოფლის მეურნეობის ქვედანაყოფებსა და ეთერზეთების ნედლეულის გადამამუშავებელ სამრეწველო საწარმოებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფის საკითხები.

ეთერზეთების მწარმოებელ კომპანიებს, სადაც ერთ სამეურნეო ქვედანაყოფს მოჰყავს ნედლეული, ხოლო მეორე კი მისი გადამამუშავების ფუნქციას ასრულებს, საბოლოო

მიზანი ერთი აქვთ, მისცენ კომპანიას მაღალხარისხოვანი და რაც შეიძლება მეტი ეთეროვანი ზეთები. მაგრამ, ზოგჯერ ნედლეულის წარმოების დაგეგმვისა და მისი შესყიდვის გამოყენებული სისტემის პირობებში, ნედლეულის მწარმოებელი და გადამამუშავებელი საწარმოების ინტერესთა დაპირისპირებაც ხდება. კერძოდ, ეთერზეთოვანი ნედლეულის წონის მიხედვით რეალიზაციის პირობებში, ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებელი - ზეთშემცველობა იგნორირებულია, ვინაიდან შესყიდვა ხდება ნედლეულის რაოდენობის მიხედვით, რასაც, ცხადია, დარგისათვის მნიშვნელოვანი ზარალი მოაქვს.

ზეთშემცველობის გაუთვალისწინებლად ნედლეულის შესყიდვა ხელს უშლის ეთერზეთოვანი კულტურების ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების დანერგვას. ეთერზეთების კულტურების ახალი ჯიშები შეიძლება მოსავლიანობის მიხედვით ჩამოუყვარდებოდეს არსებულ ჯიშებს, მაგრამ ზეთშემცველობით და ერთი ჰექტარი ეთერზეთოვანი კულტურების პლანტაციიდან ეთეროვანი ზეთის გამოსავლიანობით, მნიშვნელოვნად აღემატებოდეს არსებულს. მაგალითად, გერანის მაღალზეთოვანი ჰიბრიდის 7 პლანტაციიდან ერთ ჰექტარზე საშუალოდ 12-15 ტონა ნედლეულს აწარმოებენ, 40-60 კილოგრამი ეთერზეთის გამოსავლიანობით, მაშინ, როდესაც ვარდისებრი გერანის მოსავლიანობა 16-20 ტონას შეადგენს, ხოლო ამ ნედლეულის ეთერზეთის გამოსავალი 16-20 კილოგრამს არ აღემატება. ეთერზეთოვანი ნედლეულის წონის მიხედვით რეალიზაციის პირობებში ნედლეულის მწარმოებელი სუბიექტისათვის არ არის ხელსაყრელი ახალი, მაღალი ზეთშემცველობის, მაგრამ დაბალმოსავლიანი ეთერზეთოვანი კულტურების ჯიშების დანერგვა. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნედლეულის მწარმოებელი სუბიექტისათვის მოსავლის

აღების ეკონომიკურად ხელსაყრელ ვადას ის პერიოდი წარმოადგენს, როდესაც პლანტაცია ნედლეულის ყველაზე უფრო დიდ მოსავალს იძლევა. მაგალითად, გერანიის მწარმოებელი სუბიექტისათვის ამ კულტურის ჩაბარების საუკეთესო პერიოდი 15 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდეა, ამიტომ ის ცდილობს სწორედ ამ პერიოდში ჩააბაროს ნედლეული გადამმუშავებელ ქარხანას. ქარხნისთვის კი ხელსაყრელია გერანიის ნედლეულის 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე მიღება, მაშინ, როდესაც ნედლეულში ზეთშემცველობა მაქსიმალურ დონეს აღწევს. ასევე, ეთერზეთოვანი ნედლეულის წონის მიხედვით რეალიზაციის პირობებში ნედლეულის ჩამბარებელი სუბიექტები ცდილობენ მცენარის დაბალ ჭრილზე აჭრას და ამით ჩასაბარებელი ნედლეულის მასის გადიდებას. ამ პირობებში ეთერზეთოვანი ნედლეულის გადამმუშავებელი ქარხნები იძულებული არიან დიდი რაოდენობით მინარევებისა და ეთეროვანი ზეთების მცირე შემცველობის ნედლეული გადაამუშაონ. ეს იწვევს ქარხნების საწარმოო სიმძლავრეთა არარაციონალურ გამოყენებას, საწარმოო დანახარჯების გადიდებას და მზა პროდუქციის თვითღირებულების ზრდას. სწორედ ამაში ვლინდება ეთერზეთოვანი კულტურების მწარმოებელ და ნედლეულის გადამმუშავებელ სუბიექტებს შორის არსებული წინააღმდეგობა.

ეთერზეთოვანი ნედლეულის მწარმოებელ და გადამმუშავებელ საწარმოებს შორის ეკონომიკური კავშირურთიერთობების არსებული სისტემის ზემოთ აღნიშნულმა ნაკლოვანებებმა, ცხადია, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ეთერზეთების სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო. ისინი შეუდგნენ ეთერზეთოვანი ნედლეულის ხარისხის ამადლებისა და შესაბამისად, ეთერზეთების წარმოების გადიდების ახალი გზებისადამეთოდების ძიებას. ექსპერიმენტის სახით დაინერგა ფაქტობრივად გამომუშავებული ზეთის

## **მერაბ ჯიქია**

---

მიხედვით ეთერზეთოვანი ნედლეულის სახელმწიფო შესყიდვის ფასების განსაზღვრის მეთოდი. მისი არსია ის, რომ გარკვეული პერიოდით (3-5წლით), ეთერზეთოვანი ნედლეულის სახეობებისა და ყოველი მეურნეობის ადგილობრივი ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით მტკიცდება 1 ტონა კონდიციური ნედლეულიდან ეთეროვანი ზეთის გამოსავლიანობის ნორმატივი, ხოლო ეთერზეთოვანი ნედლეულის ჩასათვლელი წონა განისაზღვრება ზეთის ფაქტობრივი გამოსავლიანობისა და ერთი ტონა კონდიციური ნედლეულიდან ზეთის გამოსავლიანობის დადგენილი საბაზისო ნორმის მიხედვით.

აღნიშნული მეთოდის უპირატესობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი იძლევა ერთი ტონა ნედლეულიდან და ერთი ჰექტარი ეთერზეთოვანი კულტურების პლანტაციიდან რაც შეიძლება მეტი რაოდენობის ზეთის მიღებით სოფლის მეურნეობის მუშაკთა დაინტერესების ამადლების შესაძლებლობას, ჩასათვლელ საბაზისო კონდიციასთან შედარებით. რაც უფრო მაღალია ეთეროვანი ზეთის გამოსავლიანობა, მით უფრო მეტი ნედლეულის ჩაბარება ეთვლება სამეურნეო სუბიექტს.

ზეთშემცველობის მიხედვით ეთერზეთოვანი ნედლეულის სახელმწიფო შესყიდვის აღნიშნული მეთოდის არსებითი ნაკლია ის, რომ იგი შესაძლებლობას არ იძლევა მიღებული ზეთის რაოდენობასთან ერთად გავითვალისწინოთ მისი ხარისხიც. ეთერზეთოვანი ნედლეულის ხარისხის რაოდენობრივი გაზომვის საკითხი კი შეიძლება გადაწყდეს გამოყენების სფეროში მისი როლისა და დანიშნულების დადგენით. როგორც ცნობილია, ეთეროვანი ზეთები პარფიუმერიისა და კოსმეტიკური მრეწველობის ძირითადი ნედლეულია. ამ დარგში გამოიყენება წარმოებული პროდუქციის მთლიანი მოცულობის 90%-ზე მეტი. ამასთან

დაკავშირებით, ეს დარგი თავის მხრივ გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს ეთეროვანი ზეთების ხარისხს. უწინარეს ყოვლისა, მას აინტერესებს ეთერზეთების ისეთი ძირითადი კომპონენტები, როგორცაა ევგენოლი - რეჰანის ზეთში, გერანიოლი და ციტრონელოლი - გერანის ზეთში, ფენილეთილის სპირტი, გერანიოლი და ციტრონელოლი - ვარდის ზეთში და სხვა., რომელთა შემცველობის ხვედრით წონაზეა დამოკიდებული ძირითადად ეთეროვანი ზეთების ხარისხი.

ვფიქრობთ, როგორც ეთერზეთოვანი ნედლეულის, ასევე ეთერზეთების ხარისხის შეფასებისათვის საჭიროა გვეკონდგეს ერთიანი, საერთო გამჭოლი მაჩვენებელი. ასეთი მაჩვენებლის შესრულება შეუძლია ზეთსა და შესაბამისად ნედლეულში ძირითადი კომპონენტების შემცველობას. მაშასადამე, ზეთშემცველობის მიხედვით ნედლეულის რეალიზაციაზე გადასვლა მოითხოვს ნედლეულზე სახელმწიფო შესყიდვის ფასების დიფერენციაციას, არა მარტო ნედლეულში ზეთშემცველობის მიხედვით, არამედ ზეთში ძირითადი კომპონენტების შემცველობის გათვალისწინებით.

ეთერზეთოვანი ნედლეულის ზეთშემცველობისა და ძირითადი კომპონენტების შემცველობის მიხედვით სახელმწიფო შესყიდვის ფასების პირობებში მიზანშეწონილად მიგვაჩნია განსაზღვრული სანქციების შენარჩუნება, ხოლო ჩასაბარებელ ნედლეულში დანაგვიანებული და ეთერზეთოვანი მინარევების ზენორმატიული შემცველობისას ასეთი სანქციები უნდა გაიზარდოს კიდევ.

პოსტსაბჭოთა პერიოდში აგროსამრეწველო გაერთიანება „საქეთერზეთმრეწვის“ მეურნეობა-ქარხნები ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულს მხოლოდ მოსავლიანობას აღრიცხავდნენ და ამის გამო პლანტაციის ერთეულიდან ზეთის მიღების ობიექტური მაჩვენებლები არ ჰქონდათ. ევროპის ისეთ ქვეყნებში კი, როგორცაა: საფრანგეთი,

ესპანეთი, იტალია, ბულგარეთი და სხვ., ეთერზეთოვანი კულტურების მოყვანისა და ნედლეულის გადამამუშავების მთავარ მაჩვენებლად ფართობის ერთეულიდან ზეთის გამოსავლიანობა ითვლება. ამის გამო, მათი ინფორმაციის ყველა წყაროში ძირითადად სამი მაჩვენებელი ფიგურირებს: ეთერზეთოვანი კულტურების პლანტაციის ფართობები, ზეთის მთლიანი წარმოება და ზეთის საჰექტარო გამოსავლიანობა.

ეთერზეთების წარმოებაში ისეთი ანალიტიკური მაჩვენებლის გამოყენება, როგორცაა ეთერზეთების კულტურების პლანტაციიდან ეთეროვანი ზეთის საჰექტარო გამოსავლიანობა, სრულყოფილად წარმოაჩენს მიწის გამოყენების ეფექტიანობის დონეს, ხელს შეუწყობს ეთერზეთოვანი კულტურების ახალი ჯიშების დანერგვას, ნათესების დამამუშავების ტექნოლოგიის სრულყოფას, მოსავლიანობისა და ზეთშემცველობის ამაღლებას. ამ მაჩვენებელში კონცენტრირებულია წარმოების ინტენსიფიკაციის ამაღლების მიმართულებით სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის ყველა მხარე.

ეთერზეთების წარმოებაში ერთიანი მაჩვენებლის - ეთერზეთოვანი კულტურების პლანტაციის ერთი ჰექტარიდან ზეთის გამოსავლიანობის მიხედვით დაგეგმვაზე გადასვლა, როგორცსოფლის მეურნეობის, ასევე გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებში აამაღლებს წარმოების ეფექტიანობას და ხელს შეუწყობს მათ დაბალანსებულ განვითარებას.ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ეთერზეთოვანი კულტურების პროდუქციის წარმოებაში, როგორცაა: რეჰანი, გერანი, ლავანდა და სხვ.

ეთერზეთების წარმოებაში საბოლოო პროდუქციის მიღებაზე რიგი ფაქტორი მოქმედებს. ერთ-ერთი ობიექტური ფაქტორია ეთერზეთოვან მცენარეთა ზეთშემცველობის

დღე-ღამური ცვლილება. ასე, მაგალითად, თუ ეთერზეთის შემცველობა ვარდის ყვავილში დიდის 6-7 საათისთვის შეადგენს 100%-ს, დღის 14-15 საათისათვის მხოლოდ 50-60%-ია. ამასთან დაკავშირებით ევროპის ცალკეულ ქვეყნაში, მათ შორის ბულგარეთის რესპუბლიკაში, ვარდის ყვავილებზე ფასები დიფერენცირებულია მოკრეფისა და გადამმუშავებელ საწარმოებში მიწოდების დროის მიხედვით. მიმღებ პუნქტში ვარდის ჩაბარებისას დიდის 10 საათამდე ნედლეულს აქვს მაქსიმალური შეფასება, 11 საათამდე ფასი კლებულობს 15%-ით, 12 საათამდე 25%-ით, ხოლო 12 საათის შემდეგ მოკრეფილი და ჩაბარებული ვარდის ყვავილი მისი ღირებულების მხოლოდ 50%-ით ფასდება. ვფიქრობთ, ბულგარეთის მაგალითი საყურადღებო და გასათვალისწინებელია საქართველოში ეთერზეთების მწარმოებელი კომპანიებისთვისაც. მაშასადამე, ეთერზეთების ქარხნებში ნედლეულის შემოტანის ორგანიზაციის სრულყოფის ღონისძიებათა სისტემა უნდა ითვალისწინებდეს ნედლეულის შემოტანის საათობრივი გრაფიკის დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს ეთერზეთოვანი კულტურების მოსავლის აღების ოპტიმალური ვადების დაცვასა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეების მაქსიმალურ დატვირთვას. გადამმუშავებელ საწარმოებში ნედლეულზე ყოველდღიურ მოთხოვნილებასა და გამოყენებული ტრანსპორტის ტვირთამწეობას შორის შეუთანხმებლობა იწვევს სატრანსპორტო საშუალებების ზედმეტი რაოდენობით დაკავებას, ქარხნებში დატვირთული ტრანსპორტის დიდი ხნით მოცდენას, ნედლეულის გადამმუშავების დაყოვნებას, რაც აღიძვრს ნედლეულში ზეთშემცველობის დანაკარგებს. ე.ი. ქარხანაში ნედლეულის შემოტანის საათობრივი გრაფიკისა და ნედლეულის მიწოდების რადიუსის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს ტრანსპორტის გამოყენების საკითხებიც.

ეთერზეთოვანი ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოებში უნდა შეიქმნას დისპეტჩერული სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს ნედლეულის რიტმულ შემოსვლასა და მის დროულ გადამამუშავებას.

ამრიგად, ეთერზეთოვანი ნედლეულის მწარმოებელ მეურნეობებსა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებს შორის ეკონომიკური კავშირურთიერთობის სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელება, ეთერზეთების პროდუქციის წარმოების გადიდებასთან ერთად, უზრუნველყოფს მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლებასაც.

**Planning and organization of the production of essential of  
Improvement issues**

**M. Jikhia**

Essential oils in the production of a single parameter - Planning for balanced development according to the oil yield per hectare from Aromatic

plantation crops . This is especially important for production of oils, such as: srehani, Gera, Lavender by other. Western, as for agriculture, as well as in the processing industry will increase production efficiency and contribute to their development. In addition, as the oils of raw materials, as well as Quality assessment of essential oils is necessary to have a single, common pass-through rate.



**მცირე ბიზნესის განვითარების  
თეორიულ-გამოყენებითი  
საფუძვლების სრულყოფის  
საკითხები**

**ლეილა ქალაგიშვილი**  
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის**  
**თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი,**  
**ეკონომიკის აკადემიური დოქტორი.**

სტატიაში განხილულია მცირე საწარმოების როლი და ადგილი თანამედროვე ეკონომიკაში, გამოკვლეულია მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, განვითარების პოტენციალი, გაანალიზებულია მცირე ბიზნესის განვითარებაში სახელმწიფო მხარდაჭერის ახალი მიდგომები და ფორმები.

ბიზნესის სისტემაა, რისთვისაც დამახასიათებელია სისტემის ყველა თვისება, კერძოდ – მთლიანობა, მიზნობრიობა, აქტიურობა, წინააღმდეგობრიობა და ა.შ. ბიზნესს მისი ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე, ყოფენ სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. ერთ-ერთი ასეთი ნიშანია ბიზნესის ორგანიზაციული დონე, რომლის მიხედვით ბიზნესი იყოფა მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესებად. შევნიშნავთ, რომ აკადემიურ ლიტერატურაში ამ ნიშნის მიხედვით ბიზნესს ყოფენ მიკრო, მაკრო და მეზობიზნესადაც. ასეთი დაყოფა, ცხადია, პირობითია და გარკვეულწილად ეფუძნება იმ ეკონომიკური სუბიექტების ზომას, რომელთა ბაზაზეც ხორციელდება სხვადასხვა სამეწარმეო საქმიანობა.


მცირე ბიზნესი კონკრეტული ეკონომიკური სისტემის პირობებში ხორციელდება. მას არ გააჩნია და არც შეიძლება ჰქონდეს საკუთარი, განსხვავებული თეორიული საფუძ-

ველი და იგი მთლიანად ზოგადეკონომიკურ თეორიულ ბაზას ეყრდნობა. რადგან მცირე ბიზნესი კონკრეტულ ეკონომიკურ სექტორს წარმოადგენს (მას ხშირად ეკონომიკის მცირე სექტორს, მცირე ეკონომიკასაც უწოდებენ), იგი მოქმედებს იმ სამართლებრივი და საკანონმდებლო რეჟიმის ფარგლებში და ვითარდება იმავე კანონზომიერებით, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური სისტემისთვისაა დამახასიათებელი. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად მცირე საწარმო (ანუ მცირე ბიზნესზე ორიენტირებული სამეურნეო ერთეული) შეიძლება შეიქმნას და ფუნქციონირებდეს მეურნეობის ნებისმიერ სფეროში, საწარმოს ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. მცირე ბიზნესის ფუნქციონირების სფერო არ შემოიფარგლება არც ეკონომიკის რომელიმე სექტორით და არც საკუთრების ამა თუ იმ ფორმისადმი მისი კუთვნილებით; მცირე საწარმოები შეიძლება შეიქმნას როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში, ეროვნული მეურნეობის ყველა დარგსა და სფეროში. საქმიანობის ხასიათის მიხედვით მცირე ბიზნესი შეიძლება იყოს კომერციული, საწარმოო, საშუამავლო, საფინანსო-საკრედიტო, მომსახურების პროფილის და ა.შ. საკუთრების ფორმის მიხედვით – ინდივიდუალური, მუნიციპალური, სახელმწიფო, საკუთრების შერეული ტიპის საწარმოები (იხ. სქემა).

მცირე ბიზნესის წარმოშობა სათავეს იღებს იმ შორეული საუკუნეებიდან, როდესაც საუძველი ჩაეყარა მანუფაქტურულ წარმოება-ხელოსნობას. მან გაიარა განვითარების ხანგრძლივი გზა და დღეისათვის იგი ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტია. მცირე ბიზნესის განვითარების ფესვები დაკავშირებულია წარმოების პიროვნული ფაქტორის მობილიზაციასა და ახლო წარსულში მსხვილი მონოპოლიური გაერთიანებებისადმი საყოველთაო მიდრეკილების წინააღმდეგ ბრძოლასთან. ბოლო

პერიოდამდე, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ჩქარი ტემპების მიუხედავად, რომელიც ხელს უწყობდა მსხვილი სამეურნეო კომპლექსების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, მცირე საწარმოთა ეკონომიკური ეფექტიანობა თანდათანობით გაიზარდა. დღესდღეობით მცირე საწარმოები მეწარმეობის ეფექტიან ფორმადაა მიჩნეული და ეს მრავალი ფაქტორითაა განპირობებული. ჯერ ერთი, ადამიანებს ურჩევნიათ ჰქონდეთ საკუთარი ბიზნესი და, მეორეც, კონკურენტული ბრძოლების შედეგად მსხვილ კომპანიებში მიმდინარე კადრების როტაცია იწვევს კვალიფიციური მუშახელის ნაკადების გადასვლას, კორპორაციული ბიზნესიდან მცირე ბიზნესში.

### მცირე საწარმოების კლასიფიკაცია



ემპნისიპაციამ ასევე, დიდად განაპირობა მცირე ბიზნესის პროკლარაიზაცია. „აშშ-ი ყოველწლიურად ათასობით ახალი ბიზნესის წარმოქმნა უკავშირდება ქალთა, აფრიკული წარმოშობის ამერიკელებისა და სხვა უმცირესობების სა-

კუთრებაში მყოფი ფირმების რაოდენობის ზრდას. დღეს-დღეობით აშშ-ი დაახლოებით 9 მილიონი ქალთა ბიზნესი ქმნის 28 მილიონზე მეტ სამუშაო ადგილს. თითქმის ყოველი ორი, ხუთი ამერიკული ბიზნესიდან არის ქალის საკუთრებაში. მსოფლიო ბიზნესში კი ყოველი ერთი, რვა ბიზნესიდან ეკუთვნის ქალებს. ქალებს კაცების მსგავსად აქვთ მიზეზების ნაირსახეობა თუ რატომ წამოიწყონ საკუთარი ბიზნესი. ზოგს ამოძრავებს სხვათა დახმარების იდეა, ზოგს გააჩნია ბიზნეს-იდეა, რომლის ცხოვრებაში დანერგვაც უნდა, სხვები იმედგაცრუებას განიცდიან მსხვილი ფირმების ბიუროკრატიულობის გამო, (ქალები ტოვებენ მსხვილ კორპორაციებს, როდესაც ისინი წინსვლის შესაძლებლობების შეზღუდულობას განიცდიან). იმის გამო, რომ ქალები კაცებთან შედარებით ოჯახთან მიმართებით უფრო მეტად მზრუნველები არიან, ისინი ეძებენ თვითდასაქმების შესაძლებლობას, რათა მიაღწიონ მოქნილ სამუშაო საათებს და მეტი დრო დაუთმონ ოჯახს“ [1, გვ. 173].

მცირე ბიზნესის განვითარებას შრომის განსაკუთრებული მოტივაციაც უწყობს ხელს. იგი უკეთეს შესაძლებლობებს უქმნის ადამიანებს ინდივიდუალურ მიდრეკილებათა და მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. თანამედროვე პირობებში ეს მეტად საგულისხმო გარემოებაა, რადგან დღეს ბევრისთვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს ისეთ ფუნდამენტურ ფასეულობებს, როგორცაა: ინდივიდუალურობა, მრავალფეროვნება, თვითგამოხატვის შესაძლებლობა, ღირსების გრძნობა, მორალური კმაყოფილება, პიროვნული უნარის გამოცდა და ა.შ. ასეთ შეხედულებებს გარკვეული საფუძველი აქვს, რადგან საქმის მრავალფეროვნება, რაც მცირე მეწარმეობას ახასიათებს, არჩევანს უფართოებს მცირე ბიზნესში დასაქმებულ ადამიანებს.

გლობალიზაციის პირობებში კიდევ უფრო იზრდება მცირე ბიზნესის როლი და მნიშვნელობა, განსაკუთრებით

სამუშაო ძალის დასაქმების კუთხით. ცნობილია, რომ თანამედროვე მსხვილი ბიზნესისათვის, რომელიც წარმოდგენილია ტრანსნაციონალური კომპანიებით, დამახასიათებელია უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა, რაც იწვევს სამუშაო ადგილების შემცირებას. მცირე და საშუალო ბიზნესი კი, პირიქით, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს და ხელს უწყობს დასაქმების დონის ზრდას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს დღევანდელ პირობებში, როდესაც უმუშევრობა ქვეყნის ყველაზე მწვავე პრობლემაა.

სამწუხაროდ, ერთიანი და საყოველთაოდ აღიარებული განსაზღვრა იმისა, თუ რას წარმოადგენს მცირე საწარმო, არ არსებობს. „ამიტომ, რომ მსოფლიოში „მცირე საწარმოს“ 50-მდე განსაზღვრა არსებობს. ყველა ქვეყანა თავისი სპეციფიკით უდგება“ [2, გვ. 409]. მცირე საწარმოთა რაოდენობრივი პარამეტრები და თვით საწარმოს განმსაზღვრელი კრიტერიუმები მსოფლიოში უნიფიცირებული არ არის. თითოეული ქვეყანა მათ აყალიბებს ეროვნული ეკონომიკის თავისებურებებისა და იმ სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, რომელებიც ქვეყნის კანონმდებლობითაა განსაზღვრული. მისი პირველი განმარტება შემუშავებულ იქნა გაერთიანებულ სამეფოში ბოლტონის კომიტეტის მიერ 1971 წელს, რომლის თანახმად მცირე და საშუალო საწარმო: 1. ფუნქციონირებს დამოუკიდებლად და იმართება მესაკუთრის (ან მესაკუთრეების) მიერ; 2. ასაქმებს მშენებლობაში არა უმეტეს 25 და წარმოებაში 200 ადამიანს; 3. წლიური შემოსავალი არ აღემატება 50000 ფუნტ სტერლინგს (1971 წლის მდგომარეობით).

დღესდღეობით ევროკავშირი განიხილავს მცირე და საშუალო საწარმოების სამ ტიპს: 1. მიკროსაწარმო, სადაც დასაქმებულია 1-დან 10-ათამდე ადამიანი და საქონელბრუნვის წლიური მოცულობა არ აღემატება 2 მლნ ევროს; 2. მცირე

## **ლეილა ქალაგიშვილი**

საწარმო, სადაც დასაქმებულია 10-დან 50-მდე ადამიანი და საქონელბრუნვის წლიური მოცულობა არ აღემატება 10 მლნ ევროს; 3. საშუალო საწარმო, სადაც დასაქმებულია 50-დან 250-მდე ადამიანი და საქონელბრუნვის წლიური მოცულობა არ აღემატება 10 მლნ ევროს. გაეროს კლასიფიკაციით: მიკროა საწარმო 10-მდე მომუშავეთ, მცირე 100-დან 110-მდე მომუშავეთ, და საშუალო – 110-დან 500-მდე მომუშავეთ.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, მიკრობიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, საიდანაც მის მიერ მისაღები ერთობლივი ჯამური შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს, ხოლო მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს.

კანონი – „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“, მცირე ბიზნესს შემდეგნაირად განსაზღვრავს: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 დასაქმებულს, ხოლო წლიური ბრუნვაა არაუმეტეს 500 000 ლარი, არის მცირე საწარმო.

როგორც ვხედავთ, საგადასახადო კოდექსში წარმოდგენილი მცირე ბიზნესის განსაზღვრები წინააღმდეგობაში მოდის „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს“ კანონში მოცემულ განსაზღვრასთან.

ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მცირე და საშუალო ბიზნესზე, თავის მხრივ, მცირე და საშუალო ბიზნესს გარკვეული ფუნ-

ქციები აკისრია ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში, რითაც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ ეკონომიკურ განვითარებაზე. მათ შორის მთავარია [1, გვ.156-163]: 1. **დინამიკურობა და მოქნილობა.** მცირე საწარმოები ადვილად რეაგირებენ საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებებზე, ე.ი. დიდი შესაძლებლობები აქვთ მომხმარებელთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მათ შეუძლიათ ისეთი საქონლის წარმოება, რომელიც სპეციფიკურ სამომხმარებლო მოთხოვნილებებს უპასუხებს. გარდა ამისა, მცირე საწარმოებს აქვთ გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი იმ ბიუროკრატიული და ფორმალური პროცედურების თავის არიდებით, რაც თან სდევს გადაწყვეტილების მიღების პროცესს მრავალ მსხვილ კომპანიაში; 2. **კონკურენციის მექანიზმის გაძლიერება.** ბაზრის ყველა მოთამაშის არჩევანი – გახდეს დამოუკიდებელი მეწარმე დიდადაა დამოკიდებული კონკურენციის ქმედუნარიანობაზე. თუკი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება ისე, რომ ყოველ ბაზარზე ჰყავდეს მცირე და საშუალო მეწარმეთა საკმარისი რაოდენობა, არ მოხდება ბაზრების მონოპოლიზება და ძალაუფლების კონცენტრაცია მხოლოდ რამდენიმე სუბიექტის ხელში. ჯანსაღი კონკურენციისა და მეწარმეობის განვითარებით კი საზოგადოება სოციალურ სარგებლობას მიიღებს. 3. **სოციალური ფუნქცია.** მცირე საწარმოები ფართო შესაძლებლობებს ქმნიან შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენებისათვის, რის საფუძველზეც შესაძლებელია დასაქმების გაზრდა. მცირე ბიზნესი ერთეული პროდუქციის წარმოებისათვის გაცილებით მეტ შრომით რესურსს გამოიყენებს ვიდრე მსხვილი ფირმები. ამდენად, მცირე ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი საშუალება. მცირე ბიზნესი ხელს უწყობს დასაქმების ისეთ პროგრესულ ღონისძიებათა დანერგვას, როგორიცაა სუბიჯარა, პროფესიათა შეთავსება,

მცოცავი გრაფიკით მუშაობა, შინ მუშაობა და სხვ; 4. **მომსახურების ხარისხი.** მცირე საწარმოებისთვის ადვილია მომხმარებელთან ინდივიდუალური მუშაობის მოწესრიგება და გაყიდვის შემდგომი მომსახურების ორგანიზება. 5. **ინოვაციების დანერგვა.** მცირე საწარმოები, განსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც მოქმედებენ მაღალტექნოლოგიურ ბაზრებზე, ხშირად არიან ნოვატორები წარმოების ან მარკეტინგის დარგში. ასეთი საწარმოები, როგორც წესი, სწორი სამეწარმეო სტრატეგიის ხარჯზე წარმატებით უმკლავდებიან ბაზრის ახალი მოთხოვნილებების შესაბამისად საკუთარი პროდუქციის სრულყოფის ამოცანას. ამ თვალსაზრისით მცირე საწარმოები ბაზრის ლიდერებია.

საქმიანობის პროცესში მცირე საწარმოები ხშირად აწყდებიან სერიოზულ შეზღუდვებს, რომლებმაც შეიძლება შეაფერხონ მათი წარმატებული საქმიანობა. მცირე ბიზნესის ნაკლოვანი მხარეებია [3, გვ. 429]: 1. **გაყიდვა და მარკეტინგი.** მარკეტინგის ორგანიზაცია და საკუთარი პროდუქციის გაყიდვა (განსაკუთრებით საზღვარგარეთის ბაზრებზე) მცირე საწარმოებისათვის მრავალ პრობლემასთანაა დაკავშირებული. მომხმარებლები მცირე საწარმოებს ახასიათებენ, როგორც ნაკლებად სტაბილურს და საიმედოს, ვიდრე მათი უფრო მსხვილი კონკურენტებია. ნდობის ნაკლებობამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს საკუთარი პროდუქციის გაყიდვის უნარი. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას ახლადშექმნილი მცირე საწარმოების წინაშე, რომლებსაც უბრალოდ დრო არ ჰქონდათ საკუთარი რეპუტაციის შესაქმნელად; 2. **რესურსებით უზრუნველყოფის არათანაბარი შესაძლებლობები.** თუ გათვალისწინებთ, რომ ბევრი მცირე საწარმო მოქმედებს სპეციალიზებულ ბაზრებზე, მათი გადარჩენა გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება დამოკიდებული იყოს იმ ახალი პროდუქციის შემუშავებისა და ბაზარზე გატანის უნარზე, რომელიც პასუხობს მომხმარებ-



ლის ქცევას. როგორც წესი, ეს საქმიანობა მოითხოვს მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებას. მაგრამ მცირე საწარმოების უნარი – მოიზიდონ ინვესტიციები, საკმაოდ შეზღუდულია, რადგან ბევრ მათგანს არ გააჩნია ფინანსური უზრუნველყოფის წყაროები და ხშირად ბანკები მათ მაღალრისკიანი ინვესტიციების ობიექტებს მიაკუთვნებენ; 3. **მასშტაბის ეკონომია.** წარმოების მასშტაბებით განპირობებული ეკონომიის მიღება, მსხვილ საწარმოებთან შედარებით, მნიშვნელოვნად შეზღუდულია. მათ, როგორც წესი, ნაკლები შესაძლებლობა აქვთ მიღწიონ მასშტაბის ეფექტს და მასთან დაკავშირებულ საბაზრო უპირატესობებს. მათი საწარმოო ხარჯების დონე ხშირად უფრო მაღალია, ვიდრე მათი მსხვილი კონკურენტებისა. ცხადია, ეს მნიშვნელოვნად ზღუდავს მცირე საწარმოების შესაძლებლობებს ფასისმიერი კონკურენციის პირობებში.

მიუხედავად ამისა, მოწინავე ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ დროთა განმავლობაში მცირე ბიზნესის როლი ეკონომიკაში არ კლებულობს და მათ რაოდენობრივ ზრდას საერთაშორისო მასშტაბით მყარი ტენდენციები აქვს. საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესი სადღეისოდ სუსტადაა განვითარებული და მათი წილი ეკონომიკაში ძალიან მცირეა. კერძოდ, მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვა, გამოშვებული პროდუქციის მოცულობა და დამატებული ღირებულება მთლიანი ბიზნესის მაჩვენებლებში 20%-ს არ აღემატება. მცირე და საშუალო ბიზნესის ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა 2012 წელს აღწევდა 591.8 მლნ ლარს, რაც მთლიანი მოცულობის 20%-ს შეადგენდა. ეს ნიშნავს, რომ მთლიანი ინვესტიციების 80%-ზე მეტი მსხვილ ბიზნესზე მოდის. ასეთ პირობებშიც კი, მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულია მთლიანად ბიზნესსექტორში დასაქმებულთა 40%-მდე (229 057 ადამიანი) [4]. ზემოაღნიშნული მაჩვენებლები საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის დაბალ კონკურენტუ-

ნარიანობაზე მიუთითებს. ეს გამოიწვია არასრულყოფილმა საკანონმდებლო ბაზამ, არამასტიმულირებელმა საკრედიტო და ფისკალურმა პოლიტიკამ და მრავალმა სხვა ფაქტორმა.

მცირე და საშუალო ბიზნესის უფრო მეტად განვითარების პირობებში, ეკონომიკის ეს სექტორი მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს დაასაქმებდა და შეამცირებდა ქვეყნისათვის მეტად მწვავე უმუშევრობის პრობლემას.

საქართველო ისწრაფვის ფართოდ ეზიაროს ევროპულ ფასეულობებს და მოახდინოს ევროპასთან ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია. დღეს ევროკავშირი აღიარებს იმ დიდ როლს, რომელსაც ასრულებს მცირე და საშუალო ბიზნესი ევროპულ ეკონომიკაში. მცირე და საშუალო ბიზნესი არა მარტო ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და პროდუქციის მოცულობის გაზრდის საშუალებაა, არამედ, აგრეთვე, ინოვაციური და ტექნოლოგიური პროცესის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც წარმოადგენს რეგიონის ეკონომიკის წარმატებისა და აყვავების საწინდარს. მიტომ, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით, საინტერესოა ევროკავშირის ქვეყნების მაგალითი, სადაც მცირე და საშუალო საწარმოთა ბრუნვა 2010 წელს მთლიანი ბრუნვის 58%-ს შეადგენდა, ხოლო გამოშვებული პროდუქცია – 59%-ს; მთლიანად ბიზნესსექტორში დასაქმებულთა 67% მცირე და საშუალო საწარმოებში იყო დასაქმებული [5]. უკანასკნელ წლებში ევროკავშირის ყურადღება მცირე და საშუალო ბიზნესისადმი გაძლიერდა. მას არამარტო ფინანსურად ეხმარებიან, არამედ კონსულტაციებს უწევენ მართვის უნარების დახვეწასა და საინოვაციო საქმიანობის გაუმჯობესებაში, დაფინანსების გარე წყაროების მოძიებაში, საექსპორტო შესაძლებლობების გაუმჯობესებაში და სხვ. თუ გავითვალისწინებთ, რომ 2014 წლის ზაფხულში საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, მაშინ მცირე ბიზნესის პოლიტიკის ევრო-

პული მოდელის დანეგვის აუცილებლობა გარდუვალია.

მცირე საწარმოს განვითარების დონე მეტწილად განისაზღვრება იმ სტრატეგიით, რომელსაც ირჩევს კომპანია თავისი საქმიანობის მასშტაბის გაფართოების მიზნით. თუ მცირე საწარმო ცდილობს მიაღწიოს წარმატებას, მაშინ მისი ბიზნეს-სტრატეგია უნდა მოიცავდეს შემდეგ მიმართულებებს: ფირმის ორგანიზაციული მახასიათებლების საფუძვლიან ანალიზს, პერსონალის კვალიფიკაციის დონის ამღებებას (რაც ბიზნესში ჩადებული ინვესტიციის ერთ-ერთი ფორმაა), დაფინანსების გარე წყაროების გამოყენებას, ახალი სახის პროდუქციის შემუშავებას, საექსპორტო ბაზრების მოძიებას, ადგილმდებარეობის შერჩევას, კვალიფიციური მენეჯერების გამოყენებას. მნიშვნელოვანია სახელმწიფო პოლიტიკის როლი, წარმატებული ბიზნესსტრატეგიის რეალიზაციის საქმეში.

ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ განაპირობა სამეწარმეო საქმიანობის დანერგვა და განვითარება. სახელმწიფომ თავისთავზე აიღო ვალდებულება ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობის და კონკურენციის განვითარებას, რაც სამართლებრივი თვალსაზრისით განმტკიცდა ქვეყნის უზენაეს კანონში – საქართველოს კონსტიტუციაში.

საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების ინსტიტუციური და საკანონმდებლო სისტემის განვითარება დაიწყო 1990-იანი წლების ბოლოს. ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარების პრიორიტეტულობა და მისი ხელშეწყობის აუცილებლობა ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 1993 წელს საქართველოს რესპუბლიკაში მცირე სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისა და ხელშეწყობის დონისძიებათა შესახებ მთავრობის დადგენილებით აღიარა. 1999 წელს მცირე ბიზნესის ხელშეწყობა საკანონმდებლო რანგში ავიდა და მიღებულ იქნა კანონი „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“, რითაც განისაზღვრა მცირე და საშუალო საწარ-

მოების განვითარების ძირითადი პრინციპები. კანონმა საფუძველი ჩაუყარა „მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრის“ შექმნას, რომლის ძირითადი მიზანი იყო მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარებისა და მხარდაჭერის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. 2002 წელს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებულ იქნა „ 2002–2004 წლებში მცირე და საშუალო საწარმოთა სახელმწიფო დახმარების პროგრამა“, რომელიც გულისხმობდა მცირე საწარმოთა დახმარებას ორი ძირითადი მეთოდის გამოყენებით: 1. საფინანსო დახმარების აღმოჩენა; 2. საინფორმაციო, საკონსულტაციო, განათლებისა და ტრენინგის სფეროები. 2006 წელს კანონი „მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის შესახებ“, გაუქმებული იქნა. მთავრობის მიერ ოფიციალურად დეკლარირებული იქნა ლიბერალური ეკონომიკური კურსი, რაც სხვა საკითხებთან ერთად გულისხმობდა ბიზნესში ჩაურევლობის პრინციპის დანერგვას და ამასთანვე, ყველა საწარმოსათვის მიუხედავად მათი ზომისა, თანაბარი კონკურენტული გარემოს შექმნას.

დღეისათვის საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს მცირე ბიზნესის განვითარებისათვის დაწესებულ რაიმე შეღავათებს, გამონაკლისია მიკრო და მცირე საწარმოებთან მიმართებით ახალ საგადასახადო კოდექსში ამოქმედებული შეღავათები. მცირე ბიზნესის მხარდაჭერაზე უარის თქმამ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ დონეზე, გამოიწვია მცირე და საშუალო საწარმოთა საქმიანობის მაჩვენებლების გაუარესება. მცირე საწარმოთა დიდი ნაწილი გააკოტრდა, ნაწილმა კი უარი თქვა მუშაობის გაგრძელებაზე. მცირე საწარმოთა აქტიურობის კვების მიზეზი იყო გარე ფაქტორებიც. რუსეთის მიერ 2006 წელს დაწესებულმა ემბარგომ და გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა გავლენა მოახდინა მცირე საწარმოთა საქმიანობის მაჩვენებლებზე.

2004–2010 წლებში საქართველოს მთავრობამ განაახლა

მოძველებული კანონმდებლობა. ბიზნესის სამართლებრივი ადმინისტრირების ტვირთი დაყვანილ იქნა მინიმუმამდე. გამარტივდა საწარმოთა რეგისტრაციასა და საქმიანობის დაწყებასთან დაკავშირებული ფაქტორები. 2007 წლის დეკემბერში საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა სახელმწიფო პროგრამა – „იაფი კრედიტი“. შემდგომ ეს პრაქტიკა შეწყდა, რადგან მრავალმა მსესხებელმა ვერ უზრუნველყო სესხის მიზნობრივი გამოყენება და ვერ მოახერხა სესხების დროულად დაბრუნება. ასევე ქვეყნის მთავრობამ შეიმუშავა 2008–2012წლების პროგრამა – „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“. ამ პროგრამით გათვალისწინებული იყო საშემოსავლო გადასახადის 15%-მდე შემცირება და ქონებაზე გადასახადის საერთოდ გაუქმება. ვერც ეს პროგრამა განხორციელდა და შესაბამისად საქართველოში გასული წლების ეკონომიკურმა რეფორმებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. დღემდე არსებულ სამთავრობო პროგრამებში გაცხადებული მიზნები, რაც უმუშევრობისა და სიღარიბის შემცირებას უკავშირდება, კვლავ მიუღწეველი რჩება, ვინაიდან ქვეყანაში ბოლო ათწლეულების განმავლობაში გატარებულმა რეფორმებმა, საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილამდე ვერ მიაღწია.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში ახალი მთავრობა მოვიდა, რომლის მთავარი ეკონომიკური ამოცანაა ისეთი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის სრულ რეალიზაციას. ამ სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტად გაცხადებულ იქნა სახელმწიფო პროგრამა – „წარმოე საქართველოში“. ეს პროგრამა არის სისტემური რეფორმატორული პროგრამა, რომლის ძირითადი მიზნებია: მეწარმეობის ხელშეწყობა; ადგილობრივი წარმოების სტიმულირება; ახალი საწარმოების ამუშავება; ახალი სამუშაო ადგილების

შექმნა; საქსპორტო პოტენციალის გაზრდა; პროგრამის ბიუჯეტი 46 მლნ ლარი.

2014 წლის აგვისტოში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია– საქართველო 2020“. სტრატეგიის მიზანია საქართველო გახდეს ტრადიციულ და ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული საყოველთაო კეთილდღეობის ქვეყანა. მცირე, საშუალო და დამწვები ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით სტრატეგიის არსებული ვარიანტით განსაზღვრულია მეწარმეობის განვითარების სააგენტოს<sup>1</sup> შექმნა, რომლის მთავარი მიზანი იქნება მცირე და საშუალო მეწარმეთა უნარების ამაღლება, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, დამწვები ბიზნესის დაფინანსება, და ასევე, მეწარმეთა საქსპორტო პოტენციალის გაძლიერება. საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს ბიზნესინკუბატორების განვითარებას, სადაც მოხდება პოტენციური მეწარმეების უნარების, მათ შორის – სამეწარმეო უნარების, განვითარება, მათი საინვესტიციო რესურსების შესახებ გათვითცნობიერებულობის ამაღლება.

ამ სტრატეგიის განხორციელებაში მონაწილეობს სახელმწიფოს ყველა სამინისტრო, დეპარტამენტი და სააგენტო. თუმცა მთავარ როლს ფინანსთა სამინისტრო და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ასრულებენ. ამ უკანასკნელთან ჩამოყალიბებული მეწარმეობის განვითარების სააგენტო დაკავებულია მცირე ბიზნესთან მიმართებაში სახელმწიფო პოლიტიკის ცხოვრებაში განხორციელებით, ხოლო ფინანსთა სამინისტრო წარმოადგენს ფინანსურ შესაძლებლობებს და ქმნის მაკროეკონომიკურ საფუძვლებს ბიზნესის, მათ შორის, მცირე ბიზნესის, საქმი-

<sup>1</sup> მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ფარგლებში 2014-2016 წლებში, 140 მლნ ლარის ოდენობის თანხა დაიხარჯება მცირე და საშუალო, ასევე დამწვები ბიზნესების ხელშეწყობისათვის, ასევე მთიან რეგიონებშიც განვითარდება მეწარმეობა.

ანობისთვის.

გამოვეოფთ კიდევ რამდენიმე საკითხს, რომლის გადაწყვეტა გასათვალისწინებელია მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამებში:

- მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ მცირე ბიზნესის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საფინანსო საკრედიტო მხარდაჭერა: გრანტები, სესხები, ინვესტიციები მცირე საწამოებში, საგადასახადო შეღავათები;

- მცირე ბიზნესის მხარდაჭერის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სახელმწიფო შეკვეთების სისტემა, რომელიც მოქმედებს ბევრ განვითარებულ ქვეყანაში (ურთიერთობის ეს ფორმა უზრუნველყოფს მცირე ბიზნესისათვის გასაღების ბაზარს, აჩქარებს კაპიტალის დაგროვების პროცესს, ამყარებს კონკურენტუნარიანობას, ხელს უწყობს სამრეწველო სიმძლავრეების განვითარებას, უზრუნველყოფს საწარმოო ტექნოლოგიური აღჭურვილობის მოდერნიზებას). გამოცხადებული ტენდერების უმრავლესობა შედარებით მცირე მოცულობისაა, რაც სახელმწიფო შესყიდვებს ხელმისაწვდომს გახდის მცირე და საშუალო ბიზნესისათვის. შესაძლებელია დაწესდეს ლიმიტი სახელმწიფო შესყიდვებზე, რომელიც უნდა გავრცელდეს მცირე და საშუალო ბიზნესზეც.

- მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მრავალი ასოციაცია ფუნქციონირებს, რომელთა ძირითადი ამოცანა ბიზნესის ინტერესების დაცვაა, მათი მცირე ბიზნესის პრობლემათა დარეგულირების საკითხში ჩართულობის ხარისხი ძალიან დაბალია, ვინაიდან ისინი ძირითადად მსხვილი ბიზნესის ინტერესების დამცველად გვევლინებიან. აღნიშნულს განაპირობებს ის ფაქტი, რომ საჯარო პოლიტიკის კონცენტრირების ძირითად ობიექტად გვევლინება მსხვილ საწარმოთა სეგმენტი, რომლის წილიც ქვეყანაში წარმოებული საქონლის მოცულობაში 80%-ზე მეტია [6]. ბიზნესასოციაციებს მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის მხრივ მნიშვნელოვანი

როლის შესრულება შეუძლიათ უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობით, მეწარმეებისათვის ინფორმაციაზე გაუმჯობესებული წვდომის უზრუნველყოფით, ჯანსაღი ბიზნეს-გარემოს შექმნით, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებსა და მთავრობას შორის დიალოგით, რომელიც მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებისა და სამუშაო ადგილების შექმნისაკენ იქნება მიმართული.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ მცირე საწარმოების ეფექტიანად ფუნქციონირების გარე პირობებს შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მსხვილ ბიზნესს. ეს ლოგიკურიცაა, თუ მსხვილი ბიზნესსტრუქტურა არის თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის კარკასის ცენტრალური მზიდი კონსტრუქცია, თავის მხრივ მცირე ბიზნესი უზრუნველყოფს მის მოქნილობას და ინდივიდუალიზაციის პროცესის გადრმაგებას. ამიტომ ეს ორი სტრუქტურა ერთმანეთს ავსებს. პრაქტიკაში მსხვილი და მცირე საწარმოების ინტეგრაციის ძირითად ფორმებად მიჩნეულია: სუბიჯარა (მსხვილი ფირმები ხშირად უარს ამბობენ ზოგიერთი სახეობის სამუშაოებზე და ურჩევენიათ ცალკეული დეტალისა და მაკომპლექტებელი ნაწილების შესყიდვა. თავის მხრივ, მცირე ფირმა მათგან იღებს გარანტირებულ სუბსაიჯარო შეკვეთის შესაძლებლობას. მცირე საწარმოები აქტიურად თანამშრომლობენ ზოგიერთ მსხვილ ფირმასთან და ამით ისინი ესადაგებიან მათ ორგანიზაციულ და ტექნიკურ მოთხოვნებს, მიწოდების დისციპლინასა და ხარისხის დონეს, საბაზრო კონიუნქტურის მერყეობისა და ინოვაციურ პროცესებს), ფრანჩაიზინგი, ვენჩურული დაფინანსება, ლიზინგი და სხვ. აღიარებულია, რომ ყველა დასახელებული ფორმა შეესაბამება მცირე მეწარმეობისათვის მხარდაჭერის საყოველთაოდ ცნობილ კრიტერიუმებს. მთავარია, თითოეული მათგანის ან რამდენიმეს ერთად გამოყენება ადგილობრივი პირობების შესაბამისად მოხდეს [2, გვ. 438].



დაბოლოს, კიდევ ერთი გარემოება: საქართველოში ბიზნესის, უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების თანამშრომლობა მეტად დაბალ დონეზეა. ამის გათვალისწინებით, ივ. ჯავახიშვილის თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, საერთაშორისო ბიზნესის კათედრაზე იქმნება მცირე და საშუალო საწარმოთა საქმიანობის კვლევის ცენტრი. ცენტრის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში მოქმედი მცირე და საშუალო კომპანიების ინტერნაციონალიზაციას, მათი კონკურენტუნარიანობის და პროდუქტიულობის ამაღლებას. ცენტრი უზრუნველყოფს მცირე და საშუალო ბიზნესში არსებული მდგომარეობის ანალიზს და კონკურენტული გარემოს შეფასებას. ცენტრის ფარგლებში მეწარმეებს ჩაუტარდებათ კონსულტაციები და მიეწოდებათ ინფორმაციები მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, რაც მათ დაეხმარება სამეწარმეო კულტურის ამაღლებაში. ასევე, მეწარმეებს მიეცემათ რჩევები თუ როგორ გამოიყენონ სახელმწიფო დახმარება. კვლევის შედეგებს ცენტრი პერიოდულად სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომის სახით გამოაქვეყნებს.

**The Issues for Improving Theoretical-Appiied Basis of Small Business Development**

**L. Kadagishvili**

The paper studies strong (dynamism and flexibility; strengthening of competitiveness mechanism; social function; quality of service; introduction of innovations) and weak (sales and marketing; unequal possibilities of access to resources; economics of scales) sides of small business and its ability to grow. Some of the features of small and medium business are analyzed. It's shown that currently the level of devel-

opment of small and medium business in Georgia is low and its share in the economy of Georgia is quite modest.

The paper discusses basic trends of small business development. It's noted that the state policy, which implies organizational and financial support as well as appropriate institutional policy, has to play a special role in its development.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Louis E. Boone and David L.Kurtz; Contemporary Business; Thomson south-western 2006;
2. ნ . ჭითანავა, ლ. თაკაღანძე, სოციალური ეკონომიკა ფორმირება და განვითარება, I ნაწილი, თბ., 2008;
3. John Sloman and Kevin Hinde. Ekonomik for Business. Fourth Edition. 2007;
4. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
5. ევროსტატი, [www. Eurostat.com](http://www.Eurostat.com).
6. [http://www.abg.org.ge/docs/sme\\_support\\_policy.pdf](http://www.abg.org.ge/docs/sme_support_policy.pdf) (ხელმისაწვდომია 2014 წლის 14 სექტემბერს)
7. [http://es.slideshare.net/gdri\\_ge/ss13970378](http://es.slideshare.net/gdri_ge/ss13970378) (ხელმისაწვდომია 2014 წლის 14 სექტემბერს)
8. [http://eapnationalplatform.ge/admin/editor/uploads/files/ganxadebebi/EaP\\_CIESR-Ge.pdf](http://eapnationalplatform.ge/admin/editor/uploads/files/ganxadebebi/EaP_CIESR-Ge.pdf) (ხელმისაწვდომია 2014 წლის 14 სექტემბერს)
9. <http://timer.ge/19987-mcire-biznesis-gza-sakhelmtsifo-kontraqteb-isken.html#> (ხელმისაწვდომია 2014 წლის 14 სექტემბერს)  
[http://www.geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/statistika%202009%20GEO.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/statistika%202009%20GEO.pdf) (ხელმისაწვდომია 2014 წლის 14 სექტემბერს)

**ЭКОНОМИЧЕСКИЙ РОСТ  
И ЕГО ВЛИЯНИЕ НА  
НАЛОГОВЫЕ ПОСТУПЛЕНИЯ  
В ГРУЗИИ И АРМЕНИИ.**

**Д. Джангириян**  
**Докторант Тбилисского**  
**государственного университета имени И. Джавахишвили**

Одной из важных экономических целей любого государства является достижение непрерывного и устойчивого экономического роста или лучше, экономического развития общества, потому что растущая экономика обладает большой способностью удовлетворять новые потребности и решать социально-экономические проблемы как внутри страны, так и на международном уровне.

Немаловажную роль в экономическом развитии, обеспечении экономического роста, играет проблема налогообложения. Налоги являются фактором экономического роста.

От того, насколько правильно построена система налогообложения, насколько продумана налоговая политика государства, зависит эффективное функционирование всего народного хозяйства. Ведь именно с помощью налоговой политики государство имеет возможность сосредотачивать финансовые ресурсы на решающих участках социального и экономического развития. С помощью налогов определяются взаимоотношения предприятий всех форм собственности с государственными и местными бюджетами, с банками, а также с вышестоящими организациями. Помимо финансовой функции налоговый механизм используется для экономического воздействия государства на общественное производ-

ство, его динамику и структуру, на состояние научно-технического прогресса.

Непреложным законом в нормальном обществе принято считать, что экономика обладает свойством увеличиваться в масштабах, а это значит, что такие показатели, как реальный объем ВВП (валовый национальный продукт) - рыночная стоимость товаров и услуг, произведенных национальными производителями на любой территории за определенное время. либо ВВП (валовый внутренний продукт) - сумма рыночной стоимости товаров и услуг, произведенных на территории данной страны за определенное время всеми производителями., либо национальный доход - совокупный доход в рамках страны, полученный владельцами факторов производства. на душу населения должны возрастать с течением времени. Годами, десятилетиями и веками производится все больше благ, и жизнь людей улучшается.

Экономический рост можно рассматривать как долгосрочный аспект динамики совокупного предложения или, что более точно, потенциального объема выпуска. Анализ его факторов и закономерностей является одним из центральных вопросов макроэкономической теории.

Экономический рост - центральная экономическая проблема для всех стран мира; система взаимодействия и воспроизводства элементов и факторов экономического роста. В экономической литературе понятие экономического роста трактуется неоднозначно. Одни экономисты под экономическим ростом понимают увеличение потенциального и реального ВВП, возрастание экономической мощи страны. Другие экономисты экономический рост характеризуют как: увеличение производственных мощностей; увеличение ВВП; увеличение реального объема продукции на душу населения.

Налоги составляют неотъемлемый элемент рыночной экономики. Сумма всех взимаемых налогов на территории страны по

---

отношению к внутреннему валовому продукту данной страны называется налоговым бременем. Налоговое бремя определяет инвестиционную привлекательность страны, и изменение любого налога через мультипликативные эффекты затрагивает, так или иначе, все другие налоги, интересы бизнеса и населения.

Оптимальный размер налогового бремени - центральная макроэкономическая проблема любого государства. В связи с этим рассмотрение показателя налогового бремени в условиях экономики каждого государства является актуальной темой. Актуальность рассмотрения данного вопроса заключается так же в том, что через анализ показателей налогового бремени можно сделать вывод о влиянии изменений в налоговой системе страны на общую налоговую нагрузку.

Система налогообложения любого государства является необходимой экономической нагрузкой на его граждан. Несмотря на то, что каждое государство имеет свой налоговый кодекс, основной принцип взимания налогов является неизменным. Именно налоги формируют основную часть бюджета государства, тем самым обеспечивая его жизнеспособность.

Для всех стран не может быть единых, универсальных для разных экономик, равновесных параметров налогового бремени – налоговых пределов и оптимума. Для многих современных развитых стран этот вывод имеет отношение и к параметрам известной «кривой Лаффера» – 35–40 % к валовому национальному продукту с точкой налогового оптимума 37,5 %, рассчитанным еще в 70-х годах для экономики США, но до сих пор принимаемым многими специалистами в качестве базы для сравнительной оценки налоговой нагрузки.

Чтобы оценить налоговую нагрузку Грузии, проведем сравнительный годовой анализ динамики налоговых поступлений в бюджет и динамики ВВП.

*Динамика ВВП:*

Грузия: Как видно с рисунки 1 индикатор Внутреннего Валового Продукта Грузии имеет тенденцию снижения: в 2012 году объем ВВП сократилась на 0,9% по сравнению 2011 годом, а в 2013 году объем ВВП сократилась на 3.1%, то есть в 2013 году рост ВВП уменьшилась дважды, чем в 2012 году.




Рисунок 1. Динамика ВВП Грузии

Замедление экономического роста связано с разными факторами. Тенденция к снижению роста ВВП началось в 2012 году, когда в стране проводились парламентские выборы, что в первый раз за 8 лет привело к демократической смене власти. Это могло стать причиной сокращения прямых иностранных инвестиций, связанным с неопределенностью инвесторов. Другая причина это перераспределение финансовых потоков внутри страны, способных изменить общую картину видимого экономического благополучия.

По данным Международного Валютного Фонда, снижение роста экономики Грузии вызвано уменьшением объема инвестиций и кредитов, а также более рациональным расходованием государственных средств. Подобный подход приводит к ужесточению фискальной политики, вследствие чего правительство должно бо-

лее продуктивно расходовать средства для того, чтобы стимулировать спрос.

По прогнозам Международного Банка в 2014 рост ВВП будет приблизительно 6,3% а по прогнозам МВФ рост ВВП будет примерно 5%.

*Динамика налоговых поступлений:*

Грузия: ПО данным Национальной службы статистики Грузии, Министерство финансов Грузии и Национального банка изменения объема налоговых поступлений в бюджет 2013 году была незначительна. В 2013 году объем совокупных налоговых поступлений составил 6287,7 млн лари, что было меньше на 0,4% по сравнению 2012 годом. Однако если анализировать динамику налоговых поступлений до 2013-го года, можно заметить, что у налоговых поступлений была тенденция к росту: в 2012 году бюджетные налоговые поступления были больше на 8,8% по сравнению 2011 годом, а в 2011 году тот же самый показатель был больше на 26,3% по сравнению 2010 годом.




Рисунок 2. Налоговые доходы Грузии 2009-2013 млн лари [6]

Начиная с 2002 года, Грузия наслаждается стабильным ростом налоговых поступлений, и только в 2009 году наблюдается снижение (что было связано с международным финансовым кризисом).

## Д. Джангирян

сом). Налоговые поступления начали снизиться в 2013 году тоже, когда не было никаких международных влияний на экономику. Такая картина объясняется падением экономического роста как указано в рисунке 1.

Армения: По данным Министерства финансов Армении, объем совокупных налоговых поступлений составил 1000,9 млрд драм, что был больше на 14% по сравнению с 2012 годом. Замечательный факт то, что в Армении, начиная с 2009 года, динамика налоговых поступлений имеет тенденцию к росту: в 2010 году налоговые поступления были больше на 11,9% по сравнению с 2009 годом, в 2011 и 2012 году тот же самый показатель был больше соответственно на 11,1% и 13%.




Рисунок 3. Налоговые доходы Армении 2009-2013 в млрд драм

В 2014 году тоже планирован рост, но не так больше как, например, в 2012 и 2013 году. Планируемый рост составляет 9.7%.

По сравнению с Грузией у Армении более стабильная картина по налоговым поступлениям, что связана в Грузии внедрением нового налогового кодекса и парламентских выборов.

Налоги как доля ВВП: Индикатор налогов как доля ВВП, играет очень важную роль в анализе налоговой нагрузки и эффективности налоговой администрировании, которая из себя предо-



ставляет соотношение суммы всех налогов к ВВП. Налоговая нагрузка показывает уровень налогового бремени на налогоплательщика.

Налоговая нагрузка значительно варьируется по странам. Для слаборазвитых стран (в которых нет мощной системы социального обеспечения) характерна низкая налоговая нагрузка, для развитых — относительно высокая налоговая нагрузка (доходившая в Швеции до 60 % ВВП в отдельные годы). Исключение составляют некоторые развитые страны Юго-Восточной Азии, где налоговая нагрузка относительно невысока.

Если смотреть на динамику индикатора налоги как доля ВВП в Грузии, то можно заметить, что у индикатора есть тенденция к росту начиная с 2009 года, и только в 2010 году наблюдается снижение.



Рисунок 4. Налоги как процент ВВП 2009-2013 [7]

Как видно с рисунки индикатор налоги/ВВП имеет тенденцию к завышению с 2010 года. Но принимая во внимание тот факт, что с 2011 года ВВП имеет тенденцию к снижению, можно сделать вывод, что завышение индикатора налоги/ВВП в основном связано с сокращением объема ВВП, а не с большим сбором налогов.

Если сравнить индикаторы налоги как доля ВВП Грузии и Армении, то можно заметить, что индикатор у Грузии больше

## Д. Джангирян

Армении 2009 до 2013 и только в 2013 они сблизились. То есть у Грузии довольно хорошая ситуация по сравнению Арменией, тогда как экономический рост в среднем в Грузии больше стабильна и высока, чем в Армении. В Армении экономический рост был по больше чем в Грузии только в 2012 году на 1.1%, который связан с некоторыми социально политическими факторами.




Рисунок 5. Сравнение индикаторов Налоги/ВВП Грузии и




Рисунок 6. Рост экономики Армении и Грузии 2011-2013 [7]

Обобщая выше сделанный анализ, можно делать вывод, что в Грузии тенденция снижения экономического роста приводит к снижению налоговых поступлений и рост индикатора налоги/ВВП вовсе не позитивная картина, так как такой рост обусловлен снижением ВВП.

Фискальная Эффективность налогового администрирования не имеет однозначный характер, так как государство в отдельных случаях принимает решения, которые однозначно приводят к

снижению фискальной эффективности и введение налоговых льгот приводит к снижению налоговых поступлений (даже при наличии соответствующей налоговой базы), что влечет за собой снижение фискальной эффективности. Но это вовсе не означает, что одновременно снижается и эффективность системы налогового администрирования. То есть, мнение о том, что фискальная эффективность является универсальным (синтезирующим) мерилom эффективности налогового администрирования, учитывая предложенные соображения, не может быть нами поддержано.

Например, в Грузии, уровень эффективности фискальной политики и динамика налогового бремени не пропорциональны, так как, с одной стороны, за последние годы уровень эффективности фискальной политики снизился из-за внедрения налоговых льгот, а с другой стороны, показатель налоги/ВВП увеличился из-за снижения ВВП, а не в результате сбора налогов.

Базируя на сделанный анализ нами и обобщения, мы рекомендуем повысить эффективность налогового администрирования чтоб:

- административные расходы на взывание налогов были бы, по возможности, как можно меньше (т.е. минимальными);
- механизм налогового администрирования согласовывалось с общей идеологией социально-экономической политики Грузии;
- налоговая система была бы как можно справедливее и эффективнее одновременно, в частности, налоговый режим должен обеспечивать обоснованное перераспределение доходов;
- оценивать эффективность налогового администрирования в долгосрочной перспективе, так как внедрение льготной налоговой политики как стимулирующий инструмент экономики, будет отражать свои позитивные результаты через несколько лет, когда экономика будет расти и обеспечивать стабильные налоговые поступления.

## **Economic growth and its impact on tax revenues in Georgia and Armenia.**

**D.Jhangiryan**

The article examines the economic growth and its impact on tax revenues. The article also concerns the dynamics of the indicator “taxes as a share of GDP”, which shows the level of tax burden on taxpayers. Analysis of State Budget tax revenues and GDP is also being conducted followed by appropriate recommendations at the end of the article.

### **Использованная литература**

1. Налоговый кодекс Грузии (русский перевод) Тбилиси, 2013;
2. Бахтадзе Л, Какулия Р., Чиквиладзе М. – Налогообложение, Тбилиси, 2009;
3. Копалеишвили Т., Чиквиладзе М. – Налоги и налогообложение Грузии, Тбилиси, 2011;
4. С.М.Никитин Налогообложение в развитых странах, журнал «Финансовый менеджмент» №4 М. 2007;
5. Миронова О.А., Ханафеев Ф.Ф. Налоговое администрирование: Учеб.пособие. М.: Омега-Л, 2005;
6. [www.mof.ge](http://www.mof.ge)
7. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
8. [www.ey.com/Georgia](http://www.ey.com/Georgia)
9. [www.doingbusiness.org](http://www.doingbusiness.org)
10. [www.mfe.am](http://www.mfe.am)
11. [www.worldbank.com](http://www.worldbank.com)

## Salary - a Hygiene Factor or a Motivator?

Irine Bakanidze

Head of Project Management Department at  
„Business Interior“ LTD

Nowadays when the competition is getting harsher by every second, companies are trying to find a way how to differentiate and gain competitive advantage. Everybody wants to have high revenue and income, but only a few reach that goal. For the past three decades, with an invention of internet and other technological advancements they became indivisible part of every step of business development. But it is true that the key asset for the company has always been an employee. Finding a way how to motivate workers has always been a great challenge for managers.

Human abilities have no boundaries, but to make them to do their best is a complex process that includes not only monetary benefits but also a whole chain of changes of company's internal environment. The main studies about the importance and the ways of employee's motivation began in the second half of the twentieth century and the pioneer of the research is considered to be psychologist Frederick Herzberg (1923-2000).

In 1959 Herzberg introduced his Motivator-Hygiene Theory, also known as Two Factor Theory of job satisfaction in his book 'The Motivation to Work'. **Frederick stated that the job satisfaction and dissatisfaction are not opposites of each other.** According to him the opposite of job satisfaction is the absence of it rather than dissatisfaction. This statement has been a great breakthrough in the understanding of

## Irine Bakanidze

---

employee's motivation purposes, as far as it helps us to break down workers needs in two different sets.

In first set of needs we can include all the basic physiological needs as Mr. Maslow describes them in his Hierarchy of Needs. For example hunger can be a drive for a person to work in order to earn salary that will let him satisfy his hunger feeling and buy some food.

The second set of needs include the upper levels of Maslow's hierarchy like esteem and self-actualization. Here we can consider employees strive of achieving something, having feeling of importance, having a chance of experiencing psychological growth.

The division of sets of needs lead us to the explanation of Herzberg's Motivator-Hygiene Theory. **Hygiene factors** are the extrinsic to the job and the absence of these factors might cause the dissatisfaction but the presence of them do not motivate employees. Here we include:

- company policy and administration
- supervision
- interpersonal relationships
- working conditions
- status
- **salary**


**Motivator** factors are the intrinsic to the job and existence of it satisfies and motivates workers in a long term prospective. Here we include:

- achievement
- recognition for achievement
- the work itself
- responsibility
- growth for advancement

Exhibit 1 describes factors affecting job attitudes. It shows the result of 1685 employees of different positions. As the graph shows of all the factors contributing to job satisfaction 81% were motivators and

factors causing the dissatisfaction included 69% of hygiene ones.

*Exhibit 1-* Factors affecting job attitudes as reported in 12 investigations. [1, p.8]



Generally there are 3 main philosophies of personnel management. The first is based on **industrial engineering** according to which it is better to concentrate on optimizing working processes in order to increase human efficiency. The second is **organizational theory** which states that workers needs can be irrational and they can be adjusted to specific situations and if the management problem occurs it should be solved in a pragmatic way. The third theory is based on **behavioral scientists** that focus more on organization’s psychological

## Irine Bakanidze

---

and social environment. It concentrates more on creating atmosphere where human values coincide with the company's internal climate. Herzberg's theory can be associated with industrial engineering theory but with and opposite goals. Instead of rationalizing the work to increase efficiency, Frederick's theory offers to **enrich** it. Job **enrichment** gives the opportunity for employee's psychological growth that includes taking more responsibilities, internal recognition, and more personal achievement. Instituting job enrichment principle with employees is one of the most challenging, expensive and time-consuming part. Execution is separate art of management and we do not cover it in this article. What we do cover is identifying if Motivator and Hygiene factors can be true for the majority, and if the cultural, ethnical differences can affect the results of the research on an example of Georgia.

It is important to keep in mind that Herzberg's research has been done couple of decades ago and since then the world perception and attitude towards job has changed. It is also worth to denote that the scale of Herzberg's research is larger. The observation has been done on 100 people from different workplaces, age and gender. The main criteria was to ask opinion of people who have a permanent work for at least 6 months. The main goal is to identify if one of the hygiene factors - **salary** can be considered as a motivator factor rather than hygiene one. In the research Herzberg states about the salary: "It appears as frequently in the high sequences as it does in the low sequences." [4, p.82] It means that the monetary incentive has always been an important factor but according to the observations salary was considered to have more potency as a job dissatisfier rather than satisfier.

It is vital to denote that country's socio-economic position can strongly affect the ways how theories can be perceived. For example in 2013 the unemployment rate in Georgia was 14.6% and in the US it was 6.7%. We can assume that, unlike highly developed countries like US, because of the high rate of unemployment in Georgia salary is more important than other factors. Thus, it is necessary to take into



---

consideration country's PEST (political, economic, social, technological) factors and adopt research methodologies according to them. In 2013 share of population under 60% of the median consumption was 21.4%, correspondingly, we can consider salary as a motivator for these people, because it will enable them to improve the quality of their lives. For the people whose living conditions are above the median have different priorities and for them salary can be considered as a hygiene factor. As far as, they are on an upper level of the society they have overcome the need of money as a motivator and now they want to have more responsibilities and achievements. Thus, we can assume that the salary, together with a hygiene factor, can also be a motivator, depending person's socioeconomic status.


With the limited resources I had I divided my research groups into two main age groups of Group A age 24-33, 50 employees and Group B age 34-43 also 50 employees. On the question "What would be the most important factor of a satisfying job?" Group A's top answers were: work itself, possibility of growth and salary. While Group B's top 3 answers were: recognition, advancement and responsibility. The difference of opinions can be explained in many ways but Exhibits 2 and 3 make us think about the reasons, why monetary incentive is so important. The main reason can be Group A's lower social-economic status compared to Group B. For the majority of Group A, current working place is the first one. Ambitious youngsters want to have a good job, where they will have a possibility of growth and of course chance of earning as much money as possible. They can be assumed as more financially dependent than Group B, as far as, members in the second group have had a stable job and income much longer than Group A. For them, there is a new volume of needs that arouses and the salary as a motivation is not enough anymore. They went through different stages of needs and reached esteem and self-actualization phase, the phase where Herzberg located motivators. For Group B it is also important to reach self-realization the position where they are appreciated by co-workers and employers as an important member of their team, to be empowered and have a chance to

## Irine Bakanidze


---

take more responsibilities.

*Exhibit 2-* Group A's top answers on the question: "What would be the most important factor of a satisfying job?"



*Exhibit 3-* Group B's top answers on the question: "What would be the most important factor of a satisfying job?"



On the question: "Does salary make your job more enjoyable?" positive answer from group A gave 72% of workers and from group B 46%. High interest in salary can be explained by Georgia's PEST

122


situation. When there is a high rate of unemployment in the country people do not have the ability to choose a job according to their preferences while taking into consideration different hygiene and motivator factors. They choose from what they have and they are happy if that option offers a certain amount of salary. That is why for those, who have comparatively low economic status (the majority of group A) consider salary as a motivator. Regarding Group B, other factors like working environment and empowerment are also very important but the salary plays a great role. See Exhibit 4.

*Exhibit 4-* Group A and Group B’s answers on the question: “Does salary make your job more enjoyable?”



There have been done multiple researches, especially in the US, to find the correlation between salary and motivation. The remarkable job has done T.A. Judge who reviewed 120 years of research and analyzed 92 quantitative studies. These researches included around 15 000 individuals. The research showed that a sample of lawyers earning an average of \$148,000 per year was less job satisfied (68% of scale maximum) than a sample of child care workers earning \$23,500 per year (79% of scale maximum). See Exhibit 5.

Exhibit 5- study relationship between average pay level and average level of job satisfaction. [3, p.162]



The research also showed that the correlation between salary and job satisfaction is weak  $r=0.14$ , which is around 2% overlap between pay and job satisfaction. Analyzing this data supported Herzberg's theory one more time that salary is an important factor but it is still a hygiene factor rather than motivator. But this research is true for highly developed countries like US. As I mentioned previously Herzberg's theory cannot be applied to developing countries like Georgia without any farther adjustments. My research showed that the correlation between salary and job satisfaction in Group A is  $r=0.61$ , which is around 60% overlap and is considered to be strong. For Group B  $r=0.44$ , which means that the percentage to which salary and job satisfaction are associated is around 50%. As the research proved, together with the hygiene factor salary can also be a motivator depending on a person's socioeconomic status.

It is said that one size does not fit all. The meaning of money

is very subjective and the research samples cannot be generalized up to the whole population. For some people money is associated with freedom, security, for others with power, love or happiness. In order to understand how to motivate employees, managers should know what their workforce really values. Employees are key assets of the company and key factor of gaining competitive advantage on the market, thus managers should do their best to keep them motivated.

**ხელფასი - ჰიგიენური ფაქტორი თუ მოტივატორი?**

**ირინე ბაჰანიძე**

**შპს „ბიზნეს ინტერიერის“ პროექტების მართვის  
დეპარტამენტის უფროსი**

რამდენიმე ათეული წლის წინ ფრედერიკ ჰერცბერგმა საზოგადოებას გააცნო მოტივატორ-ჰიგიენური თეორია, რომელიც დღესაც აქტუალურია და ორფაქტორიანი თეორიის სახელითაც არის ცნობილი. მისი აზრით, სამსახურით კმაყოფილება და უკმაყოფილება ერთმანეთის საპირისპირო არ არის, რაც ნიშნავს იმას, რომ სამსახურით უკმაყოფილების საპირისპირო არა კმაყოფილება, არამედ, უბრალოდ ამ უკმაყოფილების არქონაა. ეს აღმოჩენა პერსონალის მოტივაციის ანალიზისას ძალიან მიშენელოვანია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰერცბერგი ხელფასს ჰიგიენური ფაქტორებში განიხილავს, მოტივატორებში კი იმ ფაქტორებს მოიაზრებს, რაც თანამშრომლებში კმაყოფილებასა და მოტივაციას იწვევს. ეს ფაქტორებია: მიღწევა, მიღწეულის აღიარება, თავად სამსახური, პასუხისმგებლობა, ზრდა განვითარებისკენ.

კომპანიაში ჰერცბერგის თეორიის დანერგვა და

გამოყენება საკმაოდ დიდი და მრავალსპექტრიანი თემაა, რასაც ამ სტატიაში ვერ განვიხილავთ. ჩვენ გვინტერესებს, რამდენად განსხვავებული შეიძლება იყოს მოტივატორ-ჰიგიენური ფაქტორები კულტურულ-ეთნიკური განსხვავების ფონზე, კერძოდ კი, საქართველოს მაგალითზე.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ რამდენიმე ფაქტორი. კერძოდ ის, რომ ჰერცბერგმა კვლევა ჩაატარა რამდენიმე ათწლეულის წინ და მას შემდეგ სამსახურის მიმართ ადამიანების მსოფლხედველობა და დამოკიდებულება შეიცვალა. ამიტომ, ჩვენი აზრით, საინტერესოა დღეს, საქართველოში როგორ აღიქმება ჰერცბერგის ცნობილი თეორია. ჩვენ მიერ ორგანიზებულ კვლევაში მონაწილეობდა სხვადასხვა ასაკის, სქესისა და თანამდებობის 100 ადამიანი, რომლებსაც მინიმუმ 6 თვე აქვთ ნამუშევარი ერთსა და იმავე კომპანიაში. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა იმის დადგენა, რომ შეიძლება თუ არა ჰიგიენური ფაქტორი - ხელფასი, მოტივატორიც იყოს. ჰერცბერგის თანახმად, ფინანსური სტიმულის საკითხი კვლევისას ხშირად იკვეთება, თუმცა მას უფრო დიდი პოტენცია აქვს როგორც უკმაყოფილების ფაქტორს, ვიდრე კმაყოფილებისა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ჰერცბერგის ზემოაღნიშნული თეორია რამდენადმე განსხვავებულად შეიძლება იყოს აღქმული. მაგალითად, საქართველოში 2013 წელს, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით უმუშევრობის დონე 14.6%-ი იყო (ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ ეს მაჩვენებელი მეტად დაბალია და არ ასახავს რეალურად არსებულ სინამდვილეს), ხოლო აშშ-ში - 6.7%. რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოში მაღალი უმუშევრობის გამო ხელფასს უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, ვთქვათ, აშშ-ში (სადაც,

სამუშაოს შერჩევისას მეტი ყურადღება ექცევა მის შინაარსს, ხასიათს და ა.შ.). შესაბამისად, აუცილებელია თითოეულ ქვეყანაში ჩატარდეს სპეციალურ კვლევა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური ფაქტორები. 2013 წლის მონაცემებით, საქართველოში მედიანური მოხმარების 60%-ის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 21.4%-ს შეადგენდა, შესაბამისად საზოგადოების ამ ნაწილისათვის ხელფასი მოტივატორად შეგვიძლია ჩავთვალოთ, რადგან არსებული პირობების გაუმჯობესების ნებისმიერი საშუალება, შესაძლებლობას მისცემს უკეთესად დაიმკვიდრონ თავი საზოგადოებაში, ხოლო იმ ადამიანებისათვის, რომლებიც აღნიშნული ზღვარის ზევით იმყოფებიან, ხელფასის ოდენობა ჰიგიენურ ფაქტორად რჩება, რადგან საზოგადოებაში მათი პოზიციიდან გამომდინარე, მათ აქვთ მოთხოვნილება უფრო განვითარდნენ, მეტი პასუხისმგებლობა აიღონ საკუთარ თავზე და მიაღწიონ უფრო მეტს. აქედან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ხელფასი შეიძლება იყოს მოტივატორიც და ჰიგიენური ფაქტორიც, რაც დამოკიდებულია ადამიანის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ჩვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, კვლევა ჩავატარეთ ორ ასაკობრივ ჯგუფში (თითოეულში გაერთიანებული იყო 50-50 თანამშრომელი): „ა“ ჯგუფში - 24-33 წლის, „ბ“ ჯგუფში კი 34-43 წლის ადამიანები. კითხვაზე: „რა არის სამსახურით კმაყოფილების განმსაზღვრელი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი?“-„ა“ ჯგუფიდან ყველაზე მეტად გამოიკვეთა: თავად სამსახური, ზრდის პერსპექტივა და ხელფასი, ხოლო „ბ“ ჯგუფიდან: აღიარება, განვითარება და პასუხისმგებლობა. ეს შედეგები ასე შეიძლება ავხსნათ. „ა“ ჯგუფში გაერთიანებული ადამიანების უმეტესობისთვის მიმდინარე სამსახური

პირველია (მათ შრომითი საქმიანობა, შეიძლება ითქვას, რომ ახალდაწყებული აქვთ). ამბიციურ ახალგაზრდებს უნდათ კარგი სამსახური, სადაც ექნებათ ზრდის პერსპექტივა და რაც შეიძლება მეტი თანხის გამომუშავების შესაძლებლობა. ამასთანავე, მათი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა „ბ“ ჯგუფთან შედარებით უფრო დაბალია, რადგან „ბ“ ჯგუფის წევრებს გაცილებით უფრო დიდი ხანია აქვთ სტაბილური შემოსავალი. შესაბამისად, მეორე ჯგუფის წევრებისათვის ხელფასთან ერთად დამატებითი მოტივატორი ფაქტორებიცაა გასათვალისწინებელი. როგორიცაა: კარიერული წინსვლა, მეტი პასუხისმგებლობა და ა.შ

კითხვაზე: “ხდის თუ არა ხელფასი თქვენს სამსახურს უფრო დამაკმაყოფილებელს?” – „ა“ ჯგუფის 72%-მა, ხოლო „ბ“ ჯგუფის 46%-მა დადებითი პასუხი გასცა. მონეტარულ სტიმულზე ასეთი მაღალი მოთხოვნილების ახსნა მხოლოდ ქვეყნის პესტ-ის გათვალისწინებით შეიძლება. მაშინ, როდესაც ქვეყანაში არის მაღალი უმუშევრობის დონე, ხალხს არ აქვს იმის საშუალება, რომ სამსახური სხვადასხვა მოტივატორ-ჰიგიენური ფაქტორის შედარების საფუძველზე აირჩიოს. ხშირ შემთხვევაში, დაბალ სოციალურ საფეხურზე მყოფი მოსახლეობა თანახმაა ჰერცბერგის მოტივატორი ფაქტორების არქონაზე, იმ შემთხვევაში, თუ მას გარკვეული ოდენობის ანაზღაურებას სთავაზობენ.

კვლევის შედეგად კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ჰერცბერგის ორფაქტორიანი თეორიის შედეგები ყველა ქვეყნისათვის ერთი და იგივე არ შეიძლება იყოს. კერძოდ, ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, რომლის პესტ-იც საგრძნობლად განსხვავდება აშშ-ის შესაბამისი მაჩვენებლისგან, ბოლომდე გამართლებული არ არის ხელფასი მხოლოდ ჰიგიენურ ფაქტორად ჩაითვალოს. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში



ხელფასი შეიძლება იყოს მოტივატორიც და ჰიგიენური ფაქტორიც, რასაც უმთავრესად ადამიანების ამჟამინდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა განსაზღვრავს.

## **Salary - a Hygiene Factor or a Motivator?**

**I. Bakanidze**

The article is generally based on Frederick Herzberg's Hygiene-Motivator Theory and is discussing different factors that can contribute as a potential positive and negative influencers on workers motivation.

The article concentrates on identifying if the cultural background can affect the results of the research on an example of Georgia. The main purpose is to identify if the salary can be considered as a motivator factor rather than hygiene one.

The research showed that it is hard to apply the theory without taking into consideration PEST factors. Salary can be a motivator for people whose living conditions are below average and for the ones who are above, consider it as a hygiene factor.

Generally, the research showed that the correlation between salary and satisfaction is 2% which is considered to be low, but it also proved that social and economic situation can strongly affect the results and relocate salary from hygiene factor to motivator.

### **Bibliography**

1. Herzberg F. "One More Time: How Do You Motivate Employees?", Harvard Business Review, 1987, 87507;
2. Chamorro-Premuzic T. "Does Money Really Affect Motivation? A Review of the Research", Harvard Business Review, 2013, April's Blog;

3. Judge T.A. “The Relationship Between Pay and Job Satisfaction: A Meta-Analysis of the Literature”, Journal of Vocational Behavior, 2010, 77;

4. Herzberg F., Mauser B., Snyderman B.B., “The Motivation to Work”, USA, Transaction Publishers, 2010;

5. ManagementStudyGuide<<http://www.managementstudyguide.com/herzbergs-theory-motivation.htm>>

6. National Statistics Office of Georgia <[http://www.geostat.ge/index.php?action=page&p\\_id=188&lang=eng](http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=188&lang=eng)>

7. Bureau of Labor Statistics <<http://data.bls.gov/timeseries/LNS14000000>>

**უკანასკნელი ინსტანციის  
კრედიტორი**

**ივანე შავჭათიაშვილი**  
**საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია**  
**პირველწოდებულის სახელობის ქართული**  
**უნივერსიტეტის დოქტორანტი**

უკანასკნელი ფინანსური კრიზისის პერიოდში ხშირი განსჯის საგანი იყო ცენტრალური ბანკის ეკონომიკაში ჩარევა-არჩარევის საკითხი. ცენტრალური ბანკი არა მარტო ქვეყნის მონეტარული პოლიტიკის გამტარებელი ინსტიტუტია, არამედ იგი საბანკო სექტორისათვის, საჭიროების შემთხვევაში, წარმოადგენს უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორსაც. პირველად აღნიშნული ტერმინი გამოყენებულ იქნა 1797 წელს, ფრენსის ბერინგის მიერ[10,გვ.8]. ცენტრალური ბანკის აღნიშნული ფუნქციის პირველი ეკონომიკური ანალიზი მოცემულია ჰ.თორნთონის ცნობილ ნაშრომში: „დიდი ბრიტანეთის ქალაქის კრედიტის ბუნებისა და ეფექტის გამოკვლევა“ [15]. იგი იყო პირველი, ვინც შეეცადა გაეანალიზებინა კავშირი ცენტრალური ბანკის მონეტარულ პოლიტიკასა და უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორის ფუნქციას შორის. მოგვიანებით, 1873 წელს გამოქვეყნებულ წიგნში - „ლომბარდის ქუჩა“, ვოლთერ ბაგჰოთმა განავითარა მისი იდეები. თორნთონისა და ბაგჰოთის ვერსიით, უკანასკნელი ინსტანციის სესხი შეეძლო გაეცა მხოლოდ ცენტრალურ ბანკს, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- სესხის მიმღები აუცილებლად უნდა ყოფილიყო გადახდისუნარიანი, მაგრამ ლიკვიდობის პრობლემის მქონე ბანკი;
- სესხის საპროცენტო განაკვეთი უნდა ყოფილიყო საბაზრო განაკვეთზე მაღალი;
- სესხი უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი ნებისმიერი

სახის გირაოთი, რომლის შეფასებაც მოხდებოდა არაკრიზისულ მდგომარეობაში არსებული ფასებით;

- გადახდისუუნარო ბანკები უნდა გაეიდუღიყო საბაზრო ფასით ან მომხდარიყო მათი ლიკვიდაცია;

- უკანასკნელი ინსტანციის სესხის გაცემის წესები და პირობები უნდა ყოფილიყო ცნობილი წინასწარ, კრიზისის დადგომამდე[3,გვ.87].

თორთონ-ბაგეპოთის მიდგომა დაფუძნებული იყო ისეთ მნიშვნელოვან დაშვებაზე, როგორცაა სრულყოფილი ფულადი ბაზრის არსებობას. XX საუკუნის ბოლოს სწორედ ეს დაშვება გახდა ეკონომისტების კრიტიკის ობიექტი. ისინი მიუთითებდნენ იმ ფაქტზე, რომ თანამედროვე საბანკო სისტემაში, ბანკების ფინანსურ ანგარიშგებებზე შეზღუდული წვდომა ართულებდა იმის დადგენას, თუ რომელ ფინანსურ ინსტიტუტს ჰქონდა ლიკვიდობის პრობლემა და რომელი მათგანი იყო გადახდისუუნარო. აქედან გამომდინარე, დიდი იყო რისკი იმისა, რომ ცენტრალურ ბანკს დახმარება აღმოეჩინა გადახდისუუნარო ბანკისათვის. გარდა ამისა, გამართული ბანკთაშორისი ბაზრის არსებობა მნიშვნელოვნად შეამცირებდა ცენტრალური ბანკის ჩარევას სისტემაში. ბანკებს მიეცემოდათ საშუალება ბანკთაშორის ბაზარზე რესურსების მოხიდვით გადაეჭრათ ლიკვიდური სახსრების უკმარისობის პრობლემა. თუმცა, ამისათვის აუცილებელი იყო, რომ ბანკებს უარი არ ეთქვათ ერთმანეთისათვის ფულადი სახსრების სესხებაზე, რაც დამატებით რეგულირებას საჭიროებდა. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორის კლასიკური თეორია მკაცრად იქნა გაკრიტიკებული, ჯერჯერობით არ არსებობს მასზე სრულყოფილი თეორია, რომელიც მთლიანად უარყოფს მას.

გასული ბოლო ორი საუკუნის მანძილზე, უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორი კრიზისულ პერიოდებში ლიკვიდური სახსრების მიმწოდებლად მოიაზრებოდა. ფრეიშა და პარიგიმ აღნიშნული ინსტიტუტის უფრო ფართე ცნება დაამკვიდრეს. კერძოდ, ისინი უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორად მოიაზრებდნენ იმ ინსტიტუტს, რომელიც იყო უფლებამოსილი

გამოეყო ფინანსური სახსრები იმ ბანკებისათვის, რომელთაც არ შეეძლოთ, ნორმალურ პირობებში, საჭირო სახსრების მოზიდვა ფინანსურ ბაზრებზე[5, გვ.4]. გამოძინარე იქიდან, რომ ფინანსური გარემო და მისი რეგულირება ყველა ქვეყანაში განსხვავებული ხასიათისაა, ეკონომისტები თანხმდებიან, რომ შეუძლებელია უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორის ფუნქციები ყველგან ერთგვაროვანი იყოს.

**უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორის როლი სხვადასხვა სიტუაციებში.**

თორნთონისა და ბაგეჰოთის კლასიკური თეორიის მიხედვით, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორის ფუნქცია კრიზისულ პერიოდში გადახდისუნარიანი ბანკებისათვის ლიკვიდური სახსრებით უზრუნველყოფა წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, გუდფრენდი და კინგი ამტკიცებდნენ, რომ კარგად გამართული ბანკთაშორისი ბაზრის არსებობა უფუნქციოდ ტოვებდა უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორის ინსტიტუტს[8, გვ.4-5]. მათი აზრით, ეფექტური ფინანსური ბაზრის არსებობის შემთხვევაში, გადახდისუნარიანი ბანკი ვერ იქნებოდა ამავდროულად არალიკვიდური. საპასუხოდ ამისა, რომე და ვივესი მიუთითებდნენ ბანკთაშორის ბაზარზე კოორდინირების შესაძლო პრობლემაზე და იცავდნენ უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორის კლასიკურ ვარიანტს[14, გვ. 1135]. გარდა ამისა, აღსანიშნავია გუდჰარტის შემდეგი არგუმენტი: ბანკის საჭიროება უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორისაგან დახმარების შესახებ, დიდი ალბათობით მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული ფინანსური ინსტიტუტი უკვე განიცდის გადახდისუნარიანობის პრობლემას[9, გვ.80]. შედეგად, უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორის როლის განსაზღვრა გამარტივდება, თუკი ცნობილი იქნება, თუ რა სახის პრობლემის წინაშე დგას ფინანსური ინსტიტუტი.

**ლიკვიდობის შოკი და უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორი.**

ბანკების მთავარ საქმიანობას წარმოადგენს დეპოზიტების მოზიდვა და მისი გარდაქმნა სესხებად, რომელიც შედარე-

ბით არალიკვიდური აქტივია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საბანკო სექტორში მოკლევადიანი ინვესტიციები გარდაიქმნება გრძელვადიან ინვესტიციებად. ნათელია, რომ ბანკები ჩართულია რისკიან თამაშში, სადაც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მეანაბრეები და მსესხებლები. იმ შემთხვევაში თუ მეანაბრეთა დიდი რაოდენობა მოისურვებს ერთსა და იმავე დროს გაანაღდოს თავისი დეპოზიტი, დიდია ალბათობა იმისა, რომ ბანკს შეექმნება ლიკვიდობის პრობლემა, ხოლო თუ ბევრია მსესხებელთა მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევა, ბანკი დადგება გადახდისუნარიანობის რისკის წინაშე. შედეგად, ბანკი როგორც ფინანსური შუამავალი, დგას ლიკვიდობის ან გადახდისუნარიანობის შოკის წარმოქმნის საფრთხის წინაშე.

პირველი ბანკების წარმოშობის დღიდან არსებობს საბანკო პანიკები, გამოწვეული მეანაბრეთა მიერ საკუთარი დეპოზიტების ვადაზე ადრე გადანაღდების შედეგად. ეს კი, სხვა არაფერია, თუ არა ლიკვიდობის შოკი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ყველაზე ცნობილი ნაშრომი შეიქმნა მე-XX საუკუნის 80-იან წლებში და მასში მოცემულ მოდელს, ავტორთა საპატივცემულოდ, დაიმონდ-დიპივიგის საბანკო პანიკის მოდელი ეწოდა. ლიკვიდობის პრობლემის გადასაჭრელად აღენმა და გეილმა[1] და ფრეიშა, პარივი, როშემ[6] თავიანთ მოდელებში ცენტრალური ბანკის, როგორც უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორის როლზე გაამახვილეს ყურადღება. ორივე მოდელი ეფუძნება იმ დაშვებას, რომ ბანკები შეიძლება განიცდიდნენ მხოლოდ ლიკვიდური სახსრების პრობლემას, ხოლო გადახდისუნარო ფინანსური ინსტიტუტების იდენტიფიცირება მარტივადაა შესაძლებელი და ხდება მათი ლიკვიდაცია. შედეგად, განხილულია შემთხვევა, როცა საბანკო სექტორში პრობლემა და შესაბამისად ცენტრალური ბანკის ინტერვენცია განპირობებულია მხოლოდ ლიკვიდობის შოკით.

აღენმა და გეილმა შექმნეს მოდელი, რომელიც ლიკვიდური სახსრების უკმარისობის პრობლემის გადაჭრას ბანკთაშორისი დეპოზიტების ბაზრის განვითარებით ცდილობს.

დავუშვათ, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში წარმოდგენილია ბანკები, რომლებიც დეპოზიტებს განათავსებენ საპირისპირო რეგიონებში მოქმედ ბანკებში. ყოველ რეგიონს ერთი ბანკი ემსახურება. ასეთ შემთხვევაში იმ რეგიონში, სადაც ლიკვიდური სახსრების სიმცირეა, ჭარბი ლიკვიდობის მქონე რეგიონებიდან მოხდება სახსრების მობილიზება. კრიზისული სიტუაციის დროს ბანკები თავდაპირველად დაიწყებენ სხვა ბანკებში განათავსებული დეპოზიტების განადგებას და თუ მობილიზებული სახსრები საკმარისი არ აღმოჩნდება კრიზისის დასაძლევად, მხოლოდ მაშინ იზრუნებენ გრძელვადიანი ინვესტიციების დროზე ადრე ამოღებაზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გრძელვადიანი აქტივების განადგება საკმაოდ ხარჯიანი პროცესია იმის გათვალისწინებით, რომ ასეთ შემთხვევაში ბანკს უწევს უარი თქვას იმ შემოსავლებზე, რომელიც უნდა მიეღო განხორციელებული ინვესტიციიდან. შესაბამისად, არცერთ ფინანსურ ინსტიტუტს არ სურს უარი თქვას გრძელვადიან შემოსავალზე. მაშინ, დამატებითი წყაროს მოზიდვა შესაძლებელია ცენტრალური ბანკის ინტერვენციის შედეგად. კერძოდ, ბანკთაშორისი ბაზრის მეშვეობით ცენტრალური ბანკი მოახდენს საჭირო სახსრების საბანკო სექტორისათვის მიწოდებას. მნიშვნელობა არ აქვს თუ რომელ რეგიონში მოხდება თავდაპირველად ლიკვიდური სახსრების მიწოდება, ბანკთაშორისი ბაზრის მეშვეობით იგი ხელმისაწვდომი გახდება პრობლემის წინაშე მდგარი ბანკისათვის. განხილული მოდელით ცენტრალურ ბანკი, როგორც უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორი, გვევლინება ლიკვიდური სახსრების მიმწოდებლად.

განსხვავებულ როლშია ცენტრალური ბანკი - ფრეიშა, პარიგი, რომეს ბანკთაშორისი საკრედიტო ხაზების მოდელში. აღნიშნული მოდელი ითვალისწინებს ორის სახის დაკრედიტებას, საკრედიტო ხაზის გახსნის მეშვეობით: 1. ყოველი ბანკი  $i$  უხსნის მხოლოდ ერთ, მის მეზობელ ბანკ  $j=i+1$  საკრედიტო ხაზს. შედეგად წარმოიქმნება ბანკთაშორისი საკრედიტო ხაზების ჯაჭვური სისტემა; 2. დივერსიფიცირებული დაკრედიტება, რაც გულისმობს, რომ თითოეული ბანკი

თანახმაა საკრედიტო ხაზი გაუხსნას ყველა სხვა დანარჩენ ბანკს. პირველი სისტემის არსებობის შემთხვევაში, ბანკ j-ს შენაბრებს ეძლევათ შესაძლებლობა საკუთარი დეპოზიტები გაანაღდონ ბანკ i-ში, ხოლო დივერსიფიცირებული დაკრედიტების სისტემის დროს კი, ნებისმიერი ბანკის შენაბრე შეზღუდული არ არის თუ რომელ ბანკში გაანაღდებს საკუთარ სახსრებს. ორივე სისტემის გამოყენების დროს ლიკვიდობის პრობლემა შეიძლება წარმოშვას შენაბრეთა მხრიდან სპეკულაციურმა ქმედებებმა. კერძოდ, ბანკებისადმი ნდობის ფაქტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობს შენაბრეთა გადაწყვეტილების მიღებაში. თუ შენაბრე არ ენდობა სხვა ბანკს და იმის შიშით, რომ შესაძლოა სხვა ბანკში ვერ მიიღოს საკუთარი სახსრები, იგი მუდამ შეეცდება დეპოზიტის განაღდებას მხოლოდ მის მომსახურე ბანკში. შედეგად ის შენაბრეები, რომელთაც სურთ მომავალში სხვა რეგიონში მომსახურების მიღება, ამჯობინებენ ვადაზე ადრე გამოიხმონ საკუთარი დეპოზიტები ბანკიდან, ვიდრე დაიცადონ დეპოზიტის ვადის გასვლამდე და სხვა ბანკში გაანაღდონ სასურველი სახსრები. თუკი მას სხვა ბანკის შენაბრეებიც მიბაძავენ, ბანკები იძულებული იქნებიან გამოიხმონ საკუთარი აქტივები სხვა ბანკებიდან და შეწყვიტონ საბანკო საქმიანობა.

აღნიშნულ მოდელში ცენტრალური ბანკის როლის გათვალისწინება ცვლის სურათს. შენაბრეებს სხვა ბანკების მიმართ გაეზრდებათ ნდობა, თუკი მათ ეცოდინებათ, რომ არსებობს ცენტრალური ბანკის გარანტია იმისა, რომ j ბანკის შენაბრეები შეუფერხებლად მიიღებენ საკუთარ სახსრებს i ბანკში. შედეგად, ცენტრალური ბანკის მიერ ბანკთაშორის საკრედიტო ხაზებზე გარანტიის გაცემით, კომერციულ ბანკებს მიეცემათ საშუალება შეამცირონ კრედიტებზე შექმნილი რეზერვები და მობილიზებული თანხები მიმართონ ინვესტიციებში. რაც შეეხება შენაბრეებს, მათ აღარ ექნებათ არანაირი მოტივაცია და სურვილი ვადაზე ადრე გაანაღდონ საკუთარი დეპოზიტები იმის შიშით, რომ სხვა ბანკში ვერ მიიღებენ სასურველ თანხას. აღნიშნული სისტემის შექმნის შედეგად, ცენტრალური ბანკი გვევლინება, როგორც მაკორ-



დინირებელი ორგანო, რაც გამოიხატება მის მიერ საკრედიტო საზებზე გარანტიის გაცემით.

განხილული ორი მოდელის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ საბანკო სექტორში ლიკვიდობის პრობლემის გადაჭრის ეფექტური გზაა ბანკთა შორის ბაზრის განვითარება. განსხვავება მოდელებს შორის მდგომარეობს იმაში, თუ რა როლი ენიჭება ცენტრალურ ბანკს საბანკო სისტემაში შექმნილი პრობლემების აღმოსაფხვრელად. თუკი პირველ მოდელში იგი გვევლინება, როგორც ლიკვიდური სახსრების მიმწოდებელი, მეორე მოდელში მას აქვს მაკოორდინირებელი ორგანოს როლი.

### **დაუდგენელი შოკები.**

აქამდე გაანალიზებულ მოდელებში განიხილებოდა მხოლოდ ლიკვიდობის შოკის შედეგად წარმოქმნილი პრობლემები, რომელთა წყაროსაც წარმოადგენდა ბანკის საბალანსო უწყისის პასივების ნაწილში ასახული მეანაბრეთა მიმართ წარმოშობილი ვალდებულებები. გაკეთებული დაშვება იმის შესახებ, რომ გადახდისუნარო ბანკები არ გვხვდება ეკონომიკაში, ნაკლებად რეალისტურია. ბანკებს შესაძლოა პრობლემები შეექმნათ მათ ბალანსზე არსებული აქტივების მხრიდან. კერძოდ, ბანკის მიერ სხვადასხვა იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან. გადახდისუნარიანობის პრობლემა შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როცა ბანკის მსესხებლები ვერ უზრუნველყოფენ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. შედეგად, ბანკი ვერ მოახერხებს იმ ლიკვიდური სახსრების დაბრუნებას, რომელიც მას დეპოზიტების მეშვეობით ჰქონდა მოზიდული. თუკი ზემოთ განხილულ მოდელებში ლიკვიდობის შოკი გამოწვეული იყო მოუთმენელი მეანაბრეების მიერ, ამჯერად მსესხებლთა გადახდისუნარობამ გამოიწვია ლიკვიდური სახსრების უკმარისობა და შედეგად თვით ბანკიც გახდა გადახდისუნარო. ნათელია, რომ ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის პრობლემები მჭიდროდ აა ერთმანეთთან დაკავშირებული და დამატებით ინფორმაციის გარეშე ძნელია მათი გამიჯვნა. ბანკს შესაძლოა ჰქონდეს ლიკვიდობასთან დაკავშირებული სირთულე-

ბი, თუმცა დეტალური ანალიზის გარეშე რთულია დადგინდეს მისი გამომწვევი მიზეზი, იყო ეს ლიკვიდური სახსრების მართვაში დაშვებული შეცდომები თუ საკრედიტო პორტფელის დეფოლტით გამოწვეული პრობლემები.

დაიმონდმა და რაიანმა უფრო რეალისტური გახადეს ალენისა და გეილის მოდელი გადახდისუნარიანობის შოკების გათვალისწინებით. ისინი ამტკიცებენ, რომ გადახდისუნარიანობის პრობლემა ქმნის ლიკვიდური სახსრების სიმცირეს, რაც იწვევს საბანკო პანიკას და მენაბრეთა მხრიდან ვადაზე ადრე დეპოზიტების განადღებას[2, გვ.618]. შედეგად, საბანკო სექტორი ერთობლიობაში განიცდის ლიკვიდური სახსრების სიმცირეს და სახეზეა სისტემური ხასიათის სირთულეები. ფრეიშა, პარიგი, როშე თავიანთ ნაშრომში ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ ურთიერთდაკავშირებული საბანკო ინსტიტუტების რიცხვის ზრდა მთლიანად საბანკო სისტემას უფრო საიმედოს ხდის და ნაკლებად განიცდის რომელიმე კონკრეტული ბანკის გაკოტრების შედეგებს[6, გვ.627]. ასეთ შემთხვევაში, მენაბრეთა მხრიდან ფინანსურად ძლიერი ბანკებისადმი ნდობის კოფიციენტი გაცილებით მაღლა იწვევს, რაც გამოიხატება იმით, რომ ფინანსური სირთულეების მქონე ბანკიდან აქტიურად ხორციელდება გახსნილი ანაბრების გადინება კონკურენტ ბანკებში.

მაშინ, როცა ძნელია დადგინდეს თუ რა იყო პრობლემის გამომწვევი მიზეზი, გაურკვეველია თუ როგორ უნდა იმოქმედოს ცენტრალურმა ბანკმა სისტემაში არსებული სირთულეების დასარეგულირებლად. არასახარბიელო შედეგების თავიდან ასაცილებლად, ცენტრალურმა ბანკმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაადგინოს პრობლემის წარმოშობის თავდაპირველი წყარო და მხოლოდ მას შემდეგ მიიღოს შესაბამისი ზომები. კერძოდ, დაიმონდი და რაიანი გვთავაზობენ ლიკვიდური სახსრების მიწოდებას ბანკთაშორისი ბაზრის მეშვეობით, როცა სირთულეების მიზეზი ლიკვიდობის პრობლემაა, ხოლო გადახდისუნარიანობის შედეგად გამოწვეული პრობლემების გადასაჭრელად - ფინანსური სირთულეების მქონე ბანკის რეკაპიტალიზაციაა მიზანშეწონილი[2, გვ.644]. იმ შემთხვევა-

ში, თუ შეუძლებელია გამომწვევი მიზეზების დადგენა, ნებისმიერი ქმედება ცენტრალური ბანკის მხრიდან შეიძლება არაეფექტური იყოს. ასეთ დროს იზრდება მორალური რისკის (Moral Hazard)<sup>1</sup> წარმოქმნის საფრთხე.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორის არსებობა ბანკებს უქმნის იმის გარანტიას, რომ სირთულეების წარმოქმნის შემთხვევაში მას ირიბად თუ პირდაპირ აღმოუჩენს ცენტრალური ბანკი დახმარებას. მსგავსი სიგნალების არსებობა ეკონომიკაში საშუალებას აძლევს საფინანსო ინსტიტუტებს ჩაებან უფრო სარისკო საინვესტიციო პროექტებში დიდი შემოსავლიანობის მისაღებად. აგრეთვე, ბანკები მუდმივად შეეცდებიან, რომ წარმოქმნილი პრობლემების მიზეზად ლიკვიდური სახსრების უკმარისობა დაასახელონ, იმ იმედით, რომ ცენტრალური ბანკისაგან მიღებული დახმარებით გაიხანგრძლივებენ არსებობას. რეალურად კი თვითგადარჩენაზე ორიენტირებული ფინანსური აგენტი, გაცილებით მაღალი მოგების მიღების მიზნით, თანახმაა გასწიოს არაგონივრული რისკი, რაც ხელს უშლის ლიკვიდური სახსრების ეფექტიან გამოყენებას. რა ბერკეტი გააჩნია ასეთ შემთხვევაში უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორს, რომ თავიდან აიცილოს ბანკების მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედება? საბანკო სექტორის მკვლევარები აღნიშნული პრობლემის გადაჭრის რაიმე ერთ კონკრეტულ გზას ვერ გვთავაზობენ.

საფინანსო ინსტიტუტების აქტივობების კონტროლი ერთ-ერთ მექანიზმად შეიძლება ჩაითვალოს, ცენტრალური ბანკის მიერ რეალური სურათის მისაღებად კრიზისულ პერიოდებში. ცენტრალური ბანკის მხრიდან ბანკების საბუღალტრო უწყისების პერიოდული ანალიზი უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორის ფუნქციის გაცილებით ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ, ფინანსური ანგარიშგებების შესწავლის შედეგად ცენტრალურ ბანკი შეიძლება

<sup>1</sup> მორალური რისკის საფრთხე წარმოიქმნება ისეთ სიტუაციაში, როდესაც ერთი მხარე ებმება სარისკო ოპერაციაში იმის იმედით, რომ დანაკარგები ანაზღაურდება მეორე მხარის მიერ.

ლებს განასხვავოს გადახდისუუნარო ბანკები არალიკვიდური ფინანსური აგენტებისაგან და განსაზღვროს შესაბამისი დახმარების პოლიტიკა. გამომდინარე იქიდან, რომ ეკონომისტთა გარკვეული ნაწილისათვის მიუღებელია ცენტრალური ბანკის ხშირი და ზედმეტი ჩარევა ეკონომიკაში, პრობლემის გადაჭრის გზას თვით საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის ცვლილებაში ხედავენ. კერძოდ, კომერციული ბანკების მხრიდან პოტენციური და ასევე არსებული მსესხებლების სისტემატური მონიტორინგი, მათი ფინანსური მდგრალობის დასადგენად, გაცილებით შეამცირებს გადახდისუუნარობით გამოწვეული არასახარბიელო მოვლენების განვითარების რისკს. კომერციული ბანკები აღნიშნული ქმედებების შედეგად მიიღებენ ჯანსაღ საკრედიტო პორტფელს, რასაც დადებითი ეფექტი ექნება მათ ფინანსურ მდგრალობაზე. შესაბამისად ცენტრალური ბანკის მხრიდან ისეთი გარემოს შექმნა, რომ საფინანსო ინსტიტუტებმა განახორციელონ საკუთარი მომხმარებლების სისტემატური მონიტორინგი, ერთ-ერთი გზაა პრობლემის ასაცილებლად.

ჯანსაღი საკრედიტო პორტფელის უზრუნველსაყოფად კომერციულმა ბანკებმა სესხის გაცემის ეტაპზე დეტალურად უნდა შეისწავლონ პოტენციური მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა და მხოლოდ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობის შემთხვევაში მიიღონ გადაწყვეტილება სესხის გაცემაზე. სესხის გაცემის შემდგომ, მსესხებლის საქმიანობის პერიოდული ფინანსური მონიტორინგი გაუადვილებს კრედიტორს, პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში, მიიღოს ეფექტური და დროული ზომები.

კიდევ ერთი მექანიზმი, რის მიხედვითაც ცენტრალურ ბანკს მიეცემა საშუალება გამოავლინოს გადახდისუუნარო ბანკები, მოცემულია ფრეიშა, პარიგი, რომეს ნაშრომში[7]. გადახდისუუნარო ბანკებისათვის გარკვეული მონეტარული სტიმულების დაწესება შეამცირებს იმ ბანკების რიცხვს, რომლებიც უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორისაგან დახმარების აღმოჩენის მიზნით თავს არალიკვიდურ ინსტიტუტად აცხადებენ. შედეგად, ცენტრალური ბანკის მხრიდან იმ სა-

ფინანსო ინსტიტუტებისათვის, რომლებიც გადახდისუუნარობის გამო თავს გაკოტრებულად გამოაცხადებენ, გარკვეული შეღავათებისა და მონეტარული სტიმულების დაწესება, პრობლემის რეალური მიზეზის გამოვლენის მხრივ, დადებით ეფექტს იქონიებს.

### **ვინ უნდა იყოს ბოლო ინსტანციის კრედიტორი?**

უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორის ფუნქციის შესრულება შეიძლება განხორციელდეს, როგორც ლიკვიდური სახსრების მიწოდებით, აგრეთვე კრიზისულ სიტუაციაში მაკრორდინირებული როლის შესრულებით. შედეგად, ბოლო ინსტანციის კრედიტორს უნდა გააჩნდეს მოცემული ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობა. ისტორიულად, სწორედ ცენტრალური ბანკი იყო აღჭურვილი შესაბამისი ფუნქციებით და ხშირ შემთხვევაში იგი ასრულებს უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორის ფუნქციებს. თუმცა, აშშ-ში ყოფილა შემთხვევები, როცა სახელმწიფო ხაზინა ან ისეთი კერძო ინსტიტუტები, როგორცაა საკლირინგო სახლები, იყო პასუხისმგებელი ფინანსური სექტორისათვის ბოლო ინსტანციის სესხის გაცემაზე. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში დღემდე მიმართავენ მულტირეგულირების სქემას, სადაც ცენტრალურ ბანკთან ერთად დეპოზიტების სადაზღვევო კომპანიაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფინანსური კრიზისების დროს. ის, თუ რომელი ინსტიტუტის პასუხისმგებლობა იქნება ბოლო ინსტანციის კრედიტორის ფუნქციის შესრულება, დამოკიდებულია თუ ვის ექნება საბანკო სექტორის ზედამხედველობის უფლება [13, გვ.581]. საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის შესრულებით, უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორს საშუალება მიეცემა გადახდისუუნარო ფინანსური ინსტიტუტები გამიჯნოს არალიკვიდური ინსტიტუტებისაგან.

უნდა განვასხვავოთ შემთხვევები, როცა საბანკო სექტორის არეგულირებს ერთი ინსტიტუტი (უნიფიცირებული რეგულატორი) და შემთხვევები, როცა რეგულირება გადანაწილებულია რამდენიმე ინსტიტუტს შორის (მულტი რეგულატორის სისტემა). უნიფიცირებული რეგულატორის შემთხვევაში, ცენტრალური ბანკის ფუნქციებში შედის, როგორც

უკანასკნელი ინსტანციის სესხის გაცემა, ასევე საბანკო სექტორის ზედამხედველობა. კანმა და სანტოსმა აჩვენეს, რომ ზედამხედველობის ფუნქციის გარეშე ბოლო ინსტანციის კრედიტორის ფუნქციის შესრულება არაეფექტიანია და აუცილებელია ზედამხედველობას ახორციელებდეს ის ორგანო, რომლის პასუხისმგებლობაცაა უკანასკნელი ინსტანციის სესხის გაცემა[12, გვ.2127-2128]. შედეგად, ფინანსური კრიზისის დროს ცენტრალური ბანკი აფასებს ბანკების მდგომარეობას და იღებს გადაწყვეტილებას გასცეს სესხი და გადაარჩინოს სირთულეში მყოფი ბანკი, თუ დაიწყოს მისი გაკოტრების პროცედურები არსებული კანონმდებლობის შესაბამისად და დახუროს ბანკი. მოცემულ შემთხვევაში ბანკის გაკოტრება იწვევს, როგორც ფინანსურ, ასევე პოლიტიკურ დანაკარგებს.

ბანკის გაკოტრების შედეგად ზარალდებიან მენაბრეებიც. გამომდინარე აქედან ხშირია შემთხვევა, როცა მენაბრეები ცდილობენ დააზღვიონ საკუთარი დეპოზიტები მსგავსი მოულოდნელი მოვლენებისაგან. შედეგად, მრავალ ქვეყანაში შეიქმნა დეპოზიტების სადაზღვევო კომპანიები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ანაბრების დაზღვევა. სადაზღვევო კომპანიის ჩართვით ბანკიცაა დაინტერესებული, ვინაიდან აღნიშნული ზრდის კომერციული ინსტიტუტის საიმედოობას. შედეგად, სადაზღვევო კომპანიები ინტერესდებიან ფინანსური ინსტიტუტების რეგულირებით, ვინაიდან ახლა უკვე მათი ინტერესიცაა თავიდან იქნეს აცილებული ბანკის გაკოტრება. ყალიბდება მულტი რეგულატორის სისტემა, სადაც დეპოზიტების დაზღვევას ახორციელებს სადაზღვევო კომპანია, ხოლო ცენტრალური ბანკი კი უზრუნველყოფს საფინანსო სექტორის შეუფერხებელ ფუნქციონირებას. ასეთ დროს, უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორის როლის მიკუთვნება რომელიმე ინსტიტუტისადმი, მეტწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ განახორციელებს საფინანსო სექტორის ზედამხედველობას. თეორიულად, ზედამხედველობის ფუნქციით ცენტრალური ბანკის აღჭურვა ნაკლებად ეფექტიანია, ვიდრე დეპოზიტების სადაზღვევო კომპანიის მიერ მისი განხორციელება. ფუნქციების გადანაწილების შედეგად ცენტრალური ბანკი პასუხისმგე-

ბელია ლიკვიდური სახსრების მიწოდებაზე ბანკთაშორისი ბაზრის მეშვეობით, ხოლო სადაზღვევო კომპანია ახორციელებს დეპოზიტების დაზღვევასა და სექტორის ზედამხედველობას. მოცემული სტრუქტურა საშუალებას იძლევა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორის ჩარევა, რაც ხელს უწყობს ფინანსურად სტაბილური საბანკო სექტორის ჩამოყალიბებას [12, გვ. 2116-2119]. პრაქტიკაში, აღნიშნული ფუნქციების ოპტიმალური გადანაწილება განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით და დამოკიდებულია ეკონომიკის განვითარების დონეზე.

საქართველოში დამკვიდრებულია უნიფიცირებული რეგულატორის სისტემა, რითაც საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს უფლება განახორციელოს საბანკო სექტორის ზედამხედველობა და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს ბოლო ინსტანციის სესხის გამოყოფა. გამომდინარე იქიდან, რომ სადაზღვევო სისტემა განვითარების საწყის ეტაპზეა, საქართველოს საბანკო სივრცეში ჯერ კიდევ არ აქვს ფეხი მოკიდებული დეპოზიტების დაზღვევას.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბოლო ინსტანციის სესხის გაცემა რეგულირდება ორგანული კანონით საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული დადგენილებით ბოლო ინსტანციის სესხის გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე. ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ბოლო ინსტანციის სესხის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს, საპროცენტო განაკვეთი არ უნდა იყოს ერთდღიან სესხზე დადგენილ საპროცენტო განაკვეთზე ნაკლები, სესხის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი გირაო. სესხი უნდა გამოეყოს მხოლოდ გადახდისუნარიან ბანკებს, რომელთაც შეექმნათ ან შესაძლოა უახლოეს მომავალში შეექმნათ ლიკვიდობის პრობლემა. ბოლო ინსტანციის სესხისადმი წაყენებული პირობები შესაბამისობაშია უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორის კლასიკურ გაგებასთან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლამდე დამტკიცებული დოკუმენტი [16] სესხის გაცემის წესისა და პირობების შესახ-

ებ, არ ითვალისწინებდა ბანკის გადახდისუნარიანობის მდგომარეობის შესწავლას და დახმარების მისაღებად საკმარისი იყო ლიკვიდობაში არსებული პრობლემები. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ბანკის გადახდისუნარიანობის უგულვებელყოფა მნიშვნელოვან პრობლემებს იწვევს და დადებითად უნდა შეფასდეს სესხის გაცემის წესში შეტანილი ცვლილებები, რომელმაც სრულყო და შესაბამისობაში მოიყვანა იგი უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორის მიმართ წაყენებულ პირობებთან.

წარმოდგენილი ანალიზის შედეგად შეიძლება დაეასკენათ, რომ ცენტრალური ბანკი, როგორც უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორი, წარმოადგენს ლიკვიდური სახსრების მიმწოდებელს, როცა სახეზეა ლიკვიდობის პრობლემა. თუმცა, აღნიშნული ფუნქციის ეფექტურად შესრულებისათვის აუცილებელია არსებობდეს კარგად ფუნქციონირებადი ბანკთაშორისი ბაზარი, სადაც ბანკები თანახმა იქნებიან გაასესხონ ჭარბი ლიკვიდური სახსრები და აგრეთვე აუცილებელია, რომ ცენტრალურ ბანკს შეეძლოს არალიკვიდური ბანკის გადახდისუნარო ბანკისაგან გამიჯვნა. განვითარებული ბანკთაშორისი ბაზრის უზრუნველყოფა შესაძლებელია ცენტრალური ბანკის მხრიდან ბანკთაშორის სესხებზე საბანკო გარანტიების გაცემით. შედეგად, ცენტრალური ბანკი გვევლინება, როგორც მაკოორდინირებელი ინსტიტუტი. კრიზისის გამომწვევი მიზეზების დადგენისა და ბანკების მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედებების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორს დამატებით ჰქონდეს საბანკო სექტორის ზედამხედველობის ფუნქცია.

საბანკო სექტორის რეგულირების პროცესში გავრცელებულია უნიფიცირებული და მულტი რეგულატორის სისტემები. უნიფიცირებული რეგულირების სისტემის დროს ცენტრალური ბანკის ფუნქციებია: ბოლო ინსტანციის სესხის გაცემა და საბანკო ზედამხედველობა. აღნიშნული სისტემის ნაკლოვანებაა ის, რომ სირთულეში მყოფი საფინანსო ინსტიტუტის გაკოტრების საქმის დაწყება დაკავშირებულია დიდ



ფინანსურ და პოლიტიკური დანაკარგებთან. მულტირეგულატორის არსებობის შემთხვევაში, როცა ცენტრალური ბანკის გარდა, რეგულირების პროცესში აქტიურად მონაწილეობს დეპოზიტების სადაზღვევო კომპანია, მნიშვნელოვანია საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის მათ შორის გადანაწილება. როგორც თეორიულმა ანალიზმა აჩვენა, გაცილებით ნაკლებია დანაკარგები და შესაბამისად მაღალი შედეგები მიიღწევა, როცა ცენტრალური ბანკი ახორციელებს ლიკვიდური სახსრების მიწოდებას, ხოლო დეპოზიტების დაზღვევა და საბანკო ზედამხედველობა დეპოზიტების სადაზღვევო კომპანიის უფლებამოსილებას წარმოადგენს. პრაქტიკაში, მულტირეგულატორის სისტემაში საბანკო ზედამხედველობის ფუნქციით ამა თუ იმ ინსტიტუტის აღჭურვა მეტწილად დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეზე.

**Lender of the Last Resort**

**I. Shavdatuashvili**

Classical version of the lender of the last resort considered extending last resort credits only to the financially sound and solvent financial institutions. During the last decade that was a subject of the critic from the banking scholars. Difficulties to distinguish the illiquid banks from the insolvent ones and on the other hand the presence of the well-functioning interbank market questioned the existence of the lender of last resort. To this extent, assigning the supervising function to the lender of last resort has been an issue of discussion. The article reviews the existing banking literature on the lender of the last resort. The main goal is to present the role of the central bank acting as lender of the last resort under the variety of the economic shocks and the optimal allocation of the supervisory function among the financial institutions.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. Allen, F., & Gale, D. Financial Contagion. *Journal of Political Economy*, (2000), 108(1), 1-33;
2. Diamond, R., & Rajan, R. Liquidity Shortages and Banking Crises.

- The Journal of Finance*, 60(2), (2005), 615-647;
3. Fischer, S. On the Need for an International Lender of Last Resort. *The Journal of Economic Perspectives*, 13(4), (1999), 85-104;
  4. Freixas, X. The Lender of Last Resort in Today's Financial Environment. *The Center for Research in International (CREI)*(4), (1999), 1-24;
  5. Freixas, X., & Parigi, B. M. Lender of Last Resort and Bank Closure Policy. *CESIFO WORKING PAPER NO. 2286*, (2008), 1-43;
  6. Freixas, X., Parigi, B., & Rochet, J.-C. Systemic Risk, Interbank Relations, and Liquidity Provision by the Central Bank. *Journal of Money, Credit and Banking*, (2000), 32(3), 611-638;
  7. Freixas, X., Parigi, B., & Rochet, J.-C. The Lender Of Last Resort: A 21st Century Approach. *Journal of the European Economic Association*, (2004), 2, 1085-1115;
  8. Goodfriend, M., & King, R. Financial Deregulation Monetary Policy and Central Banking. *Federal Reserve Bank of Richmond Economic Review*, (1988), 3-22;
  9. Goodhart, C. Why do Banks need a Central Bank? *Oxford Economic Papers*, (1987), 39, 75-89;
  10. Humphrey, T. Lender of Last Resort: The Concept in History. *Federal Reserve Bank of Richmond Economic Review*, (1989), 75, 8-16;
  11. Humphrey, T., & Keleher, R. The Lender Of Last Resort: A Historical Perspective. *Cato Journal*, (1984), 4(1), 275-318;
  12. Kahn, C., & Santos, J. Allocating bank regulatory powers: Lender of last resort, deposit insurance and supervision. *European Economic Review*, (2005), 49, 2107-2136;
  13. Repullo, R. Who Should Act as Lender of Last Resort? An Incomplete Contracts Model. *Journal of Money, Credit and Banking*, (2000), 32(3), 580-605;
  14. Rochet, J.-C., & Vives, X. Coordination Failures and the Lender of Last Resort: Was Bagehot Right After All? *Journal of the European Economics Association*, (2004), 2, 1116-1147;
  15. Thornton, H. An Enquiry into the Nature and Effects of the Paper Credit of Great Britain, London: Hatchard, (1802);
  16. საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორის მიერ კომერციული ბანკებისათვის სესხის გაცემის წესი, დამტკიცებული საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2008 წლის 11 აგვისტოს 12 დადგენილებით.

**ლომინანტი დაფინანსების სტრუქტურა  
და მისი გავლენა კაპიტალის ბაზრის  
რეგულაციაზე საქართველოში**

**ნიკოლოზ ქოიავა**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასისტენტ-პროფესორი**

საქართველოს წინაშე მწვავედ დგას დანქარებული ეკონომიკური ზრდის აუცილებლობა, რის წინაპირობაც საჯარო და კერძო კომპანიების დაფინანსების მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებაა. ინოვაციური და მზარდი კომპანიებისათვის, რომელთა უმთავრესი აქტივი არამატერიალური კაპიტალია,<sup>1</sup> საკუთარი კაპიტალის საშუალებით დაფინანსება არსებითია. მოზიდული სახსრებით დაფინანსება ამ ტიპის ინდუსტრიების მოთხოვნებს ნაკლებად შეესაბამება, რადგან დაკრედიტების დროს მხედველობაში მიიღება კომპანიის არსებული გადახდისუნარიანობა და ლიკვიდობა და არა მოსალოდნელი შემოსავლები, რაც საკუთარი კაპიტალის დაფინანსების შემთხვევაში უმთავრესი ფაქტორია [2, გვ.149; 6, გვ.3; 13, გვ.613]. ამ თვალსაზრისით, არაქმედითი ფასიანი ქაღალდების ბაზარი არახელსაყრელ პირობებში აყენებს აღნიშნულ კომპანიებს და ეფექტიანი კაპიტალის ბაზრის განვითარების აუცილებლობას ცხადყოფს. ასევე, აღსანიშნავია კაპიტალის ბაზრის ალოკაციის ფუნქცია საინვესტიციო და საპენსიო ფონდების განვითარების საქმეში, სადაც დაგროვილი და დაზოგილი ფინანსური სახსრების ოპტიმალური გადანაწილება

<sup>1</sup> არამატერიალურ კაპიტალში მოიაზრება ის კონკურენციული უპირატესობა, რის საფუძველზეც კომპანია ექსპანსიას ახორციელებს.

მხოლოდ ეფექტიანად ფუნქციონირებადი კაპიტალის ბაზრის ფარგლებში არის შესაძლებელი [28,გვ.189; 15,გვ.3].

ქმედითი,ლიკვიდური და ეფექტიანი ფასიანი ქაღალდების ბაზარი დამყარებულია სხვადასხვა მარეგულირებელი ინსტიტუტის კომპლექსური ქსელის ჰარმონიულ ფუნქციონირებაზე, რომლის უზრუნველყოფაც დიდი სირთულის გამო, ქვეყანას რთული გამოწვევის წინაშე აყენებს. ამ თვალსაზრისით განვითარებადი ქვეყნები, შეზღუდული რესურსების და მწირი ისტორიული გამოცდილების გამო, განსაკუთრებით რთულად გადასაწყვეტი პრობლემის წინაშე დგანან [30,გვ.84]. განვითარებად ქვეყნებში კაპიტალის ბაზრის მარეგულირებელი ინსტიტუტების შექმნის და განვითარების კომპლექსურობის რედუქცია ძირითადად მიმბაძავი იზომორფიზმის შედეგად ხდება, სადაც განვითარებადი ქვეყნების რეგულაციების ჩამოყალიბება განვითარებული ქვეყნის მაგალითზე ხორციელდება<sup>3</sup>.

მარეგულირებელი ინსტიტუტების ჰარმონიულობა, თავის მხრივ, დამოკიდებულია კაპიტალის ბაზრის გარემო ფაქტორებზე. კაპიტალის ბაზრის გარემო ფაქტორებად იგულისხმება ისეთი ძალები, რომელთა მიერ წარმართულ პროცესებს შეუძლია კაპიტალის ბაზრის სისტემა წონასწორობიდან გამოიყვანოს. მარეგულირებელ ინსტიტუტებში იგულისხმება

---

2 კაპიტალის ბაზრის განვითარების შესახებ დებატები საქართველოს კონტექსტით იხ. <http://commerzant.ge/?page=news&id=1321>. კაპიტალის ბაზრის განვითარებას და საინვესტიციო და საპენსიო ფონდების განვითარების კავშირი დაწვრილებით განხილული იქნება მომდევნო სტატიაში.

3 იზომორფიზმის თეორია ხსნის რეგულაციების კონვერგენციის მიზეზებს. დაწვრილებით იზომორფიზმის თეორიის შესახებ იხ. [8,გვ.151; 19,გვ.95; 29,გვ.101]. უნდა გავითვალისწინოთ, რომ განვითარებადი ქვეყნების რეგულაციების კონვერგენციების მიახლოება განვითარებული ქვეყნების რეგულაციებთან, არ ნიშნავს აუცილებლად ეფექტიან გადაწყვეტილებას და პირიქით, დივერგენციის შენარჩუნება არ ნიშნავს უცილობლად არაეფექტიან გზას. ეფექტიანობას განაპირობებს კაპიტალის ბაზრის მარეგულირებელი ინსტიტუტების ელემენტების ურთიერთთავსებადობა, რაც თავის მხრივ, ლოკალური კაპიტალის ბაზრის მდგრადობას განაპირობებს და ამგვარად, ნებისმიერი რეფორმის თუ რეგულაციის ცვლილების წარმატებას განსაზღვრავს [3,გვ. 202].

ყველა იმ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ფუნქციის მქონე მონაწილის გაერთიანება, რომლებიც კაპიტალის ბაზარზე წონასწორობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს (Steady State) [25, გვ.119]<sup>4</sup>. შესაბამისად, კაპიტალის ბაზრის განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი რეაქცია ექნება მარეგულირებელ ინსტიტუტებს გარემო ფაქტორების მიერ ინიცირებულ წონასწორობის რყევებზე. ამ თვალსაზრისით, რეგულაციების მოდიფიცირების საშუალებით შესაძლებელია შეიქმნას ინსტიტუციური ჩარჩო, რომელიც კაპიტალის ბაზრის გარემო ფაქტორების გამომწვევებს განვითარების მიმართულებას მისცემს და ასევე შესაძლებელია შეიქმნას ისეთი რეგულაციური ჩარჩო, რომელიც წონასწორობიდან გამოყვანის წინეხს ჩაახშობს. ზოგადად, რეგულაციის ამგვარ კონცეფციას „ფინანსური მმართველობა“ (Financial Governance) ეწოდება, რომელიც აერთიანებს, როგორც სამთავრობო და არასამთავრობო აქტიორებს, ასევე კაპიტალის ბაზარზე მონაწილე კერძო სუბიექტებს [26, გვ.97].

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ორი ქვეყანა აბსოლუტურად ერთნაირი რეგულაციებით არ არსებობს [29, გვ.101]. კაპიტალის ბაზრის რეგულაციების დივერგენციის მიზეზი სწორედ განსხვავებული გარემო ფაქტორებია, რაც ყველა ქვეყნისათვის უნიკალურია. საქართველოს უნიკალური გარემო ფაქტორების კონტექსტის გათვალისწინება აუცილებელი წინაპირობაა კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრისათვის.

კაპიტალის ბაზრის მარეგულირებელ ინსტიტუტებზე ზემოქმედი გარემო ფაქტორების ანალიზი განსაკუთრებული სამეცნიერო დებატების საგანია [12, გვ.28; 2, გვ.23; 18, გვ.95], სადაც ძირითადად ხუთი სისტემური გარემო ფაქტორის

4 ნებისმიერი ცვლილება კაპიტალის ბაზრის რეგულაციების ინსტიტუტებში, თავის მხრივ, გულისხმობს ამ სისტემის წონასწორობიდან გამოყვანას და არსებული პასუხისმგებლობის გადანაწილებას სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო მარეგულირებელ სუბიექტებს შორის.

იდენტიფიცირება შეიძლება: სახელმწიფოში დაფინანსების სტრუქტურა (Financial Structure), სახელმწიფოს სამართლებრივი მოწყობის ტიპი (Legal Origin), სოციო-ეკონომიკური სისტემა (Socio-economical System), არაფორმალური რეგულაციების სისტემა (System of Informal Institutions) და კაპიტალის ბაზრის რეგულირების აღმასრულებელი პროფესიის - ფინანსური ანგარიშგების მომმზადებელთა, აუდიტორთა და ფინანსურ შუამავალთა, სისტემა (Accounting Profession, Financial Intermediaries) [16, 17].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წინამდებარე სტატიის მიზანია, გააანალიზოს პირველი გარემო ფაქტორის - დაფინანსების სტრუქტურის ზეგავლენა საქართველოს კაპიტალის ბაზრის რეგულირების სისტემის უნიკალურობაზე. უნიკალურობის გამოსავლენად საჭიროა საქართველოს დაფინანსების სტრუქტურის პოზიციონირება სხვა ქვეყნებთან მიმართებით. კაპიტალის ბაზრების მარეგულირებელი ინსტიტუტების ქვეყანათაშორისი კლასიფიკაციის განსახორციელებლად სამეცნიერო ლიტერატურაში მიმართავენ დიქტომიის მოდელს<sup>5</sup>. ამ მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია კაპიტალის ბაზრის რეგულაციაზე ზემოქმედი გარემო ფაქტორების მიხედვით საქართველო შევადაროთ ისეთ ქვეყნებს, რომლებიც ამა თუ იმ რეგულაციის კონცეფციის ტიპურ წარმომადგენლად განიხილება.<sup>6</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში ტრადიციულ არგუმენტაციას განეკუთვნება ქვეყანაში დაფინანსების სტრუქტურის

5 დიქტომიის მოდელში იგულისხმება ქვეყნების განაწილება კაპიტალის ბაზრის რეგულაციების კონცეფციების პოლუსების მიხედვით.

6 დაფინანსების სტრუქტურის ზეგავლენა რეგულაციებზე ზევთ ქვეყანაში არ არის საკმარისად შესწავლილი. ამიტომ, ამ სტატიის მიზნებისთვის, შესაძარებლად ისეთ ქვეყნებს ვიყენებთ, რომლებიც ადრეული და სიღრმისეული კვლევების საგანი იყო და რომლებიც დაფინანსების სტრუქტურის ერთ-ერთ ტიპურ წარმომადგენლად განიხილება. შესაბამისად, შესაძარ ქვეყნებად აღებულია გერმანია და საფრანგეთი, როგორც Insider Control System-ის წარმომადგენელი ქვეყნები და დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად, როგორც Outsider Control System-ის ქვეყნები [28; 14].

ზეგავლენა ქვეყნის კაპიტალის ბაზრის დივერგენციაზე სხვა ქვეყნებთან მიმართებით [7; 9; 20; 21]. დიქტომიური მოდელის ფარგლებში ქვეყანაში დომინანტი დაფინანსების სტრუქტურა იყოფა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე დაფუძნებულ დაფინანსების სტრუქტურად (Outsider Control System) და ბანკებზე დაფუძნებულ დაფინანსების სტრუქტურად (Insider Control System). სისტემური განსხვავება ამ ორ პოლუსს შორის არის, როგორც კაპიტალის ბაზრის სტრუქტურაში, ასევე საწარმოების დაფინანსების სტრუქტურაში [19, გვ. 100].

ქვეყნები, სადაც დაფინანსების სისტემა კაპიტალის ბირჟებზეა ორიენტირებული, მათთვის ორგანიზებული ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ბაზარი და საკუთარი კაპიტალით დაფინანსება ისტორიულად მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამგვარი დაფინანსების სისტემის მქონე ტიპურ ქვეყნებს მიეკუთვნება აშშ და დიდი ბრიტანეთი [29]. ამ ქვეყნებისთვის კაპიტალის ბაზრები წარმოადგენს მთავარ ინსტიტუტს, სადაც მოსახლეობის დანაზოგების ძირითადი ნაწილის აკუმულირება ხდება და სადაც კერძო და სახელმწიფო საპენსიო ფონდების აქტივები იყრის თავს. კაპიტალის ბაზარზე ორიენტირებულ დაფინანსების სტრუქტურას ტენდენცია გააჩნია მოზიდული სახსრების დაბალი წილისკენ. საპირისპიროდ, ბანკებზე ორიენტირებულ ეკონომიკას ისტორიულად ახასიათებს მოზიდული სახსრების მაღალი განაკვეთი. მოსახლეობის დანაზოგები და საპენსიო სქემები ნაკლებად არის კაპიტალის ბაზარზე ორიენტირებული. Insider Control System-ის მქონე ქვეყნების ტიპური მაგალითია კონტინენტური ევროპის წამყვანი ქვეყნები - გერმანია და საფრანგეთი [4].

დომინანტური დაფინანსების სისტემა მკაფიოდ აისახება საწარმოების დაფინანსების სტრუქტურაში და მათ მიერ დაფინანსების წყაროების მოძიების ქცევაში (financial behavior). საწარმოს დაფინანსების გაბატონებული ფორმა ასევე

ზეგავლენას ახდენს მათი მფლობელობის კონცენტრაციაზე [11]. კაპიტალის ბაზარზე ორიენტირებული საწარმოები ავლენენ დისპერსიული მფლობელობის სტრუქტურას (საკუთარი კაპიტალი მრავალი მესაკუთრის მფლობელობაშია გადანაწილებული), მაშინ როდესაც მოხიდული სახსრებით დაფინანსებული საწარმოები კონცენტრირებული მესაკუთრეობით ხასიათდება. ამ პირობებში საწარმოს განვითარების პოლიტიკის განსაზღვრაში კრედიტორები ძირითადი აქტივების სახით გვევლინებიან [10]. საბანკო სისტემაზე ორიენტირებულ ქვეყნებში, ბანკები როგორც კაპიტალის გამცემნი, მონაწილეობენ აღმასრულებელ დირექტორთა დანიშვნაში, მათ ხელი მიუწვდებათ მენეჯერულ ანგარიშგებაზე და შესაბამისად, მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღებაში [11]. შიგასაწარმოო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გამო Insider Control System-ის ქვეყნები ისწრაფიან შემუშავდეს ისეთი რეგულაციები, რომელიც ბაზარზე ორიენტირებული ინფორმაციის გასაჯაროების საჭიროებას აქარწყლებს და კონცენტრაციას კრედიტორის უფლებების დაცვაზე, შესაბამისად, კონსერვატორული (conservative approach of regulation) რეგულაციების მიდგომაზე ამახვილებს ყურადღებას<sup>7</sup>. მეორე მხრივ, ინვესტორები Outsider Control System-ის მთავარი მოთამაშეები, დაინტერესებულნი არიან ისეთ რეგულაციებში, რომელიც მათი ბაზარზე ორიენტირებული საინფორმაციო უზრუნველყოფის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს<sup>8</sup>. ამგვარი ინფორმაციული უზრუნველყოფა ძირითადად კონსოლი-

---

7 ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობილი ინფორმაციული უზრუნველყოფა კრედიტორებისათვის ნაკლებად პრიორიტეტულია მათი უფლებების დაცვისთვის. კრედიტორების ინტერესშია შემცირდეს საწარმოდან დივიდენდების სახით კაპიტალის გადინება, რათა შენარჩუნდეს მაღალი გადახდისუნარიანობა. ამგვარი მიდგომის რეგულაციური ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში ცნობილია, როგორც წინდახედულობის პრინციპი.

8 ინვესტორები დაინტერესებულნი არიან საწარმოს აქტუალური საბაზრო ღირებულებით, რაც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში - True and Fair View-ს პრინციპით არის ცნობილი.



დირეზული ანგარიშგების საშუალებით (consolidated financial statement) ხორციელდება, რადგან იგი იძლევა ინფორმაციას საწარმოს, როგორც ეკონომიკური ერთეულის შესახებ<sup>9</sup>.

ზემოთ აღწერილი არგუმენტაციის კონტექსტით ნათელი ხდება დაფინანსების სტრუქტურის მამოძრავებელი ძალა კაპიტალის ბაზრის რეგულაციების ორიენტაციაზე. იმისათვის, რომ გავაანალიზოთ საქართველოში დომინანტი დაფინანსების სტრუქტურა და შესაბამისად, რეგულაციების მამოძრავებელი ძალები, საჭიროა საქართველოს პოზიციონირება ქვეყანათაშორისი ანალიზის საშუალებით დაფინანსების სტრუქტურის მიხედვით. საქართველოში დაფინანსების სტრუქტურის ემპირიული იდენტიფიცირებისათვის საჭიროა საკუთარი და მოზიდული სახსრების შედარებითი ანალიზი, როგორც ცალ-ცალკე შესადარ ქვეყნებთან მიმართებით, ასევე ერთმანეთთან პროპორციაში. საქართველოს ქვეყანათაშორისი ანალიზი ეყრდნობა Zimmermann/Werner, (2012) -ის მეთოდოლოგიას და საფუძვლად უდევს მსოფლიო ბანკის ინდიკატორების მაჩვენებლები, შესადარი ქვეყნების სტატისტიკის სააგენტოებისა და ეროვნული ბანკების მონაცემები [29]. დაკვირვების პერიოდი მოიცავს 2008 - 2011 წლებს.


პირველად განიხილება საკუთარი კაპიტალით დაფინანსების სტრუქტურა, რომელიც აღწერება სამი ინდიკატორის მეშვეობით. პირველი ინდიკატორი აღწერს კაპიტალის ბაზრის ზოგად განვითარებას და გამოიხატება საფონდო ბირჟის კაპიტალიზაციის შეფარდებით ქვეყნის მშპ-სთან (ცხრილი 1). მეორე ინდიკატორი აღწერს კაპიტალის ბაზრის სოციო-ეკონომიკურ მნიშვნელობას და გამოიხატება საფონდო ბირჟაზე განთავსებულ საწარმოთა რაოდენობის პროპორციით ყოველ 100.000 მოქალაქეზე (ცხრილი 2). მე-

9 კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან განსხვავებით, დამოუკიდებელი ანგარიშგება (Single Account) ინფორმირებას ახდენს იურიდიული ერთეულის შესახებ [29].

## ნიკოლოზ ქობია


სამე ინდიკატორი ასახავს საფონდო ბირჟის ლიკვიდობას და მოცემულია საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობის შეფარდებით საფონდო ბირჟის საშუალო კაპიტალიზაცია-სთან (ცხრილი 3)<sup>10</sup>.

ცხრილი 1



ცხრილიდან ნათელია რომ, ნიშნდობლივია საქართველოს საგრძობი ჩამორჩენა კაპიტალის ბაზარის განვითარების თვალსაზრისით ბანკებზე ორიენტირებულ ქვეყნებთან შედარებითაც კი.

ცხრილი 2



<sup>10</sup> საფონდო ბირჟის საშუალო კაპიტალიზაცია გამოითვლება, როგორც დაკვირვების პერიოდის დასაწყისის და პერიოდის დასასრულის კაპიტალიზაციის მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკული.


ცხრილი 2 ცხადყოფს, რომ საქართველო საფონდო ბირჟაზე განთავსებული საწარმოთა პროპორციის მიხედვით Insider Control System-ის ქვეყნებზე და კლასიკური Outsider Control System-ის წარმომადგენელი ქვეყნის - დიდი ბრიტანეთის მაჩვენებლებზე წინაა. ეს ინდიკატორი, სხვა თანაბარ პირობებში, მიუთითებს, რომ საქართველოსათვის სოციო-ეკონომიკური თვალსაზრისით კაპიტალის ბაზარი უაღრესად აქტუალურია, რაც ერთი შეხედვით, ცხრილი 1-ის შედეგებთან წინააღმდეგობაში მოდის. მაგრამ, ამავდროულად, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის კონკრეტული გარემოება, რამაც საქართველოს შემთხვევაში მაღალი მაჩვენებელი გამოიწვია. კერძოდ, საფონდო ბირჟაზე ქართული საწარმოების განთავსება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა და გამოწვეული იყო XX საუკუნის 90-იანი წლების პრივატიზაციის შედეგებით. აღნიშნული საწარმოები კანონის ძალით გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად და პრივატიზაციის გეგმის საფუძველზე წარედგინათ ემისი ის პროსპექტი. კაპიტალის ბაზრის გამოყენების აუცილებლობა სოციო-ეკონომიკური აქტუალურობის გაზრდას არ გამოუწვევია<sup>11</sup>. ამ ინდიკატორის ვალიდურობის შესახებ კრიტიკა გამოთქმულია Pirveli (2014)-ის კვლევაშიც, სადაც ავტორი მიუთითებს მსოფლიო ბანკის მიერ ინდიკატორის მაჩვენებლების არასრულყოფილ ასახვაზე [23, გვ.286]. ამგვარად, კაპიტალის ბაზრის სოციო-ეკონომიკური მნიშვნელობის მაღალი შედეგი გამოწვეულია, როგორც მეთოდური ხარვეზებით, ასევე შინაარსობრივი შეუთავსებლობით. კაპიტალის ბაზრის ნაკლებად აქტუალურობას ასევე ცხრილი 3 ცხადყოფს. ბირჟის ლიკვიდობის ინდიკატორი მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში საწარმოების უმრავლესობა პირველადი განთავსე-

11 აქ ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ინფორმაციულ უზრუნველყოფაში არ იგულისხმება ინვესტორების საჯარო ინფორმირება სტანდარტიზებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, არამედ, ყურადღება შიგა ინფორმაციულ წყაროებზე გამახვილებულა.

**ნიკოლოზ ქობიავა**

ბის შემდეგ თითქმის არ ვაჭრობს თავისი აქციებით. შედეგად, საქართველოს კაპიტალის ბაზარი არალიკვიდურია და მეორადი ვაჭრობა - თითქმის შეჩერებული.

ცხრილი 3



საქართველოში საკუთარი კაპიტალით დაფინანსების მნიშვნელობის ქვეყანათშორისი შედარება ცხადყოფს საფონდო ბირჟის დაბალ აქტუალურობას, დაბალ ეფექტიანობას და არალიკვიდობას. მეორე ეტაპზე საჭიროა საქართველოში მოზიდული სახსრების მნიშვნელობის წარმოჩენა ქვეყანათშორისი შედარების საფუძველზე. მოზიდული სახსრების ქვეყანათშორისი ანალიზი მოიცავს სამ ინდიკატორს [29]. პირველი ინდიკატორი - მოზიდული სახსრების ინდექსი, აღწერს მოზიდული სახსრების ზოგად (მთელი ეკონომიკისათვის) მნიშვნელობას და გამოიხატება საბანკო კრედიტების მოცულობის შეფარდებით ქვეყნის მშპ-სთან (ცხრილი 4). მეორე ინდიკატორი - ბანკების ინტერმედიაციის ინდექსი (ბანკების შუამავლობის ინდექსი - *ank Intermediation Index of non-financial companies*) აღწერს ბანკების მიერ დაფინანსების მნიშვნელობას მოცემულ ქვეყანაში და გამოიხატება ბანკების წინაშე ვალდებულებების პროპორციით მთლიან ვალდებულებებთან (ცხრილი 5)<sup>12</sup>. მესამე ინდიკატორი ასახავს

<sup>12</sup>დისკუსია საბანკო სისტემის როლის შესახებ კაპიტალის ბაზრის განვითარებაში იხ. [5; 1];

კრედიტის გაცემისათვის საჭირო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას (Credit depth of information index) და გამოხატავს ხელმისაწვდომი ინფორმაციის როგორც მოცულობას, ასევე ფიზიკურად ხელმისაწვდომობასა და ხარისხს. ინფორმაციის მოპოვების წყაროდ განიხილება როგორც შიგა, ასევე გარე, საჯარო წყაროები (ცხრილი 6).

ცხრილი 4

მოზიდული სახსრების ინდექსი					
შესადარი ქვეყნები	2007	2008	2009	2010	2011
საქართველო	31.10	32.70	32.90	33.20	34.30
გერმანია	124.70	126.60	133.10	130.90	124.80
საფრანგეთი	122.00	124.30	128.80	132.70	133.50
დიდი ბრიტ.	186.70	212.40	227.90	222.20	212.60
აშშ.	244.40	224.40	234.40	233.30	234.90

მოზიდული სახსრების ინდექსი სურათ 4-ზე გვიჩვენებს, რომ უტსიდერ ჩონტროლ შესტემ-ის ქვეყნებში მოზიდული სახსრების წილი მთლიან ვალდებულებებში უფრო მაღალია, ვიდრე Insider Control System-ის ქვეყნებში და ეს დივერგენცია ნარჩუნდება მთელი დაკვირვების პერიოდში. საქართველო ამ ინდიკატორის მიხედვით საგრძნობლად ჩამორჩება სხვა ყველა შესადარ ქვეყანას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საკრედიტო ვალდებულებების პროპორცია წლიდან-წლამდე იზრდება, კონვერგენცია რომელიმე ერთ-ერთი დაფინანსების დომინანტი სისტემის ქვეყნების მიმართულებით არ შეიმჩნევა. მიზეზია ის, რომ საკრედიტო ვალდებულებების პროპორცია შესადარ ქვეყნებშიც თანაბრად იზრდება.

ბანკების ინტერმედიაციის ინდექსი					
შესადარი ქვეყნები	2007	2008	2009	2010	2011
საქართველო	0.53	0.52	0.49	0.50	0.51
გერმანია	0.32	0.39	0.40	0.41	0.42
საფრანგეთი	0.30	0.33	0.35	0.36	0.37
დიდი ბრიტ.	0.20	0.21	0.23	0.23	0.24
აშშ.	0.05	0.06	0.06	0.05	0.07

ცხრილი 5 ხაზს უსვამს ბანკების მიერ დაფინანსების დომინანტ მნიშვნელობას Insider control System-ის ქვეყნებში. დივერგენცია, დაფინანსების სისტემის დომინანტობის თვალსაზრისით, მთელი დაკვირვების პერიოდში უცვლელი რჩება. საბანკო კრედიტების მოცულობის მიხედვით საქართველო სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე დიდ პროპორციას გვიჩვენებს, რაც ცხადყოფს საბანკო დაფინანსების მნიშვნელობას საქართველოში.

ცხრილი 6

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა					
შესადარი ქვეყნები	2007	2008	2009	2010	2011
საქართველო	4	6	6	6	6
გერმანია	6	6	6	6	6
საფრანგეთი	4	4	4	4	4
დიდი ბრიტ.	6	6	6	6	6
აშშ.	6	6	6	6	6

სურათი 6-ზე ნაჩვენებია საქართველოს ნახტომისებური წინსვლა კრედიტის გაცემისათვის საჭირო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მაჩვენებლის განვითარების კუთხით. აქ საქართველომ 2007 წელს გატარებული რეფორმების შედეგად ერთ წელიწადში მიაღწია ისეთ შედეგს, რომლითაც შესაღარ განვითარებულ ქვეყნებს გაუტოლდა დ მას შემდეგ

საქართველო ბანკების ინფორმაციული უზრუნველყოფის თვალსაზრისით უმაღლეს შეფასებას ინარჩუნებს. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მაჩვენებლის ერთმნიშვნელოვანი კონვერგენცია განვითარებული ქვეყნების რეგულაციებისკენ ცხადყოფს საქართველოში ბანკებზე ორიენტირებული დაფინანსების სტრუქტურის დომინანტურ როლს<sup>13</sup>.

იმისათვის რომ ნათლად გამოჩნდეს კაპიტალის ბაზრის მნიშვნელობა საბანკო დაფინანსებასთან მიმართებაში, დამატებით გამოიყენება ორმაგი პროპორციის ინდიკატორი. საკრედიტო ვალდებულებების პროპორცია და საფონდო ბირჟის კაპიტალიზაციის პროპორცია მშპ-სთან, ერთმანეთთან არის შეფარდებული. ამ ინდიკატორის უკან დგას იდეა, რომ რაც უფრო დიდია მიღებული მნიშვნელობა, მით უფრო მნიშვნელოვანია ამა თუ იმ ქვეყანაში საბანკო დაფინანსების როლი [29].

ცხრილი 7

საბანკო დაფინანსების როლი საფონდო ბირჟაზე დაფინანსებასთან მიმართებაში					
შესადარი ქვეყნები	2007	2008	2009	2010	2011
საქართველო	222.14	1090.00	470.00	368.89	571.67
გერმანია	197.94	408.39	341.28	297.50	378.18
საფრანგეთი	114.02	234.53	171.73	174.61	234.21
დიდი ბრიტ.	136.28	303.43	176.67	161.01	433.88
აშშ.	170.91	270.36	215.05	196.05	225.87

სურათი 7-ზე ასახული შედეგები მეტყველებს იმაზე,

13 კერძოდ, აღნიშნული კვლევები მიუთითებს კაპიტალის ბაზრის განვითარებისგან საბანკო სისტემის სარგებელზე, რომელსაც საინვესტიციო, ანალიზური და საშუამავლო საქმიანობის შედეგადაც მათ მართვაში არსებული აქტივების გაზრდა შეუძლიათ. გარდა ამისა, ეფექტიანი კაპიტალის ბაზარი ხელს უწყობს უცხოური კაპიტალის შემოდინებას პორტფელური ინვესტიციებში და აქ ბანკების, როგორც ინსტიტუციური შუამავლების როლი განსაკუთრებით იკვეთება.

რომ საბანკო დაფინანსების როლი კაპიტალის ბაზართან შედარებით საქართველოში ყველა სხვა შესაძარ ქვეყნებთან მიმართებით მნიშვნელოვნად დიდია [1].

საკუთარი კაპიტალის და მოზიდული სახსრების შედარებითი ანალიზის შედეგად ნათელია, რომ საქართველო, დომინანტური დაფინანსების სტრუქტურის მიხედვით, ქვეყანათა შორის კლასიფიკაციაში Insider control System-ის ტიპს მიეკუთვნება.

საქართველოში Insider control System-ის დომინირების შედეგია ის, რომ ინვესტორებისა და კრედიტორების ინფორმაციული უზრუნველყოფის თვალსაზრისით, კრედიტორების ინტერესების დომინირება იკვეთება. როგორც სტატიის დასაწყისში აღინიშნა, კრედიტორები დაინტერესებულნი არიან ინფორმაციული უზრუნველყოფის კონსერვატიული მიდგომით. ამავდროულად, საქართველო ფინანსური ანგარიშგების ერთადერთ სტანდარტად აღიარებს მის საერთაშორისო სტანდარტებს (IFRS). მისი დეკლარირებული მიზანი კი, ინვესტორის ინფორმაციული უზრუნველყოფაა. შესაბამისად, IFRS არ არის კრედიტორების ინტერესების უპირველესი გამომხატველი და შედეგად ბანკები აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე არ იღებენ დაკრედიტების გადაწყვეტილებას. მათი თანხმობა დამოკიდებულია უშუალოდ ფულადი საშუალებების მოძრაობის ანალიზზე (Cash Flow) და ინდივიდუალურ საკრედიტო ხელშეკრულებაში ჩადებულ სხვა მაკოორდინებელ თუ საზედამხედველო მუხლებზე. კრედიტორებზე ორიენტირებული არასტანდარტიზებული ანგარიშგების არქონა ზრდის დაფინანსების ხარჯებს [24, გვ. 1370]. ხარჯების ზრდა არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ აქვთ შენარჩუნებული Insider Control System-ის ტიპიურ ქვეყნებს IFRS-ის პარალელურად თავიანთი ნაციონალური ანგარიშგების სტანდარტები, რომლის მიზნობრიობა კრედიტორებზე ორიენტაციას უფრო შეესაბამება [29]. შე-



საბამისად, საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარების მამოძრავებელი ძალის არ არსებობის შემთხვევაში, I დშ სტანდარტებზე ორიენტირებული რეგულაციების მოთხოვნის ზრდა მოსალოდნელი არ არის და საქართველოს კაპიტალის ბაზრის დივერგენცია ორგანიზებული კაპიტალის ბაზრის განვითარების თვალსაზრისით შენარჩუნდება.

ეკონომიკის სწრაფად მზარდი მაჩვენებლების მიღწევა კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალის ბაზრის განვითარებაში დაინტერესებული ფინანსური ინსტიტუტების (საპენსიო და საინვესტიციო ფონდები), ისევე როგორც კაპიტალინტენსიური ინდუსტრიების მიერ ინიცირებულ მამოძრავებელ ძალას შესაბამისი რეგულაციური მხარდაჭერა მოყვება. ამავე დროს საგულისხმოა სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგადად [16, გვ. 408] და საქართველოს შესახებ კვლევებში [30, გვ. 81] მოსაზრება ბანკების შემაფერხებელი როლის შესახებ კაპიტალის ბაზრის განვითარებაში. არგუმენტაცია ეფუძნება საბანკო სისტემის მიერ დაფინანსებაზე მონოპოლიის არსებობას და მათ ინტერესს ამ მდგომარეობის შენარჩუნებაში.

ამგვარად, კაპიტალის ბაზრის განვითარებისათვის წარმართული რეგულაციური რეფორმის გატარებისას, მკაფიოდ უნდა იქნეს წარმოჩენილი ის უპირატესობები, რომლის შედეგად, ბანკებს ექმნებათ შესაძლებლობა თავიანთი ჩართულობით ისარგებლონ კაპიტალის ბაზრის განვითარებით და ამგვარად შეამცირონ ის რისკები, რაც კონკურენტი დაფინანსების წყაროს განვითარებისგან შეიძლება წარმოიშვას. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია კვლევები, სადაც ყურადღება გამახვილებულია კაპიტალის ბაზრის და საბანკო სისტემის განვითარების სინერგიულ ეფექტებზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის საჭიროა აქტიური, ლიკვიდური და ეფექტიანი კაპიტალის ბაზარი, რაც თავის

მხრივ, კაპიტალის ბაზრის რეგულაციების წარმატებით დანერგვაზე დამოკიდებული. კაპიტალის ბაზრის რეგულაციების განვითარებაზე ზემოქმედი მნიშვნელოვანი ფაქტორია დომინანტი დაფინანსების სტრუქტურა. ამ თვალსაზრისით საქართველო Insider Contor System-ის მქონე ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება. ბანკებზე ორიენტირებული დაფინანსების გარემო, კაპიტალის ბაზრის განვითარებისათვის შემაფერხებელ ინსტიტუტად გვევლინება. შესაბამისად, ეფექტიანი რეგულაციების შემუშავება და დანერგვა დამოკიდებულია კაპიტალის ბაზრის განვითარებაში დაინტერესებული ფინანსური ინსტიტუტების მოთხოვნის გაძლიერებაზე და ამ განვითარების შემაფერხებელი ინსტიტუტების ინტერესების შემცირებაზე.

დასასრულ, აღსანიშნავია ის კრიტიკა, რაც დაფინანსების სტრუქტურის ზეგავლენაზე დაკვირვებას, სხვა გარემო ფაქტორებისგან განცალკევებულად ახლავს თან. კერძოდ, ბევრი ემპირიული კვლევა მიანიშნებს იმაზე, რომ მიუხედავად სხვადასხვა ქვეყანაში დაფინანსების სტრუქტურის უაღრესად მსგავსებისა, მათი კაპიტალის ბაზრის რეგულაციები და ეფექტიანობა საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან. შესაბამისად, საჭიროა შედარებითი ანალიზის დროს სხვა გარემო ფაქტორების დამატებით გათვალისწინება უფრო სრული და ზუსტი სურათის მისაღებად, რაც ამ სტატიის ფარგლებს და ამოცანას სცილდება.

**The dominant structure of funding and its impact on capital markets regulation in Georgia**

**N. Khoiava**

This article discusses the influence of a state's dominant financial structure on capital market regulations. The introductory part reviews

existing theoretical concepts pertinent to the relations between financial structure and capital market regulations. When Insider Control System is applied creditors determine the company policy and play overseers' roles. Under such circumstances, the dominant creditor aspires to set up the regulations, which undermine the need for publicizing entrepreneurial and financial reports and concentrate on the protection of creditors' rights. Consequently, regulatory bodies prioritize on conservative approach of regulation.

When a state's dominating financial structure is based on equity capital, investors are key players (outsider control system). Under such conditions, regulations are oriented on guaranteeing availability of information regarding enterprises to investors, which includes the publicity of financial statements. Availability of such information is mostly accomplished through consolidated financial statements, inasmuch as the information provided reflects an enterprise as an economic unit.

Following the theoretical overview, the main part of the paper is dedicated to cross-country comparative analysis that allows uncovering dominant financial structures in Georgia. The results confirm that Insider Control Systems are traceable in Georgia. The conclusions drawn by the author are that attracting equity for developing capital market, developing and implementing efficient regulations in the country largely depend on creating regulations that strengthen the financial institutions supporting the improvement of capital market, while weakening the interests of institutions hindering such developments.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Ahrens, Joachim, Manuel Stark, (2014). Independent Organisations in authoritarian regimes: Contradiction in Terms or an effective instrument of development states, in: Discourses in Social Market Economy, Diskurs 2014-1;

2. Ball, Ray, (2001): Infrastructure Requirements for an Economically Efficient System of Public Financial Reporting and Disclosure, Washington Washington Brookings Institution Press;
3. Barth, Mary E., Clinch, Greg and Shibano, Toshi, (1999): International accounting harmonization and global equity markets, in: Journal of Accounting and Economics, 26:1-3, 201-235;
4. Börsch-Susan, Axel and Köke, Jens (2002): An Applied Econometricians' View of Empirical Corporate Governance Studies, in: The German Economic Review, 3:3, 295-326;
5. Chang, Ha-Joon, (2006): Understanding the Relationship between Institutions and Economic Development, Some Key Theoretical Issues, Discussion Paper 2006/05, World Institute for Development Economics Research;
6. Christensen, Hans B, Hail, Luzi and Leuz, Christian (2011): Capital Market Effects of Securities Regulation: The Role of Implementation and Enforcement, in: Working Paper, National Bureau of Economic Research, 1-49;
7. Choi, Frederick D.S. and Mueller Gerhard G., (1984): International Accounting, Egelwood, NJ, Prentice-Hall;
8. DiMaggio, Paul J. and Powell, Walter W., (1983): The Iron Cage Revisited: Institutional Isomorphism and Collective Rationality in Organizational Fields, in: American Sociological Review, 48:2, 147-160;
9. Douppnik, Timothy S., and Salter, Stephan B., (1995): External Environmental and Accounting Practice: A preliminary Test of a General Model of International Accounting Development, in: The International Journal of Accounting, Education and Research, 30:2, 189-207;
10. Dutzi, Andreas, (2005): Der Aufsichtsrat als Instrument der Corporate Governance: Ökonomische Analyse der Veränderungen im Corporate Governance-System börsennotierter Aktiengesellschaften, Deutscher Universitätsverlag, Frankfurt am Main;

11. Franks, Julian and Mayer, Colin, (1998): Corporate Ownership and Control in the U.K., Germany, and France, in: Journal of Applied Corporate Finance, 9:4, 30-45;
12. Genschel, Philipp, Leibfried, Stephan and Zangl, Bernhard (2006): Zerfaserung und Selbsttransformation – Das Forschungsprogramm „Staatlichkeit im Wandel“, in: 45;
13. Guzman, Andrew T., (1998): Capital Market Regulation in Developing Countries: A Proposal, in: Virginia Journal of International Law, 39:607, 605-646;
14. Hirschman, Albert O., (1970): Exit, Voice, and Loyalty. Responses to Decline in Firms, Organizations, and States, Cambridge, Cambridge University Press;
15. Hryckiewicz, Aneta (2009): Pension reform, institutional investors' growth and stock market development in the developing countries: does it function?, in: National Bank of Poland Working Paper, 67, 1-35;
16. La Porta, Rafael, Lopez-de-Silanes, Florencio, Schleifer, Andrei and Vishny, Robert, (1997): Legal Determinants of external finance, in: Journal of Finance, 52:3, 1131-1150;
17. La Porta, Rafael, Lopez-de-Silanes, Florencio, Shleifer, Andrei and Vishny, Robert (2000): Investor Protection and Corporate Governance, in: Journal of Financial Economics, 58:1-2, 3-27;
18. Leuz, Christian and Verrecchia, Robert E. , (2000): The Economic Consequences of Increased Disclosure, in: Journal of Accounting Research, 38:2, 91-124;
19. Levitt, Theodore, (1983): The Globalisation of Markets, in: Harvard Business Review, 61:3, 92-102;
20. Nobes, Christopher, (1998): Towards a General Model of the Reasons for International Differences, in: Financial Reporting, 34:2, 162-187;
21. Nobes, Christopher, Parker Robert, (2008): Comparative International Accounting, 10th edition, Prentice Hall, NY;

22. Oehr, Tim-Frederik and Zimmermann, Jochen, (2012): Accounting and the welfare state: The missing link, in: *Critical Perspectives on Accounting*, 23:, 134-152;
23. Pirveli, Erekle (2014), ‘Accounting Quality in Georgia: Theoretical Overview and Development of Predictions’, in: *International Journal of Business and Social Science*, 5:3, 283-293;
24. Rajan, Raghuram G., (1992): *Insiders and Outsiders: The Choice between Informed and Arm’s Length Debt*, in: *Journal of Finance*, 47:4, 1367-1400;
25. Streeck, Wolfgang and Schmitter, Philippe C. , (1985): *Community, market, state - and associations? The prospective contribution of interest governance to social order*, in: *European Sociological Review*, 1:2, 119-138;
26. Werner, Jörg Richard and Zimmermann, Jochen, (2009): *Internationaler Vergleich von Rechnungslegungssystemen: Stand und Perspektiven*, in: *Die Betriebswirtschaft*, 69:1, 85-106;
27. Zimmermann, Jochen, Schymczyk, Johannes and Kilian, Jan-Philipp, (2010): *Convergence Patterns in Accounting Regulation: Six Country Cases of the transforming regulatory landscape* in: Sfb 597 „Staatlichkeit im Wandel“, *TranState Working Paper* 119, 1-42;
28. Zimmermann, Jochen, Werner, Jörg Richard and Volmer, Philipp B., (2008): *Global Governance in Accounting: Rebalancing Public Power and Private Commitment*, Basingstoke, Palgrave Macmillan;
29. Zimmermann, Jochen, Werner, Jörg R., (2013): *Regulating Capitalism? The Evolution of Transnational Accounting Governance*, Bremen, University of Bremen;
30. ხიშტოვანი, გიორგი, (2012): *კაპიტალის ბაზრის განვითარების შესახებ საქართველოში, „ეკონომიკა და ბიზნესი“*, 6, 79-90.

**საქართველოს საგარეო ეკონომიკური  
ორიენტაციის მიმართულებები**

**უზანგი სამალაშვილი**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პრო-  
ფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი**

წინამდებარე სტატიაში დახასიათებულია საქართველოს ეკონომიკაში არსებული არასახარბიელო მდგომარეობა, დასაბუთებულია ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ობიექტური აუცილებლობა და გამოკვეთილია მის განხორციელებაში საგარეო ეკონომიკური ორიენტაციის სხვადასხვა ვექტორის როლი.

საზგაისმულია, რომ ქვეყნის გარე სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ერთადერთი გზა, იქნება ეს ევროკავშირი, თუ ევრაზიური საბაჟო კავშირი, ეს არის გზა არსაით! სწორედ ამიტომ საქართველომ ნებაყოფილობითი, ურთიერთხელსაყრელი და დაბალანსებული ინტეგრაცია უნდა მოახდინოს არა მხოლოდ სხენებულ ორ მხარესთან, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

დასაწყისში ლოგიკურია გავარკვიოთ თუ რა მდგომარეობაა დღევანდელ საქართველოს ეკონომიკაში უსაფრთხოების ძირითადი ინდიკატორების მიხედვით. გარეშე თვალით, საქართველო, ერთი მხრივ, პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის გამოირჩევა თავისი საბაზრო-ინსტიტუციონალური გარდაქმნებით, ხოლო, მეორე მხრივ, მან ვერა და ვერ გადაწყვიტა თავისი ძირეული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები.

საქართველოს არასახარბიელო ეკონომიკურ მდგომარეობაზე ნათლად მეტყველებს, ასევე, “**რია-ანალიტიკის**” მიერ გა-

მოქვეყნებული რეიტინგის მონაცემები, რომლის თანახმად ჩვენი ქვეყანა ეკონომიკის განვითარების დონით ანუ მოსახლეობის ერთ სულზე რეალური მშპ-ის მიხედვით (3596 აშშ დოლარი), მსოფლიოში 112-ე ადგილზეა [15, გვ.1]. ამ მაჩვენებლით საქართველო ევროკავშირის დღევანდელ საშუალო მაჩვენებელს (მოსახლეობის ერთ სულზე მშპ შეადგენს 32 000 აშშ დოლარს) ჩამორჩება დაახლოებით რვაჯერ. ე.ი. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წლის 18 ივნისს საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების დეიურინგაცია მოხდა, ჩვენი ქვეყანა ეკონომიკური განვითარებით მას ჯერ კიდევ სერიოზულად ჩამორჩება. **საქართველოს ევროკავშირისგან ამ ჩამორჩენის დაძლევა (თუ დაგეგმვით, რომ ევროკავშირი ამ დონეზე დარჩება), ჩვენი გათვლებით, დასჭირდება დაახლოებით 30 წელი.**

უსაფრთხოების სტანდარტების მიხედვით, უმუშევრობის ნორმა 5-6%-ია, საქართველოში კი ეს მაჩვენებელი ოფიციალური სტატისტიკით ტოლია 15%-ის. ამასთან, არსებობს უფრო პესიმისტური გათვლებიც. **ეს კი ერთობ ზრდის ფაქტობრივი მშპ-ს პოტენციური მშპ-დან ჩამორჩენას, უმუშევრობას, სიღარიბესა და სიღატაკს.**

ლოგიკურად, საგარეო ვაჭრობა, ანუ ქვეყნის კარგახსნილობა ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როცა ექსპორტი იმპორტს აბალანსებს ან სჭარბობს, საქართველოში კი იმპორტი ექსპორტს 3,5-ჯერ აღემატება. **ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული პროდუქცია საგარეო ბაზარზე არ არის კონკურენტუნარიანი, ე.ი. საქართველოს ქვეყნის გარეთ არა აქვს ე.წ. “მეორე ეკონომიკა”, და შესაბამისად, საერთაშორისო სარგებლიანობა.**

ჩვეულებრივ, სამომხმარებლო კალათაში უნდა სჭარბობდეს სამამულო პროდუქცია, საქართველოში კი იმპორტული პროდუქცია შეადგენს სამომხმარებლო კალათის 75%-ს. ე.ი. სამამულო ბაზარი გაჯერებულია არა მწარმოებლური-



ბის ამადლებით, არამედ იმპორტის ექსპორტზე გადამეტებით [14, გვ. 430]. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული პროდუქცია საშინაო ბაზარზეც კი არ არის კონკურენტუნარიანი, სარგებლიანი. ე.ი. ქვეყანაში დომინირებს უცხო ქვეყნების “მეორე ეკონომიკები”, ანუ საქართველოში არსებული მიწოდების უდიდესი ნაწილი ქვეყნის გარეთ იქმნება.

სახდვარგარეთ საქართველოს მეტი ჰყავს დაქირავებით დასაქმებული (750-800 ათასი კაცი), ვიდრე ქვეყნის შიგნით (600 000). უცხოეთში მყოფი თანამემამულეების ფულადი გზავნილები, ანუ ტრანსფერები უკვე რამდენიმე წელიწადია საქართველოს ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) წილს აჭარბებს. მარტო 2013 წელს, საქართველოში გადმორიცხული 1535 მლნ-ზე მეტი აშშ დოლარიდან დიდი წილი, ანუ 818 მლნ-ზე მეტი რუსეთზე მოდის, რაც უხეში გათვლებით, საერთო გადმორიცხვების 53%-ია. არადა, მილიარდნახევარი დოლარის პუი ქვეყანაში 2008 წლის შემდეგ საერთოდ არ შემოსულა [8, გვ. 2]. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში არსებული მიწოდებისა და მოთხოვნის უდიდესი ნაწილი ქვეყნის გარეთ იქმნება. გამოდის, რომ საქართველოში არ არის მწარმოებელი და მომხმარებელი, არის მხოლოდ შუამავალი. ე.ი. საქართველოს ეკონომიკა, არსებითად, დგას არა სამ, არამედ ერთ ფეხზე. ეს კი ეკონომიკის ამორფულობასა და არმდგრადობაზე მეტყველებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქვეყანაში დაგროვილ ამოცანებს შორის ერთ-ერთი ყველზე მწვავეა ეკონომიკური ზრდის დაჩქარება, რადგანაც ამის გარეშე შეუძლებელია მოსახლეობის ერთ სულზე საქონლისა და მომსახურების მოცულობის ზრდა ანუ ცხოვრების დონის ამაღლება, ევროკავშირის განვითარებული ქვეყნებისაგან ეკონომიკური ჩამორჩენის დაძლევა და ქვეყნის საეთაშორისო ავტორიტეტისა და ცნობადობის ამაღლება. ამასთან, საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენ ეროვნული ეკონომიკის

ზრდის დაჩქარება გვანტერესებს არა მარტო სამამულო საქონლის წარმოებისათვის, არამედ შიგა ბაზრის უმთავრესი სუბიექტის, მყიდველობითუნარიან მომხმარებელთა შესაქმნელათაც. შეიძლება ითქვას, რომ წარმოებაში საქონელთან ერთად მისი მომხმარებელიც იქმნება.

თანამედროვე მსოფლიოში, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა ეკონომიკის ღიაობა (გახსნილობა). ამასთან, რაც უფრო მცირეა ქვეყანა, მით უფრო აშკარად ვლინდება აღნიშნული კანონზომიერება. სწორედ ამიტომ, საქართველოში ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია საგარეო ეკონომიკური საქმიანობის გახსნილობა, ლიბერალიზაცია. ეს იმიტომ, რომ მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, არსებობს ძლიერი კორელაცია (ურთიერთდამოკიდებულება) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაციასა და ეკონომიკური ზრდის ტემპებს შორის. ჰარვარდის უნივერსიტეტის ეკონომისტების მიერ ჩატარებულმა გამოთვლებმა აჩვენა, რომ იქ, სადაც ბოლო 25 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა ჩაკეტილი ეკონომიკის (პროტექციონისტული) პოლიტიკა, მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის საშუალოწლიურმა ზრდამ შეადგინა 0,7%, ხოლო იქ, სადაც ატარებდნენ ღია ეკონომიკის (ლიბერალურ) პოლიტიკას, მოსახლეობის ერთ სულზე მშპ გაიზარდა ხუთჯერ მეტად, ანუ 3,5%-ით [4, გვ.63].

ეკონომიკის ლიბერალიზაცია, უწინარეს ყოვლისა, ექსპორტისა და იმპორტის ლიბერალიზაციას გულისხმობს. საქართველოსთვის, როგორც მცირე საშინაო ბაზრის ქვეყნისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია შიგა მოთხოვნას დაემატოს საგარეო, ანუ საექსპორტო მოთხოვნა, რათა წახალისდეს ადგილობრივი წარმოების განვითარება და ეკონომიკური ზრდა; გარე ბაზრებზე ორიენტირებული სტრატეგია აჩქარებს სპეციალიზაციის პროცესს, რაც, თავის მხრივ, რესურსების დაზოგვის შედეგად მწარმოებლურობის

ზრდას იწვევს; გარდა ამისა, ეს ხელს უწყობს მსოფლიო ეკონომიკასთან უფრო მჭიდრო კონტაქტების დამყარებას და ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების მიღებას; ექსპორტის ზრდა ხელს უწყობს ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და უცხოური ვალუტის შემოდინებას, რაც აადვილებს წარმოების იმ რესურსების იმპორტირებას, რაც ადგილობრივ ბაზარს სჭირდება. დაბოლოს, ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკა ხელს უწყობს პუი-ების მოზიდვას, რადგანაც განვითარებად ქვეყნებში პუი ხშირად ისეთ დარგებში იღება, რომლებშიც იაფი ადგილობრივი რესურსები საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად გამოიყენება. უარყოფითი ეფექტი არის ის, რომ მომგებიან, მაღალი ფასით ექსპორტირებულმა პროდუქციამ და ტურისტების ნაკადების მოძალეობამ შესაძლოა ქვეყანაში შესაბამის პროდუქტზე ფასები გაზარდოს.

საქართველოში ტარიფების გარეშე იმპორტული პროდუქციის შემოსვლას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ეფექტები. დადებითი ეფექტია ის, რომ ტარიფების გაუქმება იმპორტის გაიფების გამო ამცირებს ადგილობრივი პროდუქციის ფასებს, რაც კეთილდღეობაზე სამნიარად აისახება: ა) მომხმარებლები უშუალო სარგებელს ღებულობენ უფრო იაფი და ხარისხიანი სამომხმარებლო პროდუქტებისაგან; ბ) იმპორტირებული შუალედური პროდუქტების (რესურსების) გაიფების შედეგად ადგილობრივ მწარმოებლებს შესაძლებლობა ეძლევათ შეამცირონ ხარჯები, უფრო კონკურენტულები გახდნენ და გაჩნდეს ექსპორტის ახალი შესაძლებლობები; გ) ძირითადი კაპიტალის შედარებით დაბალმა ფასმა შესაძლოა წაახალისოს ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციები. უარყოფითი ეფექტი კი არის ის, რომ მცირდება საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლები; უცხოურმა კონკურენტებმა შეიძლება სამამულო მწარმოებლებს წაართვან წილი ადგილობრივ ბაზარზე, რაც ზოგიერთ სექ-

ტორში ადგილობრივი წარმოების შემცირებას გამოიწვევს. თუმცა, ერთ სექტორში გამოთავისუფლებული რესურსები შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სხვა სექტორში, რომელშიც ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო სპეციალიზაცია მოხდება.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიგა ბაზარს. საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DCFTA გულისხმობს როგორც საქონლით, ასევე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგ.: სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფინანსური მომსახურება და სხვა) და ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან. DCFTA საქართველოს აძლევს საშუალებას ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიგა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. მეოთხე თავისუფლებას - ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას ხელს უწყობს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესი.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების დაახლოებით 80% ვაჭრობის ლიბერალიზაციაზე, ანუ ღრმა და ყოვლისმომცველ ვაჭრობაზე მოდის. "ღრმა" ნიშნავს იმას, რომ ხელშეკრულება ტარიფების შემცირება-გაუქმებასთან ერთად ითვალისწინებს არასატარიფო ბარიერების შემცირებას და ვაჭრობასთან დაკავშირებული რეგულაციების

(ხარისხის სტანდარტი, სურსათის უვნებლობა და არასასურსათო პროდუქციის უსაფრთხოება) ევროკავშირთან დაახლოებას. "ყოვლისმომცველი" ვაჭრობა ნიშნავს ევროკავშირთან არა მხოლოდ საქონლისა და მომსახურების ცალკეული ჯგუფით, არამედ ფართო სპექტრით ვაჭრობას.

ამასთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს საკითხი იმის შესახებ კარგახსნილობის პირობებში საით უნდა მიმართოს საქართველომ საგარეო ეკონომიკური ორიენტაციის ვექტორი. ამ კითხვაზე პასუხი არაერთგვაროვანია: პოლიტიკოსების, მეცნიერ-ეკონომისტების და მეწარმეების ერთი ჯგუფი მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირში გაერთიანებას; მეორე - საქართველოს ევრაზიურ საბაჟო კავშირში ინტეგრაციას; მესამე ჯგუფი მიიხედავს, რომ საქართველომ ნებაყოფლობითი, ურთიერთხელსაყრელი და დაბალანსებული ინტეგრაცია უნდა მოახდინოს არა მხოლოდ ხსენებულ ორ მხარესთან, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ცხადია, თითოეულ ამ მიმართულებას, დამაჯერებელი არგუმენტების შემთხვევაში, აქვს არსებობის უფლება. თუმცა, მთავარია იმის გათვალისწინება თითოეული ვარიანტის შემთხვევაში როგორი იქნება საქართველოს ეკონომიკური სარგებელი და დანაკარგები. ჩემი აზრით, ქვეყნის გარე სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ერთადერთი გზა, იქნება ეს ევროკავშირი, თუ ევრაზიური საბაჟო კავშირი, ეს არის გზა არსაით! სწორედ ამიტომ, როცა საქართველოს საგარეო ეკონომიკური ორიენტაციის საკითხი დგება, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ: **საქართველოს არ ჰყავს მუდმივად კარგი და მუდმივად ცუდი ეკონომიკური პარტნიორი, საქართველოს აქვს მუდმივი ეკონომიკური ინტერესი. შესაბამისად, მისი ეკონომიკური ვექტორი იქით უნდა გადაიხაროს, საითაც მეტი ეკონომიკური სარგებელი ექნება.** ნათქვამის დამადასტურებელია ქვემოთ მოხმობლი სტატისტიკური მონაცემები. თუ რუსეთის მიერ საქართველოს მი-

მართ გამოცხადებულ ემბარგომდე და რუსეთ-საქართველოს ომამდე საგარეო ვაჭრობაში ნომერ პირველი პარტნიორი რუსეთი იყო, მერე მას თურქეთი ჩაენაცვლა. მართალია, 2006 წლის ემბარგოს შემდეგ ქართულმა ღვინომ და წყალმა ბაზრების დივერსიფიკაცია მოახდინა, მაგრამ როგორც კი გასული წლის ზაფხულში რუსეთის ბაზარი გაიხსნა, რუსეთში მოთხოვნა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ნავარეუდები 10 მლნ ბოთლის ნაცვლად, მარტო 6 თვეში 21-22 მლნ ბოთლი შევიდა, რაც ღვინის მთლიანი ექსპორტის უკვე 40%-ს შეადგენს. ქართული ღვინის ექსპორტში რუსეთის წილი გაიზარდა უკრაინაში დაძაბულობის გამო. ღვინის ექსპორტი ხდება ჩინეთშიც, რომელიც თავად ღვინის უმსხვილესი მწარმოებლების ხუთეულშია. ჩინეთში ქართულ ღვინოზე მოთხოვნა უპირატესად ელიტარულ წრეებშია. საჭიროა ჩინეთში ქართული ღვინის ცნობადობის ამაღლება. ჩინეთისაგან განსხვავებით რუსეთში ქართული ღვინის ცნობადობა მაღალია. დღეის მდგომარეობით, რუსეთის წილი ქართულ ექსპორტში 9.4% შეადგენს, რაც მცირედით ჩამორჩება საქართველოს საექსპორტო ბაზრის ლიდერის - უკრაინის 10.4%-იან წილს. ამავდროულად, 2014 წლის იანვრის მონაცემებით, მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 6.7%-იანი წილით, რუსეთმა უკვე გადაასწრო უკრაინის 6.3%-ს და საქართველოს ნომერ მეოთხე სავაჭრო პარტნიორად ირიცხება უკრაინაზე წინ, რომელმაც მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა. ნათქვამზე მეტყველებს, ასევე ბოლო წლებში საქართველოს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის სიტუმატიური ცვლა.

ხაზგასასმელია, რომ თვით ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება ღრმა და ყოველისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცესთან დაკავშირებით, არ აწესებს რაიმე შეზღუდვას საქართველოს მიერ სხვა ქვეყნებთან გაფორმებულ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებებზე. პირიქით, თავისუფალი ვაჭრობის სივრცეები, მაგალითად, ისეთ

ქვეყნებთან, როგორც არის თურქეთი, ხელს უწყობს ვაჭრობის გაფართოებას, ვინაიდან კომპანიებს ექმნებათ შესაძლებლობა ნაკლებ ფასად მოახდინონ საწარმოო პროცესებისა და იმპორტის კომპონენტების გაერთიანება. საქართველოს შეუძლია საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით აწარმოოს სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთან, უკრაინასთან, თურქეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, ირანთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ჩინეთთან, ან სხვა ახლანდელ თუ მომავალ პარტნიორთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში.

ევრაზიური საბაჟო კავშირის საპირისპიროდ, თავისუფალი სავაჭრო სივრცე არ ითხოვს პარტნიორებისგან თავიანთი საიმპორტო და საექსპორტო მოსაკრებელი სხვა სავაჭრო პარტნიორების ასეთივე მოსაკრებელს გაუთანაბრონ, ასევე, არ ავალდებულებს მათ, იქონიონ ასეთივე სავაჭრო პოლიტიკა მთელი მსოფლიოს მიმართ.

თვით პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილებაც ცხადყოფს, რომ ამ ქვეყნებმა ევროკავშირში გაწევრიანების პირობებშიც კი შეინარჩუნეს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, როგორც გეოგრაფიულად და ისტორიულად ახლომყოფ რუსეთთან, ასევე დსთ-ს სხვა ქვეყნებთან. ასე მაგალითად, პოლონეთის გამოცდილება უარყოფს იმ აზრს, რომ ევროკავშირის წევრობა ავტომატურად გამოიწვევს აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების "გაგრილებას". პირიქით, პოლონეთის ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი ექსპორტი აღმოსავლეთის რეგიონში, კერძოდ რუსეთში, რაც გამოიწვია პოლონეთის ეკონომიკის საერთო კონკურენტუნარიანობის ზრდამ. თუ 2004 წელს აღმოსავლეთის ქვეყნების წილი პოლონეთის ექსპორტსა და იმპორტში შეადგენდა 7.0 და 9.7%-ს შესაბამისად (რუსეთზე მოდიოდა 1.7 და 2.1%), 2012 წელს იგი გაიზარდა 10.0 და 16.3%-მდე (რუსეთის წილი შე-

საბამისად გაიზარდა 5.4 და 14.3%-ით). ვფიქრობთ, ეს სავეცებით ნორმალურია [6, გვ. 2].

ის, რომ ევროკავშირის თავისუფალი სავაჭრო სივრცე ასოცირებულ და, მით უფრო, სრულფასოვან წევრებს უნარჩუნებს სუვერენულ უფლებას არაწევრ - ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო პოლიტიკის განხორციელებაში, ვფიქრობ, ერთდროულად კარგიც არის და ცუდიც. მოკლევადიან პერიოდში კარგია, რადგან ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა, ხარისხი, უვნებლობა და უსაფრთხოება ერთბაშად ევროსტანდარტებზე ვერ გავა. აქ აჩქარება არ ეგების. არ უნდა გავიმეოროთ პოლონეთისა თუ ბალტიისპირეთის ქვეყნების უარყოფითი გამოცდილება. ასე, მაგალითად, ექსპერტების აზრით, უმუშევრობის პრობლემა არის პოლონეთის ევროკავშირში გაერთიანების ნეგატიური ეფექტის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი. უმუშევრობის მაღალ დონეს კი ხსნიან ფოლადისა და ქვანახშირის მრეწველობის დემონტაჟის მცდარი პოლიტიკით, რაც, თავის მხრივ, გახდა მიზეზი მძიმე მანქანათმშენებლობის დაცემისა, რომელიც ორიენტირებულია დასახელებულ ინდუსტრიაზე. ეს გამოიწვია ევროკავშირის მკაცრი გარემოსდაცვითი სტანდარტების ზეწოლამ, რომელმაც მოქმედება დაიწყო რესპუბლიკის ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ. პოლონეთის ხელისუფლებამ მიზანშეუწონლად და ეკონომიკურად არარენტაბელურად ჩათვალა ამ საწარმოების ეკოლოგიურობის ამადლებაში მნიშვნელოვანი ინვესტიციების დაბანდება. ეს მაშინ, როცა აღნიშნული დარგები ქმნიან სამუშაო ადგილების მნიშვნელოვან რაოდენობას, რომელთა ლიკვიდაციის კომპენსირებას ვერ მოახდენს მაღალტექნოლოგიური წარმოების და მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის დინამიური განვითარებაც კი. უკრაინაში კი, მძლავრი სამრეწველო საწარმოების (თუმცა, ეკოლოგიურად მავნე საწარმოების) შენარჩუნების წყალობით, მნიშვნელოვნად დაბალია უმუშევრობის დონე.



უკრაინის ერთადერთი, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანი უპირატესობა არის უმუშევრობის შედარებით დაბალი დონე [6, გვ.3]. ან კიდევ, ბალტიისპირეთის ქვეყნები უცებ გადავიდნენ რა ევროკავშირის სტანდარტებზე, წვრილი ფერმერების 70% გაკოტრდა, რადგანაც ისინი სწრაფად ვერ მოერგნენ ევროკავშირის სტანდარტებს და ევროპულ აკრედიტებულ სახელმწიფო კონტროლის ეფექტიან სისტემას. სწორედ ამიტომ, საქართველომ აუჩქარებლად და თანმიმდევრულად უნდა გადახედოს და შეცვალოს ეკონომიკური კავშირები დსთ-ან. აქ გრძელვადიანი მიზნები საკმაოდ რთული და მრავალფეროვანია. **დივერსიფიცირების ანუ რისკების შემცირების მიზნით არც ერთ ქვეყანაზე (მით უფრო გარკვეული რისკების შემცველი დსთ-ს სივრცის ქვეყნებზე) არ უნდა მოდიოდეს საქართველოს ექსპორტისა თუ იმპორტის 25%-ზე მეტი და ამავდროულად ჩამოყალიბდეს საგარეო ვაჭრობის უფრო თანამედროვე, მოქნილი სტრუქტურა.**

მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების უმეტესობა მოიცავს ქვეყნებს მსოფლიოს ერთსა და იმავე ტერიტორიაზე. მეზობელი ქვეყნები სავაჭრო პარტნიორები ხდებიან იმის გამო, რომ ჩვეულებრივ, ამ ქვეყნებს შორის საქონლის გადაადგილების მანძილი მოკლე, უსაფრთხო და ეკონომიურია; მომხმარებელთა გემოვნება მსგავსია და ამიტომ სადისტრიბუციო არხები მეზობელ ქვეყნებში იოლად ყალიბდება; მეზობელ ქვეყნებს აქვთ საერთო ინტერესები და უფრო მეტად სურთ თავიანთი პოლიტიკის ერთობლივი კოორდინირება [1, გვ.40]. თუმცა, ყველა რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების შემთხვევაში გეოგრაფიული სიახლოვე მთავარი ფაქტორი როდია. მაგალითად, კანადისა და ისრაელის რეგიონული სავაჭრო შეთანხმება, ცხადია, არ ემყარება გეოგრაფიულ სიახლოვეს, მაგრამ, სხვა უმრავლესობა სწორედ ამ სიახლოვეზეა ნაკები. სომხეთს აქვს რეგიონული სავაჭრო შეთანხმება, ყაზახეთთან,

მოლდოვასთან, რუსეთის ფედერაციასთან, თურქმენეთსა და უკრაინასთან. ინდოეთს სავაჭრო ხელშეკრულებები აქვს რეგიონში უმეტეს ქვეყანასთან. გერმანია, ევროკავშირის წევრი, აწარმოებს თავისი საქონლის 62.9 %-ის ექსპორტს ევროკავშირის სხვა ქვეყნებში და 58.3 %-ის იმპორტს მათგან. შვეიცარია, რომელიც არაა ევროკავშირის წევრი, მაგრამ რომელსაც აქვს სავაჭრო ხელშეკრულება ევროკავშირთან, თავისი საქონლის 59.7 %-ის ექსპორტს ევროკავშირის ქვეყნებში აწარმოებს და 78 %-ის იმპორტს მათგან. ჩრდილო ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება მოიცავს კანადას, აშშ-ს და მექსიკას. მრავალი მიზეზი არსებობს იმისა, თუ რატომ აქვს რეგიონული სავაჭრო შეთანხმების შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა გეოგრაფიას. მეზობელ ქვეყნებს ხშირად, თუმცა არა ყოველთვის, საერთო ისტორია, ენა, კულტურა და ფულადი ერთეული აქვთ. თუ ქვეყნები ერთმანეთს არ ეომებიან, ისინი როგორც წესი, აყალიბებენ სავაჭრო კავშირებს. სიახლოვე ამცირებს სატრანსპორტო ხარჯებს, რაც სავაჭრო პროდუქტებს ზოგადად აიაფებს. სხვადასხვა კვლევებმა აჩვენა, რომ როცა ორ ქვეყანას შორის მანძილი 1 %-ით იზრდება, საერთაშორისო ვაჭრობა 1.1 %-ით კლებულობს. მეორეს მხრივ, ვაჭრობა 80 %-ით მატულობს იმ ქვეყნებს შორის, რომელთაც საერთო საზღვარი აქვთ, 200 %-ით როცა ენა საერთოა (მაგალითად ინგლისური ენა კანადასა და აშშ-ს შორის ან რუსული ენა პოსტსაბჭოურ რესპუბლიკებს შორის) და 340 %-ით, როცა ვალუტაა საერთო (მაგალითად ევრო ევროკავშირის იმ 18 ქვეყნისთვის, რომლებმაც მიიღეს ევრო). რეგიონალური სავაჭრო შეთანხმების გასაფორმებლად კიდევ ერთი სტიმული გეოგრაფიულად ახლოს მდებარე ქვეყნებისთვის ის არის, რომ ვაჭრობა სავაჭრო ბლოკის წევრებს შორის გაიზრდება 330 %-ით, ვიდრე მათ შორის ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში [2, გვ.3-11].

გეოგრაფიულად ახლოს მდებარე ქვეყნების საფუძ-

ველზე ჩამოყალიბებული რეგიონული სავაჭრო შეთანხმების სიკეთეების მიუხედავად, სამწუხაროდ, რუსეთი ვერ იქცა საქართველოს საიმედო სავაჭრო პარტნიორად, რადგან მის დამოკიდებულებაში პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ტრადიციულად პოლიტიკური მოტივი დომინირებს, რისი ნათელი დადასტურებაა 2006 წელს საქართველოს წინააღმდეგ ემბარგოს შემოღება (13, გვ. 45) და 1994 წელს საქართველოსთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების 2014 წლის 31 ივლისში გაუქმება.

აქსიომატურია, რომ ადამიანებსა თუ ქვეყნებს ყველაზე მძლავრად ადუღაბებს საერთო ეკონომიკური ინტერესები, მაგრამ რატომღაც ევროპასაც საქართველო უფრო პოლიტიკურად აინტერესებს, ვიდრე ეკონომიკურად და ის ამას არც მალავს: "ევროკავშირი შეთანხმებას დებს საქართველოსთან, რადგან მიაჩნია, რომ საქართველო ადგას ევროპულ გზას და მისი სურვილი ევროპული მართვის მოდელის დამკვიდრებაა. საქართველო ევროკავშირისთვის პოლიტიკურად მნიშვნელოვანი პარტნიორია, თუმცა, ეკონომიკურად ნაკლებ მნიშვნელოვანი. სწორედ ამიტომ ამბობს დამოუკიდებელი კვლევა, რომ შეთანხმების საერთო გავლენა ევროკავშირზე – საქართველოს სიდიდისა და დანარჩენ მსოფლიოსთან ევროკავშირის ვაჭრობაში საქართველოს წილის (0.1%) გათვალისწინებით – უმნიშვნელო იქნება. ამის საპირისპიროდ მოსალოდნელია, რომ ყოველწლიურად საქართველო დამატებითი შემოსავლის სახით თითქმის 300 მლნ ევროს, ანუ მშპ-ს 4.3% მიიღებს, თუკი რეფორმები განხორციელდება. ასე რომ, საქართველოს მიერ შეთანხმებიდან მიღებული სარგებელი რეფორმების პროცესზეა დამოკიდებული." [7, გვ. 3]. გამოდის, რომ სამამულო ეკონომიკის განვითარების მოძრაობა და ლოგიკა ყოველთვის არ არის განპირობებული მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორებით. ეს კი, ჩემი აზრით, საქართველოს ეკონომიკურ პერსპექტივას ნაკლებ ოპტიმისტურსა და პოზი-

ტიურს ხდის.

ცხადია, სტაბილური, უსაფრთხო და 28 ქვეყნისაგან შემდგარი 500 მილიონიანი და მაღალი მყიდველობითუნარიანი (რეალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე - 32000 აშშ დოლარი) ევროკავშირის ბაზარი უფრო მიმზიდველია, ვიდრე სამი ქვეყნისაგან შემდგარი 170 მილიონიანი და შედარებით დაბალი მყიდველობითუნარიანი (რეალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე-დაახლოებით - 16000 აშშ დოლარი) ევრაზიური საბაჟო კავშირი, სადაც ხშირია ეკონომიკის პოლიტიკური მიზნით გამოყენების ფაქტები. დიახ, ევროკავშირის ბაზარი ერთობ მიმზიდველია, მაგრამ ამავდროულად მაღალი მომთხოვნიც. სწორედ ამიტომ, საქართველოს სავაჭრო კავშირები ამ ბიზნეს-სამყაროსათან უნდა გაღრმავდეს და გაფართოვდეს იმ ზომით, რა ზომითაც გაიზრდება საქართველოს პროდუქციის კონურენტუნარიანობა - ხარისხი, უვნებლობა, უსაფრთხოება და კანონმდებლობა, სახელმწიფო აკრედიტაციის სისტემა, ინფრასტრუქტურა და ადგილობრივი კადრების კვალიფიკაცია დაუახლოვდება ევროპულს. გონიერ და ფხიზელ ევროპელ ბიზნესმენს ვერ შეიყვან შეცდომაში დაპირებებით, განსაკუთრებული და შეღავათიანი პირობებით, რომლითაც იგი ისარგებლებს პრივილიგირებული წესით. ის დაიჯერებს და ენდობა მხოლოდ იმ პირობებს, რომელიც ვრცელდება მთელს ქვეყანაში.

რაც შეეხება უარყოფით მხარეს, გრძელვადიან პერიოდში ყველაზე ცუდი, რაც შესაძლებელია მოჰყვეს დსთ-ან მჭიდრო ეკონომიკური კავშირების შენარჩუნებას (რასაკვირველია, იმ შემთვევაში თუ არ ამადლდება ამ სივრცეში პროდუქციის სტანდარტები და თუ კვლავ მოხდება ეკონომიკის პოლიტიზაცია!), არის საქონლის დაბალი ხარისხი. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დსთ-ს ბაზრების დაბალი მომთხოვნელობა საქონლის ხარისხისადმი სამამულო საწარმოებს უბიძგებს მაგრად ჩაებლაუჭონ ამ ბაზრებს,

ვინაიდან იქ შედარებით იოლია პროდუქციის გასაღება, ვიდრე ევროკავშირისა თუ სხვა განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე.

ყველა ნორმალური, სადად და სტრატეგიულად მოზროვნე ხელისუფლება საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ქვეყნობრივ და პროდუქტიულ დივერსიფიკაციას ახდენს, ბაზარზე გასვლის ახალ-ახალ, მოკლე, უსაფრთხო და ეკონომიურ გზებს ეძებს, ანუ ახორციელებს დაახლოების და არა გაუცხოების პოლიტიკას. ქვეყნისთვის ერთი და ორი საგარეო ბაზარი 25%-ზე მეტი წილით დივერსიფიკაციას არ ნიშნავს. რაც მარავეფეროვანია, დივერსიფიცირებულია ბაზარი, მით მცირეა რისკები და მით მაღალია გრძელვადიანი წარმატებების შესაძლებლობა და პირიქით. მაგალითად, უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქვეყნების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ სწრაფად მზარდ ქვეყნებს, სადაც როგორც მოსახლეობა, ასევე ეკონომიკა იზრდება, უმეტესად აზიის სახელმწიფოები მიეკუთვნებიან. ესაა: სამხრეთ კორეა, სინგაპური, ტაილანდი, იაპონია, ჩინეთი, ინდონეზია [3, გვ.9]. საყურადღებოა, თუ რა საერთო მახასიათებლები ჰქონდა ამ ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას. ზემოთ ჩამოთვლილი სწრაფად მზარდი ქვეყნების მთავარი საერთო თავისებურება წარმოების დივერსიფიკაციის მაღალი მაჩვენებელია. პაულ რომერს, რომელმაც ენდოგენური ეკონომიკური ზრდის მიმართულებას ჩაუყარა საფუძველი, ეკონომიკური ზრდის ამ ფუნდამენტალური პრინციპის პოპულარულ ენაზე საილუსტრაციოდ დიასახლისის მაგალითი მოჰყავს, რომელსაც სადილის ხარისხის მუდმივად გასაზრდელად ერთი კერძის დასახვეწად ძალიან დიდი ძალისხმევა სჭირდება (მუდმივად უნდა ზარდოს პროფესიონალიზმი, სამზარეულოს აღჭურვილობაზე დანახარჯები და შეიძინოს უკეთესი ხარისხის, უფრო ძვირი პროდუქტები), მაშინ როდესაც გაცილებით იოლია სხვა კერძის მომზადება და მრავალ-

ვეროვნების ხარჯზე სადილის ხარისხის გაზრდა. მართლაც, სამხრეთ კორეას რომ არ აერჩია დივერსიფიცირების გზა და ტრადიციულ კონკურენტულ უპირატესობას გაჰყოლოდა, დღეს ის კვლავ ბრინჯის მწარმოებელი ქვეყანა იქნებოდა და არა მსოფლიო ლიდერი ავტომობილების, ელექტროტექნიკისა და ე.წ. „სმარტფონების“ წარმოებაში [11, გვ.20-21]. მაშასადამე, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების რატიფიკაციის შემდეგ საქართველოში შესაძლოა წარმოების სრულიად ახალი დარგები აღმოცენდეს და განვითარდეს.

დიახ, საქართველოს მცირე საექსპორტო ბაზრის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება უფრო ახალი საექსპორტო პროდუქციის შექმნას შეუწყობს ხელს, ვიდრე არსებულის გაფართოებას. ეს ვარაუდი განსაკუთრებით მართლდება, როდესაც არსებული საექსპორტო კალათა თითქმის არანაირ გადაამუშავებულ პროდუქტს არ შეიცავს. ჯერჯერობით საქართველოს მრეწველობის რამდენიმე სექტორი შრომის საერთაშორისო დანაწილების მიღმაა. საექსპორტო პოტენციალი კვლავ გამოუყენებელია. რეალური ეკონომიკური ზრდის არსებითი მატება, სავარაუდოდ, საქართველოს საექსპორტო კალათის მნიშვნელოვან სტრუქტურულ ცვლილებებს დაემთხვევა. ამიტომ, ექსპორტის ხელშეწყობის პოლიტიკის მიზანი იმავე პროდუქტის მოცულობის გაზრდა კი არ უნდა იყოს, არამედ იმ ახალი საექსპორტო პროდუქტების აღმოჩენა და გამოყენება, რომელთა კონკურენტული წარმოება შესაძლებელია შედარებით დაბალი სავაჭრო ბარიერებისა და ბაზრის განვითარების ხელშემწყობი ადგილობრივი პოლიტიკის განხორციელებით. [10, გვ.79].

საქართველოს საექსპორტო პროდუქციაში რესურსების უპირატესი წილი მართლაც იმას მოწმობს, რომ ქვეყნის გადამამუშავებელი მრეწველობა ჯერ კიდევ ვერ ჩაწნულა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. ეს უდავოდ პრობ-

ლემბა, მაგრამ, ამავდროულად, ექსპორტის ზრდის ერთგავრი ახალი შესაძლებლობა და რეზერვი. საქართველოში სამრეწველო ინდუსტრიას შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს ისეთი ეკონომიკის ჩამოყალიბებაში, რომელიც “სასტუმროებისა და რესტორნების” ეკონომიკაზე დიდად უფრო მნიშვნელოვანი იქნება. მრეწველობის აღორძინების გარეშე, საქართველოს გაუჭირდება ყველაზე კვალიფიციური მოქალაქეების შენარჩუნება. თუ საქართველო უგულებელყოფს მრეწველობის ფაქტორს და “სასტუმროებისა და რესტორნების” ეკონომიკად დარჩება, რატომ უნდა შეიწუხონ თავი საქართველოს ახალგაზრდებმა საზღვარგარეთ სწავლით, რომელიც საკმაოდ რთული და ძვირია? ან რატომ უნდა დარჩნენ ისინი საქართველოში, სადაც ცოდნისა და ნიჭის გამოყენების საშუალება არ მიეცემათ? ან საერთოდ რატომ უნდა მომზადდეს ბიზნესის მართვის სპეცილისტები? (12, გვ.52).

ახალი, ქართული ბაზრის გახსნასთან დაკავშირებით ევროპულ კომპანიებს აქვთ ალტერნატივა: ან გაზარდონ მზა პროდუქციის ექსპორტი და ინვესტიციები ლოგისტიკაში, ან გააფართოონ კაპიტალის ექსპორტი საქართველოში, მოაწიყონ აქ საკუთარი თუ ერთობლივი საწარმოები. მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, ქვეყანა ეკონომიკურ ინტეგრაციას იწყებს ექსპორტ-იმპორტით და არა ინვესტიციებით. ამიტომ, საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის გარდამავალ ეტაპზე (ანუ ღრმა და ყოვლის მომცველი სავაჭრო რეჟიმის პირობებში) ევროპული პარტნიორი საწარმოები აქ, ალბათ, გააფართოებენ, პირველ რიგში, საქონლის ექსპორტს და არა ინვესტიციებს და ტექნოლოგიებს. ასევე, ზედმეტად არ უნდა იქნეს შეფასებული ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მნიშვნელობა. „ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცე“ ქართველ მეწარმეებს დიდ შესაძლებლობებს სთავაზობს,

თუმცა, შეთანხმების ხელმოწერისთანავე ანუ მოკლევადიან პერიოდში ექსპორტის მაღალი მაჩვენებელი ვერ დაფიქსირდება, რადგან ქართული საექსპორტო პროდუქციისათვის უტარიფო დაშვება არ წარმოადგენს ძირითად ბარიერს. პროდუქციის ხარისხთან ერთად სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემაც გარანტირებული უნდა იყოს. მხოლოდ სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემის ამოქმედების შემდეგ არის შესაძლებელი, რომ ევროკავშირმა მაღალი რისკის შემცველ პროდუქტებზე (ხორცპროდუქტები, რძის პროდუქტები, თაფლი) საქართველოდან ექსპორტი დაუშვას. მეწარმემ უნდა უზრუნველყოს, რომ პროდუქციის ხარისხი ევროკავშირის მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს. სპეციალური მომზადება სჭირდებათ სახელმწიფო ორგანოებსაც. მაგალითად, სურსათის უვნებლობის სააგენტო უნდა იყოს იმ დონეზე, რომ მან შესაბამისი ინსპექტირების ჩატარება შეძლოს. როდესაც ქვეყანა განაცხადებს მზადყოფნას და იტყვის, რომ მაგ. ხორცპროდუქტების წარმოების სისტემა ევროკავშირის სტანდარტებს შეესაბამება, მაშინ ჩამოვა მისია და ამ სისტემას შეამოწმებს [9, გვ.1]. გარადაამავალი პერიოდის გასვლის შემდეგ ევროპული ხარისხის მოთხოვნები სავალდებულო გახდება როგორც ექსპორტიორებისთვის, ისე ადგილობრივი ბაზრის რეალიზატორებისთვის.

საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში მოსალოდნელია, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება გაზრდის სამამულო და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ხელს შეუწყობს ახალი კომპანიების შექმნას და ეკონომიკის რამდენიმე სექტორის მოდერნიზებას რეფორმების საშუალებით, რაშიც საქართველოს ევროკავშირიც დაეხმარება. ინვეტიციების მოსალოდნელი ზრდის ხარჯზე შეიქმნება სამუშაო ადგილები, რაც დადებითად აისახება ხელფასების ზრდაზე. ჰარმონიზებული წესების შემუშავება მოქალაქეებისა და ბიზნესისთვის მეტად გამჭ-



ვირვალე გახდება და უფრო მეტი შესაძლებლობა ექნებათ, მიიღონ შეთანხმების განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაცია საქართველოს მთავრობიდან.

სამართლიანობიდან გამომდინარე, ასოცირების შეთანხმება გარკვეულწილად არათანაბარ პირობებაში აყენებს მხარეებს. მაგალითად, შეთანხმების თანახმად, 28 სატარიფო ხაზზე (ხილი, ბოსტნეული, ყურძენი ანუ რაც საქართველოსთვის სტრატეგიულია) იმოქმედებს ევროკავშირში „შესვლის ფასი“ - Entry Price, ანუ იმპორტის ფიქსირებული ფასი. ეს ნიშნავს, რომ თუ საქართველოში შექმნილი პროდუქციის გასაყიდი ფასი (საინვოისო ფასი) ევროკავშირის დადგენილ ფიქსირებულ ფასზე დაბალი იქნება, იმპორტიორს ამ ფასთან სხვაობის დაფარვა მოუწევს, ხოლო თუ გასაყიდი ფასი ევროკავშირის „ფასის“ ტოლი ან მასზე მეტი იქნება, პროდუქცია საბაჟო გადასახადისგან სრულად გათავისუფლდება. ევროკავშირიდან საქართველოში კი ძირითადი 28 პროდუქტი შემოვა დაუბეგრავად.

დაბოლოს, ფართოდ მოარული კითხვა - რატომ არა აქვს რუსეთს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე საქართველოს ხელმოწერასთან დაკავშირებით ისეთივე რეაქცია, როგორც უკრაინის შემთხვევაში? იმიტომ, რომ საქართველოსთვის ამ შეთანხმებაში არ არის ისეთი კაბალური პირობები, როგორც უკრაინის შემთხვევაში: **1) საქართველოს მრეწველობა ისეთ მჭიდრო კავშირში არ არის რუსეთის სამხედრო სამრეწველო კომპლექსთან, როგორც უკრაინისა;** **2) რუსი მოსახლეობა ისე დიდი მოცულობით და კომპაქტურად არ არის დასახლებული საქართველოში, როგორც ეს არის უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში;** **3) უკრაინისაგან განსხვავებით საქართველო ეკონომიკურად ნაკლებად არის დამოკიდებული რუსეთზე, ხოლო ენერგეტიკულად - თითქმის არა არის დამოკიდებული.**

მთლიანობაში, სამამულო ეკონომიკისთვის ევროპ-

ული ინტეგრაციის ვექტორის პოტენციური სარგებელი ძალიან მიმზიდველია, თუმცა, საფრთხეც ბევრია. ამ მიმართულებით წარმატების მიღწევა დიდადაა დამოკიდებული ქვეყნის ხელმძღვანელობის, სამამულო მეწარმეთა ფენისა და ევროკავშირის ერთობლივ ძალისხმევასა და მათ კოორდინირებულ მოქმედებაზე. თუმცა, მთავარი მაინც ქვეყნის ხელმძღვანელობის პოლიტიკური ნებაა ეს მოძრაობა მიიყვანოს ევროკავშირთან სრულფასოვან ინტეგრაციამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ საქართველო დარჩება მხოლოდ ასოციაციისა და თავისუფალი ვაჭრობის ზონის ეტაპზე, იგი დაკარგავს ჩრდილოეთის ვექტორის შესაძლებლობებს და ამავედროულად ვერ მიიღებს საგრძნობ დივიდენდებს დასავლეთის მიმართულებითაც. საქართველო დარჩება ცივილიზებული ევროპის სანედლეულო და მდარე ხარისხის საქონლის გასაღების ერთგავრ დანამატად, გარკვეულწილად დაკარგავს სუვერენულობას, რადგანაც რიგ საკითხებში (როგორცაა კანონმდებლობის ჰარმონიზება, ტექნიკური რეგლამენტაციების შემუშავება, საერთაშორისო აკრედიტაცია და მისი დაცვა, წარმოებული პროდუქციის მიერ ეკოლოგიური, ფიტოსანიტარული მოთხოვნების დაცვა და სხვა), მართვას დაექვემდებარება ბრიუსელიდან.

## **Georgian activities of foreign economic orientation**

**U. Samadashvili**

The paper describes the current poor state of the economy Georgia, is justified in the circumstances outlined in his speech, and the necessity of realizing the objective of economic growth the role highlights its role in the implementation of foreign economic orientation of the vector.

It is emphasized that the country's trade with the outside world

- the only way economic relations, be it the EU Customs Union and Eurasia, it is a road to nowhere! That is why the voluntary, mutually beneficial and balanced integration should not only these two sides, but also around the world.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Bela Balassa, The Theory of Economic Integration (Homewood, IL: Richard D. Irwin, 1961);
2. Panjak Ghemawat, "Distance Still Matters: The Hard Reality of Global Expansion," Harvard Business Review (September 2011);
3. (International Monetary Fund, 2013);
4. Экономика. Под редакцией профессора А.С. Булатова. М., 2005г. стр.63;
5. А. Пылин. Экономика постсоветской Грузии: тенденции и проблемы (окончание). Российский экономический журнал 2 / 2013;
6. Интеграция в ЕС: опыт Польши и вызовы для Украины. «Зеркало недели. Украина» №35, 27 сентября 2013;
7. ევროკავშირი და საქართველო: მითები და რეალობა. [www.netgazeti.g](http://www.netgazeti.g);
8. ი. არჩვაძე. სტატისტიკური შოკი. კვირის პალიტრა. 16 აპრილი. 2014წ.;
9. მ.გაბუნია. [www.Eugeorgia. Info.](http://www.Eugeorgia.Info) ;
10. ვ. ვინსენტუზი. სავაჭრო პოლიტიკა და საქართველოს ექსპორტი. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. 2006წ. ოქტომბერი გვ.79;
11. ოთარ ნადარაია, ოთარ გორგოძე, დავით უტიაშვილი, ნინო შარუმაშვილი. ეკონომიკური ზრდა და სტრუქტურული ტრანსფორმაცია. ჟურნ. ეკონომიკა და საბანკო საქმე. 2013წ. ტომი 1, №2. გვ. 20-21;

12. საქართველოს ეკონომიკის ტენდენციები. 2007წ. იანვარი, გვ.52;
13. გ. ლაღანიძე. საქართველოს ეკონომიკის ექსპორტზე ორიენტაციის პერსპექტივები. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. 2007წ. ოქტომბერი;
14. უ. სამადაშვილი. ბიზნესის საფუძვლები. თბ., "უნივერსალი"; 2013, გვ.430;
15. "რია-ანალიტიკის" სარეიტინგო მონაცემები. <http://resonancedaily.com>

**კონსტიტუციის სწორად გაგება  
სავალდებულოა, უპირველეს ყოვ-  
ლისა, მიწის საკითხში**

**პაატა კოლუაშვილი**  
**საქართველოს ტექნიკური**  
**უნივერსიტეტის პროფესორი,**  
**გაურ ჭინჯოლავა**  
**თბილისის უნივერსიტეტის –**  
**„გორგასალი“ პროფესორი,**  
**ანა შირსხალაშვილი**  
**პროფესორი**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის 26 ივნისს (გადაწყვეტილება №3/1/5/512), გააუქმა (ძალადაკარგულად ცნო) უამისოდაც უადრესად არასრულყოფილი, სახელდობრ, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა უგულებელმყოფელი “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში გათვალისწინებული შეზღუდვები უცხოელთა მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვასა და საკუთრებაში ქონაზე. ამით, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწა – ქართველი ერისა და საქართველოს ყველა მოქალაქის და მათი შთამომავლობის სასიცოცხლო ბაზა – გატანილი აღმოჩნდა ღია ბაზარზე, სადაც, დღესდღეობით, პრაქტიკულად თითქმის არც ერთი კონკურენტუნარიანი საქართველოს მოქალაქე არ არსებობს, საქართველოს მიწის მითვისების აუარებელ უცხოელ მსურველთან შედარებით. ამ ოპერაციის მიზანი და მოტივაცია, ხელისუფალთა ანგარების პარადელურად, სხვა არა იყო რა და სხვა ვერა იქნება რა, თუ არა საქართველოს დემოგრაფიული დექართველიზაცია და მისი მიწა-წყლის ათვისება ახალი, გარედან მოყვანილი ან იმიგრირებული მოსახლეობის მიერ. ეს შეუნიღბავად ანტი-

სახელმწიფოებრივი მანევრი თავისი განხორციელების ფორმით (სახელდობრ, არგუმენტაციის სიმულაციით, რომელიც იურისპრუდენციისა და ზოგადად ჰუმანიტარული ცოდნის სფეროში მიღებული მეცნიერული ტერმინოლოგიით ოპერირებს), ემყარება, ერთი მხრივ, სრულ არაინფორმირებულობას ამ სფეროებში, მეორე მხრივ კი, ასევე სრულ უცოდინარობას ან უცოდინრობის სიმულაციას – იმ მოვალეობათა და ვალდებულებათა თაობაზე, რაც აქვს სახელმწიფოს ადმინისტრაციას თავისი ქვეყნის წინაშე და არჩეულ ხელისუფლებას – ამომრჩეველთა წინაშე. ამ უმეცრების დასამტკიცებლად ქვემოთ წარმოვიდგენთ არგუმენტაციას, რაც საკმარისია, რათა მხილებულ იქნეს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ აქტის მიზანმიმართულად ანტისახელმწიფოებრივი, პროფესიულად (დარგობრივად) არაკომპეტენტური, დანაშაულებრივად დესტრუქციული ხასიათი.

საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილების 42-ე პუნქტში მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავი, რომელიც საქართველოს მოქალაქეობასა და ადამიანის ძირითად უფლება-თავისუფლებას ეხება, უფლებათა სუბიექტების განსაზღვრისას სხვადასხვა ტერმინოლოგიას იყენებს. კონსტიტუციის შესაბამის ნორმებში ვხვდებით შემდეგ ტერმინებს: „ადამიანი“, „ყველა“, „ყველა ადამიანი“, „ყოველი ადამიანი“, „მოქალაქე“, „საქართველოს მოქალაქეები“, „საქართველოს ყოველი მოქალაქე“, რითაც კონსტიტუცია მიჯნავს უფლებებს, რომელთა სუბიექტიც მხოლოდ საქართველოს მოქალაქეა, უფლებებისაგან, რომლებიც უნივერსალური ბუნებისაა და „ყველაზე“ ვრცელდება. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება უნივერსალურია და იგი ეკუთვნის ყველას.

ეს მსჯელობა მცდარია. ჯერ ერთი, ზემოთ ჩამოთვლილი ტერმინები იხმარება თითქმის ყველა მუხლში, რომელიც შეეხება ადამიანის ძირითად უფლება-თავისუფლებას, მა-

გრამ არა ყველაში. არის გამონაკლისი: 34 მუხლიდან სამი მუხლია, სადაც არც ერთი ეს ტერმინი არ არის გამოყენებული. ასეთ გამონაკლისს მიეკუთვნება სწორედ 21-ე მუხლიც. უნდა დავეთანხმოთ სასამართლოს იმაში, რომ ის მუხლები, სადაც ნახმარია ტერმინები - „ადამიანი“, „ყველა“, „ყველა ადამიანი“, „ყოველი ადამიანი“, „მოქალაქე“, ეს უფლება ეკუთვნის ყველას და კონსტიტუციური ნორმა არ განსაზღვრავს უფლების სუბიექტთა ექსკლუზიურ წრეს, მათ შორის – მოქალაქეობრივი ნიშნითაც. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ტერმინები არ იხმარება 21-ე მუხლის მიმართ. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს უფლება ვრცელდება პირველ რიგში მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე, ხოლო გავრცელდეს თუ არა იგი უცხოელებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე, ეს კანონმდებელმა კონსტიტუციური ნორმით არ გადაწყვიტა, რომელიც ამაზე დუმს. კანონმდებელმა უფლება დაიტოვა, სახელმწიფოს საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ამ უფლების „ყველაზე“ გავრცელების საკითხი გადაწყვიტოს არა კონსტიტუციური ნორმით, არამედ ორგანული ან მიმდინარე კანონმდებლობით. თვითონ საკონსტიტუციო სასამართლო (ვიმეორებთ კონსტიტუცია ამაზე დუმს) გადაწყვეტილების 68-ე პუნქტით იძულებულია აღიაროს, რომ სახელმწიფოს გააჩნია სუვერენიტეტი საკუთარ ტერიტორიაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ სამართლებრივ სივრცეს, მათ შორის საკუთრების უფლების შინაარსს და ფარგლებს, თვითონ განსაზღვრავს.

მეორე, თუნდაც დაგუშვათ, რომ ეს უფლება უნივერსალური ბუნებისაა და იგი „ყველაზე“ ვრცელდება, სადავო ნორმა არ არის არაკონსტიტუციური, რადგან ეს გამონაკლისი დაშვებულია, სახელდობრ, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების გამო:

1. საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილების 97-ე მუხლში, იშველიებს რა კონსტიტუციის მე14 მუხლს, სადაც ნათქვამია, რომ „ყველა ადამიანი დაბადებით თავი-

სუფალია და კანონის წინაშე თანასწორია...“ ასკვნის, რომ კონკრეტული კონსტიტუციური უფლების დაცვის, უფლებით სარგებლობის ხარისხი საქართველოში მცხოვრები უცხოელისა და საქართველოს მოქალაქისათვის ერთნაირია. თანაც, ამ დებულებას ამაგრებს კონსტიტუციის 47-ე მუხლით (ეს დასკვნა იურიდიული ნონსენსია. კანონის წინაშე თანასწორობა ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ერთსა და იმავე იურიდიულ სიტუაციაში კანონი პეტრესა და პავლეს ერთნაირად ეპყრობა, და არა იმას, რომ მათ ერთნაირად ეპყრობა სხვადასხვა სიტუაციაში. მაგალითად, პეტრეს უფლებები უანდერძოდ გარდაცვლილი მამის სახლის მიმართ ვერ იქნება იგივე, რაც პავლესი ამავე სახლის მიმართ, და პირიქით. მოქალაქეობაც სიტუაციის ელემენტია და არა პიროვნებათა პრინციპული თანასწორობა-უთანასწორობისა. ეს დასკვნა ისეთივე აბსურდულია, როგორიც მოთხოვნა: რატომ მიგყავარ ჯარში და არ მიგყავს ჩემი მეზობელი უცხო მოქალაქე? სადაა ჩვენი თანასწორობა?).

უნდა ითქვას, რომ კანონის წინაშე იურიდიული თანასწორობა არ ნიშნავს ფაქტობრივ თანასწორობას. კონსტიტუცია განამტკიცებს მხოლოდ იურიდიული თანასწორობის უფლებას. სახელმწიფოს მიზანი არ შეიძლება იყოს არსებულ ფაქტობრივ განსხვავებათა ტოტალური გათანაბრება, რაც უტოპიაა და რაც არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს გონივრული მიზანი. კონსტიტუციის მე14 მუხლის თანახმად, თანასწორობის სუბიექტია „ყველა“ ადამიანი, მაგრამ ეს მუხლი არ ეხება უცხოელების განსაკუთრებულ სტატუსს. უცხოელებისათვის დადგენილი ფაქტობრივი და, რაც მთავარია, სამართლებრივი შეზღუდვები არ ეწინააღმდეგება თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს. ამასთანავე, თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ ორი ან მეტი ურთიერთობა შეიძლება განვიხილოთ თანასწორად ან უთანასწორად თუ ეს ურთიერთობები არის მსგავსი და ამგვარად იძლევა შედარების საშუალებას. ერთმანეთს შეი-



ძლება შევადაროთ მხოლოდ მსგავსი ურთიერთობები და არა ყველა. **აშშ-ის უზენაესი სასამართლოს განმარტებით, თანასწორად შეიძლება იქნენ განხილულნი ის ადამიანები, რომლებიც იმყოფებიან მსგავს ვითარებაში.** ბუნებრივია, რომ საქართველოს მოქალაქეები და უცხოელები და ასევე მოქალაქეობის არმქონე პირები არ იმყოფებიან თანაბარ მდგომარეობაში. კონსტიტუციის 27-ე მუხლით, უცხოელებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, სახელმწიფოს შეუძლია დაუწესოს პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა, ხოლო 47-ე მუხლის ძალით, კონსტიტუციითა და კანონით, როგორც გამონაკლისი, შეუძლია შეუზღუდოს ნებისმიერი უფლება.

2.უსუსურია სასამართლოს მსჯელობა საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლთან დაკავშირებით. სახელმწიფოს აზრით, აღნიშნული ნორმა კონსტიტუციური უფლებების მოქმედებას ავრცელებს და ადგენს გარანტიას, რომ კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებული კონსტიტუციური უფლებები საქართველოში მცხოვრებ უცხოელებზე ვრცელდება საქართველოს მოქალაქეების თანაბრად, გარდა კონსტიტუციით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. მოსამართლეებს რატომღაც „დაავიწყდათ“, რომ ამ გამონაკლისის გათვალისწინება შეიძლება არა მარტო კონსტიტუციით, არამედ კანონითაც. ჩვენს შემთხვევაში სწორედ კანონით შეიზღუდა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა გარკვეული უფლებები. კონსტიტუციის 47-ე მუხლი ადგენს არა ზოგადი ხასიათის თანასწორობას, თუმცა, უცხო ქვეყნის მოქალაქესა და მოქალაქეობის არმქონე პირს უფლებრივად უთანაბრებს საქართველოს მოქალაქეს, მაგრამ იტოვებს უფლებას დაადგინოს განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების მიმართ საქართველოს მოქალაქეებთან მიმართებით. ამასთანავე, ამ განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმის დადგენა შესაძლებელია როგორც კონსტიტუციით, ისევე კანონითაც. ეს კარგად იცინა საკონსტიტუციო სა-

სამართლოს მოსამართლეებმა და ამიტომ დაასკვნეს, რომ სადავო ნორმები არ არის შეთავსებადი კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველ პუნქტთან და საქმის განხილვა იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა სადავო ნორმებით კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველ პუნქტის დარღვევის საკითხს, შეწყვიტეს.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული სამართლებრივად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება ეჭვს ბადებს იმის თაობაზე, რომ, სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლოც, როგორც ეს საერთო სასამართლოებში ხდებოდა, გადაწყვეტილებებს იღებდა ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის მითითებითა და კარნახით.

საქართველოს ახლადარჩეული პარლამენტი (2012, 01.10) ვერ მიიღებდა იგივე შინაარსის გადაწყვეტილებას, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა. კანონმდებლობის შემუშავებისათვის პარლამენტმა (2013 წლის 26 ივნისი) უცხოელეებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება დროებით შეაჩერა. ფაქტობრივად, კანონმდებელმა დრო ითხოვა ახალი (და არა იგივე) რეგულაციის შესაქმნელად. ამასთან, მთავრობას ექვსი თვის ვადაში (2014 წლის 31.12-მდე) უნდა უზრუნველყოს:

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის მიზნით;

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო რეგულირების განსაზღვრა;

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან დაკავშირებული ურთიერთობების საჯარო სამართლებრივი მოწესრიგება;

- საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კადასტრისა და მიწათმოქმედების ერთიანი სისტემის ორგანიზება სასოფლო-სამეურნეო

მიწის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემების სრულყოფის მიზნით.

სამწუხაროდ, დღეისთვის ამ გადაწყვეტილების თითქმის არცერთი პუნქტი არ არის შესრულებული, რადგან ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო მიწის ფაქტობრივი მდგომარეობა გასული ხელისუფლების წყალობით, „სამაგალითოდ“ იყო აღწერილი (2004 წლიდან საქართველოში შეწყდა ყველაზე ძვირფასი ბუნებრივი სიმდიდრის – მიწის ერთიანი ბალანსის, ანუ მიწის აღრიცხვის და კონტროლის, შედგენისა და დამუშავების აპრობირებული პრაქტიკა), ახალი საკანონმდებლო რეგულაციის შემუშავების საშუალება საკონსტიტუციო სასამართლომ პარლამენტს არ მისცა.

2014 წლის 24 ივნისს კი საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მის მიერ 2012 წელს გაუქმებული ნორმისა და პარლამენტის მიერ კვლავ მიღებული ახალი ნორმის შინაარსი იდენტური იყო, ერთსა და იმავე მიზანს ემსახურებოდა და შესაბამისად, არსებითი განხილვის გარეშე, განჩინებით, არაკონსტიტუციურად ცნო და ძალადაკარგულად გამოაცხადა სადავო მორატორიუმი.

საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება, რომელიც მორატორიუმის შინაარსისა და მის მიერ 2012 წელს გაუქმებული ძირითადი აკრძალვის შინაარსებრივ იდენტურობას ადგენს, სამართლებრივად სრული ნონსენსია. სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი: პირველი, გასხვისების აკრძალვის მიზანი მოცემულ საქმეებში ცალსახად სხვადასხვა იყო. თუ პირველ დავაში სახელმწიფო უკრძალავდა უცხოელებს სასოფლო-სამეურნეო მიწის ფლობას ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური ინტერესიდან გამომდინარე, მეორე სადავო ნორმის მიზანი მხოლოდ ახალი საკანონმდებლო რეგულაციის შექმნა იყო, რომელიც თვის მხრივ უზრუნველყოფდა მიწის კადასტრისა და მიწათმოწყობის ერთიანი სისტემის ორგანიზებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. და მეორე, სასამართ-

ლოს შეუძლებელია ვერ დაენახა „ხანგრძლივობის“ განსხვავება უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ მიწის ფლობის სამუდამოდ აკრძალვასა და მის მხოლოდ დროებით შეჩერებას შორის. შესაბამისად, არა მხოლოდ მიზანია სხვადასხვა ამორი ნორმისა, არამედ მათი მოქმედების ხანგრძლივობაც.

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის ზედმიწევნით კარგადაა ცნობილი, რომ თუ კანონმდებელმა უმოკლეს ვადაში ვერ მიიღო ახალი რეგულაცია, ამას გამოუსწორებელი სამართლებრივი შედეგი შეიძლება მოჰყვეს (სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური უსაფრთხოების ზომების გარეშე საქართველო სახელმწიფოებრიობის დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგება).

მსოფლიო დემოკრატიული ქვეყნების პრაქტიკაში **განუყოფლად გაბატონებულია** მოცემული ქვეყნის მიწის უცხოელებზე გაყიდვის შემზღუდავი ნორმების გამოყენება – ზოგჯერ სრული აკრძალვაც. ამავე დროს, არც ერთ თანამედროვე ქვეყანაში, მიწაზე საკუთრება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას (გამოყენების და ბოროტად გამოყენების უფლება), არამედ ის რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტით. აშშ-ში, რომელიც დანარჩენ მსოფლიოსთან ყველაზე ახლო კონტაქტში მყოფი ქვეყანაა, მიწის 1%-ზე ნაკლები ეკუთვნის უცხოელებს.

მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და „ამოწურვადი“ (შეზღუდული) რესურსი. თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებით აქტუალურია საკითხი მიწის ფასის შესახებ. მოსახლეობის ზრდასა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად მცირდება დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის სავარგულები და აქედან, გამომდინარე, იწურება რესურსიც. ამიტომაც მიწის განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება უცხოელებზე ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებსა და საზოგადოებრივ ინტერესთან შეუთავსებელია.

სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება ყოველთვის

უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პროცესი. რადგან **მიწა არის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული ფასეულობა** (ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის კანონის კონსტიტუციურობის შესახებ).

**შვეიცარიის** ფედერალური კანონი უცხოელთა მიერ მიწის შეძენის შესახებ პირველი მუხლით ადგენს ამ კანონის მიზანს: **„უცხოეთში მცხოვრებთა მიერ შვეიცარიის მიწის შეძენის შეზღუდვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული შვეიცარული მიწის „გაუცხოება“.**

უცხოელების მიერ **შვეიცარიაში** მიწის შეძენა დაშვებულია, თუმცა, მხოლოდ ნებართვის აღების პირობით. ამ კანონით შეზღუდვები ძირითადად იმ პირებზე წესდება, რომლებიც უცხოეთში ცხოვრობენ და არა იმ უცხოელებზე, რომლებიც შვეიცარიაში კანონიერად ცხოვრობენ.

საინტერესოა, რომ კანონის მე-5 მუხლის „ც“ პუნქტით გამოყოფილი არიან უცხოეთში მცხოვრები ის პირები, რომლებსაც ამა თუ იმ ქვეყანაში „განსაკუთრებით კარგი“ მდგომარეობა აქვთ. მე-6 მუხლი კი იქვე განმარტავს თუ რა მოიაზრება „განსაკუთრებით კარგი“ მდგომარეობაში. ამ განმარტების თანახმად, აქ იგულისხმებიან ფინანსურად განსაკუთრებით კარგი მდგომარეობის უცხოელები ან რომელიმე ქვეყანაში საარჩევნო ხმათა უმრავლესობის მფლობელი, ან კიდევ რაიმე სხვა განსაკუთრებული სტატუსის მატარებელი ადამიანები. კანონით მათზე ნებართვის გაცემა შესაძლებელია. მაგრამ კანონი ამ ადამიანებს განსაკუთრებულ კატეგორიად განიხილავს.

**გერმანიის** საკონსტიტუციო ფედერალურმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა: **„იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწა არ ექვემდებარება გამრავლებას და შეუცვლელია, აკრძალულია მისი გამოყენების სრულად მინდობა და დათმობა თავისუფალი ძალების**

განუსაზღვრელი თამაშისა და ცალკეული პირის შეხედულებებისთვის. სამართლიანი სამართლებრივი და საზოგადოებრივი სისტემა მოითხოვს მიწის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესების მეტად გათვალისწინებასა და გამოხატვას, ვიდრე სხვა ქონებრივი სიკეთეების შემთხვევაში.“

გერმანიის კანონმდებლობით, უცხოელებს მიწის საკუთრებაში შექენასთან დაკავშირებით იგივე შეზღუდვები აქვთ, როგორც გერმანიის მოქალაქეებს. სასოფლო-სამეურნეო მიწის შექენისთვის აუცილებელია განცხადების წარდგენა, რომელშიც აღწერილი და დასაბუთებული უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო მიწის დამუშავებისა და განვითარების კონკრეტული გეგმა (ეს გეგმა უნდა იყოს გერმანიის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ინტერესის შესაბამისი). და ასევე ის წინაპირობა, რომ ფიზიკური პირი, რომელიც საკუთრებაში იქნის მიწის ნაკვეთს, უნდა იყოს 18 წლის, მიუხედავად იმისა იქნება ის უცხოელი თუ გერმანიის მოქალაქე. გერმანიაში საკმაოდ ფრთხილია მიდგომა სასოფლო-სამეურნეო მიწის არასათანადო გამოყენებასთან დაკავშირებით, ნებისმიერის, მოქალაქის თუ არამოქალაქის მიერ. ამიტომაც ასეთი ნებართვის მოპოვება სპეციალური კომისიის თანხმობის გარეშე შეუძლებელია.

საქართველოს მოსახლეობის გამოკვება დღეს არსებითად დამოკიდებულია იმპორტზე, რომელიც, მძიმე გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველ წუთს შეიძლება შეწყდეს. უცხო ქვეყნის მოქალაქის საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენება ამ საშიშროების პრევენციისათვის მოითხოვს იურიდიული ბერკეტების ქონას, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს დღესდღეობით არა აქვს.

ამიტომაც, შესაძლოა ჩამოყალიბდეს ისეთი საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც უშეგებს უცხოელთა მიერ მიწის საკუთრებად ქონას, მაგრამ მხოლოდ გარკვეული შეზღუდვებით. ასეთი შეზღუდვა შეიძლება უცხო ქვეყნებ-

**ის პრაქტიკის** გავითვალისწინოთ. მოვიტანოთ მხოლოდ ორ მაგალითს იმ ქვეყნებისა (**ავსტრია**, დანია), რომელთა მოქალაქეებმა მიმართეს სარჩელით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

**ავსტრიაში** უცხოელთა მიერ მიწის შექმნა რეგულირდება უმკაცრესად. მაგალითად, ერთ-ერთი მიწის (ბურგერლანდის) “კანონით უცხოელის მიერ უძრავი ქონების შექმნის შესახებ”, უცხოელი უძრავი ქონების შექმნისათვის საჭიროებს ნებართვას (§13). ნებართვა კი, თავის მხრივ, შეიძლება მიღებული იქნეს თუ „სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური“ ინტერესები არ იქნება შელახული და თუ:

- არსებობს მიწის (ბურგერლანდის) ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული ინტერესი;

- უცხოელი ავსტრიის ტერიტორიაზე მინიმუმ 10 წელი ღეგალურად, კანონიერად იმყოფება და მისი შენაძენით მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ან სხვა საჯარო ინტერესი არ ილახება.

თუ უცხოელს (და მათ შორის არ მოიაზრებიან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოთა მოქალაქეები) ნაყოფიერი, სასოფლო-სამეურნეო მიწის შექმნა სურს, ის ზემოთ მოცემულ ნებართვასთან ერთად საჭიროებს დამატებით ნებართვას, რომელიც გაიცემა სპეციალური კომისიის მიერ (rundverkehrs-kommission) (§8).

დაახლოებით იგივე რეგულირებაა ავსტრიის სხვა მიწების კანონდებლობებითაც, რაც ითვალისწინებს, რომ უცხოელის მიერ ყოველგვარი ქონების შექმნა (ყიდვით, ჩუქებით ან გაცვლით) არ საჭიროებს ნებართვას. მაგრამ უცხოელის მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის (1 ჰექტარზე მეტის) არა თუ შექმნა, არამედ იჯარით აღებაც კი საჭიროებს სპეციალურ ნებართვას.

უძრავ ქონებაზე საკუთრების შექმნის ნებართვა იმ შემთხვევაში შეუძლია უცხოელმა მიიღოს, თუ:

- ის აკმაყოფილებს იმ პირობებს, რომელსაც საკუთრე-

ბის შექმნისას ქვეყნის მოქალაქეც უნდა აკმაყოფილებდეს;

- თუ არ იქნება შელახული ავსტრიის კულტურული, სოციალურ-პოლიტიკური და საჯარო ინტერესი ან უშიშროება;

- სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ინტერესები არ იქნება შელახული. უცხოელთა მიერ მიწის შექმნის შესახებ ავსტრიის ყველა ფედერაციულ ერთეულში ვხვდებით მსგავს რეგულირებას.

**დანის** კანონმდებლობის შესაბამისად, მიუხედავად მისი გარეგნული ლიბერალური ხასიათისა, აქ ქონების შექმნა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია. ქონების შექმნა განსაკუთრებით რთულია არარეზიდენტებისათვის. მათ დანიაში არ შეუძლიათ შეიძინონ ქონება, გარდა შემთხვევებისა როდესაც:

- ისინი არიან ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები და იურიდიული პირები და მუშაობენ ან საქმიანობენ დანიაში;

- ისინი არიან არაევროკავშირის რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქეები და უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში დარეგისტრირებულნი არიან დანიაში, როგორც მუდმივი რეზიდენტები;

- აქვთ მოპოვებული შესაბამისი ნებართვა დანიის იუსტიციის სამინისტროსგან.

მაგალითად, თუ დანიაში ჩასულია სხვა ქვეყნის მოქალაქე ან იურიდიულ პირი და მას უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში მუდმივი ცხოვრების დამადასტურებელი რეგისტრაცია არა აქვს, დანიის იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი ნებართვის გარეშე, ის მიწას ვერ შეიძენს. თუ ვიგულისხმებთ, რომ ასეთ შემთხვევაში იუსტიციის სამინისტრო ნებართვას არ გასცემს, მაშინ საერთოდაც ვერ შეიძენს;

- ერთ პირს უფლება არ აქვს ჰქონდეს 2 ნაკვეთზე მეტი, 24 ჰა საერთო ფართობით, ამასთან, ნაკვეთებს შორის



მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 20 კილომეტრს. თუ მაინც არსებობს მოთხოვნა, ვინმეს ჰქონდეს 24 ჰა-ზე მეტი, მაშინ საკითხს მთავრობა იხილავს. მიწის ყიდვა არსად არავის არ შეუძლია, თუ არ დასტურდება მისი წინა საქმიანობით, რომ ის ფერმერია ან აქვს სპეციალური აგრარული განათლება.

**დანის** კანონმდებლობა განსაკუთრებით მკაცრია ზაფხულის დასასვენებელი სახლების შექმნასთან დაკავშირებით. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია პოპულარულ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან ზღვის სანაპიროზე, სადაც მოქმედი სპეციალური შემზღუდავი წესები „ანტიგერმანული წესებითა“ ცნობილი. ალბათ, მარტივი გასაგებია, რომ ეს რეგულაციები შემუშავებულია გერმანელების მიერ სანაპირო ზოლში საკუთრების შექმნის შესაზღუდავად.

სახელმწიფოებრიობის პრინციპთა კონტექსტით, მიწის მაღალ რანგში აყვანა კანონმდებელს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ თავისი ქვეყნის მოქალაქეების, საზოგადოების, საჯარო ინტერესის სასარგებლოდ და მიწის სოციალური დანიშნულების ხასიათიდან გამომდინარე, შეუზღუდოს უცხოელს ამ სიკეთით სარგებლობის უფლება. სწორედ ამიტომაცაა, რომ სასოფლო მიწის უცხოელებზე (მოქალაქეობის არმქონე პირებზე) გასხვისება დაშვებულია მხოლოდ გარკვეული და კონკრეტული წინაპირობებით მხოლოდ შეზღუდული პირებისთვის.

ჯერჯერობით ჩვენ გვაქვს საშუალება შევარბილოთ დაშვებული შეცდომის შედეგი – ჩამოყალიბდეს ისეთი საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც უშვებს უცხოელთა მიერ მიწის საკუთრებად ქონას, მაგრამ მხოლოდ გარკვეული შეზღუდვებით.

ამასთან, სასწრაფოდაა შესამუშავებელი და შესაქმნელი:

– საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დაცვის პოლიტიკა, რომელიც ქართულ სოციალურ რეალობას და განვითარებული ქვეყნების მდიდარ გამოცდილე-

ბას დაეყრდნობა;

– მიწათსარგებლობის ახალი რეალისტური კანონი ან „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში შევიტანოთ რიგი ცვლილებები, რომელშიც თანამედროვეობასთან მორგებულად ასახება ის რეგულაციები, რომლებიც ეხება უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისებას;

– საქართველოს მთავრობასთან მიწის დაცვის ტრიბუნალი, რომელიც განიხილავს მოქალაქეობის არმქონე (უცხოელი) და საქართველოს მოქალაქეების (რომლებსაც არ გააჩნიათ „სოფლის მეურნის“ სტატუსი) მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენის, იჯარით აღებისა და მიწის კატეგორიის შეცვლის ყოველ კონკრეტულ განცხადებას და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას;

– მძლავრი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რომელსაც მიწის რაციონალურ გამოყენებასა და დაცვასთან დაკავშირებული ყველა ფუნქცია დაეკისრება.

**დაბოლოს, საზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ** საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 და 2014 წლების გადაწყვეტილებებით, მიზანმიმართულად გააყალბა საქართველოს კონსტიტუციის სულისკვეთება, როცა არასწორი ინტერპრეტაცია მისცა მე-14 მუხლს, რომელიც აკანონებს ადამიანთა პრინციპული თანასწორობის (როგორც იტყვიან, ღვთის წინაშე ადამიანთა თანასწორობის) ძველთაძველ ჰუმანისტურ პრინციპს. საქართველოს კონსტიტუცია არ აკანონებს ადამიანთა თანასწორობას ყველა საგანთან მიმართებით. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზრუნველყოფს ყველა ბერკეტით, რომელიც აუცილებელია ქვეყნის ძირითადი და შეუცვლელი სიმდიდრის – მიწის შესანარჩუნებლად თავისი ერის ხელში. საკმარისზე მეტი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ სასამართლოს ეს სიბრძნევე უცაბედი არ არის, არამედ დანაშაულებრივად წინასწარგანზრახულია.

**Mandatory of a proper understanding of the Constitution  
first of all in the land issue**

**P. Koguashvili, Z. Jinjolava, A. Phirtskhalashvili**

Every Georgian citizen, despite the sex, race, nationality, affiliation, skin color, place of birth and etc. is entitled to consider the natural resources of Georgia and the rural land on the first place, at a guaranteed base of feeding for his/her descendants, from now on and till forever.

The Constitutional Court by its 2012 and 2014 decisions, deliberately falsified the spirit of the Constitution, when a wrong interpretation of the Article 14 was made, which legalizes the principle of equality of human beings (as we say, in the face of God the human equality) ancient humanistic principles. The Constitution does not justify the equality of all human beings with respect to the all subjects, for example, it does not say that black colored John and white colored Alexander have the same rights towards to John's house.

According to the authors, can be formed such legislation, which allows foreigners to own land, but only with certain restrictions. It is necessary to make a number of changes in the Georgian law “about the agricultural land” in which will be reflected limitations which are adjusted to the modern terms and cover the alienation of the agricultural land to the foreigners.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება №3/1/5/512;
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის განჩინება №1/2/563.

---

ISSN 1987-5789



დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე

კომპიუტერული უზრუნველყოფა -  
მანანა ჯიხვიშვილი